

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ვაჟა-ფშაველას კაბინეტი

**ვაჟა-ფშაველას  
მცირე დრამატული**

შეადგინა ალექსი კინკარაულმა

თბილისი 1969

ლექსიკონი მოიცავს სალიტერატურო ქართულისაგან შინაარსით ანდა ნიუანსით განსხვავებულ იმ სიტყვებს, რომლებსაც ვაჟა-ფშაველას ნაწერებში ვხვდებით. აქ ეს სიტყვები განმარტებულია ვაჟას ტექსტზე დაყრდნობით და სათანადოდაც არის ილუსტრირებული. ამასთანავე, ლექსიკონში ჩართულია იმ საგანთა სურათები, რომელნიც ადგილობრივ საყოფაცხოვრებო რეალიებს წარმოადგენენ.

შთავარი რედაქტორი  
არნოლდ ჩიქობავა

სარედაქციო კოლეგია:  
ივანე გიგინეიშვილი

მიხეილ ზანდუკელი

ვარლამ თოფურია

გრიგოლ კვიციანი  
მათე მირიანაშვილი

## ვაჟას ლექსიკონისათვის

დღეს სადაოდ აღარ ითვლება, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ბურჯს ქმნის ილიას, აკაკისა და ვაჟას შემოქმედება.

ორი მასაზრდოებელი წყარო აქვს ამ შემოქმედებას: ერთია ცოცხალი ხალხური მეტყველება და მეორე — სალიტერატურო ქართულის მრავალსაუკუნოვანი განვითარების პროცესში მიღწეული სიმდიდრე და დახვეწილობა ქართული ენისა.

რაც უნდა მდიდარი და დახვეწილი იყოს სალიტერატურო ენა, მისი შემდგომი განვითარება ცოცხალ მეტყველებასთან კავშირის გარეშე წარმოუდგენელია, — ვგულისხმობთ ბუნებრივ განვითარებას: — „ოქროს ლათინური“ იულიუს კეისრის დროისა დახვეწილი სალიტერატურო ენის ნიმუშს წარმოადგენდა, მაგრამ ეს ენა წიგნის მკვდარ ენად იქცა, როდესაც ცოცხალ ხალხურ მეტყველებასთან კავშირი გაუწყდა და მით სასიცოცხლო მასაზრდოებელი წყარო დაეწრიტა და დაუშრა.

ენა ცოცხალია, სანამ მას ხმარობენ, და ცოცხალია იმდენად, რამდენადაც მას ხმარობენ აზროვნების იარაღად (აზრის ობიექტივაციისათვის) და ურთიერთობის საშუალებად. ენას ემატება სასიცოცხლო ძალა, როცა მისი გამოყენების სარბიელი ფართოვდება და, პირიქით, აკლდება ეს ძალა, თუ მისი გამოყენების არე დავიწროვდება, რომელზედაც არავენ ლაპარაკობს, განწირულია.

ამიტომაც, რომ ხალხურ ცოცხალ მეტყველებასთან კავშირი სალიტერატურო ენისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. საკითხავი აქ ისღაა, როგორ გამოიყენებს მწერალი — შემოქმედი ამ კავშირს, როგორ შეუხამებს ერთმანეთს ისტორიული ტრადიციით ნაანდერძევს და ცოცხალი ხალხური მეტყველების უშრეტი წყაროდან მომდინარეს.

ეს ეხება ენის ყველა მხარეს. და მაინც ლექსიკა და ფრაზეოლოგია ამ მხრივ გამოირჩევა, ლექსიკასა

და ფრაზეოლოგიას მწერლის ენაში განსაკუთრებულად ადგილი უჭირავს: აქ გამოჩნდება, რა სათქმელიც ჰქონდა მწერალს და როგორ შეიძლო მისი თქმა. მხატვრული სტილი შემოქმედის ინდივიდუალობას განსაზღვრავს, ხოლო სტილის რაობა-რაგვარობაში ლექსიკა-ფრაზეოლოგიას გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის.

მწერლის ენის შესწავლა, უწინარეს ყოვლისა, ლექსიკა-ფრაზეოლოგიის შესწავლას გულისხმობს. ლექსიკა-ფრაზეოლოგიის შესწავლის დროს უპირატესად იმას ექცევა ყურადღება, რაც თავისებურია და განმარტებას საჭიროებს. ეს ბუნებრივიც არის, როგორც პირველი საფეხური შესწავლისა, როგორც აუცილებელი სამუშაო. მაგრამ მწერლის ენის შესწავლა ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სფეროში ამით არ ამოიწურება: საჭიროა სრულად აღინუსხოს მთელი ლექსიკა და ფრაზეოლოგია, გაირკვეს, რამდენი ლექსიკური ერთეული („რამდენი სიტყვა“) აქვს მწერალს, რა-და-რა ტიპისა და რამდენი ფრაზეოლოგიაში დასტურდება მის შემოქმედებაში. ლექსიკურ ერთეულთაგან („სიტყვათაგან“) ზოგს დასჭირდება განმარტება, ბევრს—არ დასჭირდება, მაგრამ სრულად უნდა იყოს ნაჩვენები, რა-და-რა გამოთქმაში და რამდენჯერ გვხვდება ესა თუ ის სიტყვა, სხვადასხვა ფორმაც (ნაწარმოების დასახელებითა და ადგილის ზედმიწევნითად ჩვენებით). ასევე — გამონათქვამები, იდიომატური თქმები და ფრაზეოლოგიაში.

არც ილიას, არც აკაკის, არც ვაჟას ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში ამჟამად შესწავლილი არა გვაქვს! შესწავლა კი აუცილებელია<sup>1</sup>. სხვა არა იყოს რა, ხომ უნდა გვეთქმოდეს—ამდენი სიტყვა მოეპოვება ილიას, ამდენი — აკაკის, ამდენი — ვაჟასათ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შედგენისას ცდა არ დაგვიკლია, პირველ ყოვლისა, ამ სამი ავტორის ლექსიკა გამოგვევლინა და მათი დოკუმენტაცია შეგვეტანა სიტყვის განმარტებისას, მაგრამ სისრულის პრეტენზიას რვატომიანი „განმარტებითი ლექსიკონი“ ვერ დაიჩემებს (თუნდაც იმიტომ, რომ ასე თუ ისე სრული გამოცემა მხოლოდ ილიას თხზულებათა მოგვეპოვებოდა განმარტე-

<sup>1</sup> ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებამ სცადა აღენუსხა სრულად ძველი-ქართული ზოგი ძეგლის (როგორცაა: „სახისა სიტყუაჲ“, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაჲ“, „წარტყუენვაჲ იერუსალმისაჲ...“), აგრეთვე დავით გურამიშვილისა და ნიკო ლომოურის ლექსიკა, რაც ერთგვარ შესაზღვებელ სამუშაოდ შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ სათანადო შრომები გამოქვეყნებული არაა.

ბით ლექსიკონზე მუშაობის დაწყებისას 1945 წ., მასთან პუბლიცისტურ ნაწარმოებთა შედგენილობა დაზუსტებას მოითხოვდა).

ახალი ქართული სალიტერატურო ენის სრული ლექსიკონის შედგენას უნდა უსწრებდეს ცალკეულ ავტორთა ლექსიკონის მონოგრაფიული შესწავლა. ბუნებრივია, რომ ეს შესწავლა ილიას, აკაკისა და ვაჟას ლექსიკით იწყებოდეს.

ვაჟას ლექსიკონის შესწავლა უკვე დაწყებულია უნივერსიტეტში ვაჟას კაბინეტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით: ბარათებზეა ამოწერილი „მთელი ვაჟა“ (რვაას ათასზე მეტი ბარათი!). ამით გადადგმულია პირველი ნაბიჯი, შესრულებულია დიდი მოცულობის სამუშაო, — სამუშაო, რომელსაც თავისი ძალებით მთელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ვერ ასწევდა წლების მანძილზე. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველას კაბინეტს ამ შრომატევადი სამუშაოს შესრულებაში გვერდში ამოუდგნენ ქართული ენის კათედრები თბილისის, ქუთაისის, გორის, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტებისა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი...

იმუშავეს უსასყიდლოდ და გატაცებით, როგორც ეს საზოგადოებრივ საქმეს შეჰფერის და როგორც ამას საპატიო ამოცანა მოითხოვდა.

ვაჟას სრული ლექსიკონის შედგენა დაიწყო და კარგადაც დაიწყო. ვაჟას ცხოვრება არც თუ უღიმოდა. სრული ლექსიკონის საქმეში ვაჟას შემოქმედება დაწინაურდა. ალალიც არის!

ვაჟას კაბინეტს წინ ამ მხრივაც დიდი სამუშაო უდევს: ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსის სრული ლექსიკონის შედგენა, პირველი ასეთი ლექსიკონის შედგენაა. მუშაობა, რაც უკვე წარმოებს კაბინეტში, საქმის წარმატებით დამთავრების საწინდარია.

• • •

წინამდებარე ლექსიკონი, როგორც ეს მისი ავტორის, ალ. ჭინჭარაულის, წინასიტყვაობაშია ნათქვამი, ვაჟას ტექსტის ადეკვატურ გაგებას ემსახურება, და ამისდა კვალად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სიტყვის განმარტებას რეალიებთან (საყოფაცხოვრებო მოვლენებთან) კავშირში, აგრეთვე ისეთ სიტყვათა ახსნას, რომლებიც სალიტერატურო ქართულში ცნობილია, მაგრამ მნიშვნელობა თავისებური აქვს (დაინტერესებულ მკითხველს საამისო მაგალითები შეუძლია იპოვოს ლექსიკონის ავტორის, ალ. ჭინჭარაულის, წინასიტყვაობაში, აქვე, გვ. 9—25, მით უფრო თვით ლექსიკონში, მაგალ.: ზვერავეს (ხმალს), დაჩეჩა (თოფმა), დავლათიანი (კაცი).

ფშავ-ხევსურეთის ყოფა-ცხოვრებასა და ადათ-წესებს, ხალხურ შემოქმედებასა და ცოცხალ მეტყველებას ალექსი ჭინჭარაული, ხევსურეთში გაზრდილი ხევსური, ზედმიწევნით იცნობს. ალ. ჭინჭარაული ავტორია ვრცელი საყურადღებო მონოგრაფიული გამოკვლევისა („ხევსურულის თავისებურებანი“, 1960, 486 გვ.) და არა ერთი ფილოლოგიური ნარკვევისა, რაიც მის საენათმეცნიერო მომზადებასა და მკვლევრის ნიქს ამჟღავნებს.

ამიტომ შეიძლო ალ. ჭინჭარაულმა შეედგინა წინამდებარე ლექსიკონი, რომელიც ვაჟას ლექსიკის შესწავლაში მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს.

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება მოვიფიქროთ, რომ ალ. ჭინჭარაულმა ვაჟას თხზულებათა გამოცემაში არა ერთი შეცდომა შენიშნა და გაასწორა (იხ. ავტორის წინასიტყვაობა, გვ. 12—13).

და თუ მაინც დარჩა ცალკეული სიტყვა (resp. გამოთქმა), რომელიც სასურველი ზედმიწევნილობით და სისრულით განმარტებულად არ მიაჩნია არც რედაქტორს და, რაც უფრო არსებითია, არც თვით ავტორს, ამაში ბრალი აქვს სალექსიკონო საქმის თავისებურებას. ყოველი სიტყვის ყოველი შესაძლო ხმარება უნდა ვიცოდეთ, რომ განმარტება უნაკლო იყოს. ამ პირობის დაკმაყოფილება ცოცხალი ენის ლექსიკონში ფაქტობრივ შეუძლებელია. ამიტომ: „სრული ძნელია“ (საბა).

ცნობილია, რომ ლექსიკონის ყოველი ნაკლი ავ თვალს ახარებს. მაგრამ ლექსიკონში კეთილი თვალიც ჩაიხედავს ხოლმე და თავის შენიშვნებით ნაკლის გამოსწორებას, ხარვეზის ამოვსებას ხელს შეუწყობს.

## წი ნ ა ს ი ტ უ ვ ა ო ბ ა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტმა დაარსებიდანვე (1963 წ.) დაიწყო მზადება ვაჟა-ფშაველას სრული ლექსიკონის შესადგენად. ამოწერილია ვაჟას მიერ ნახმარი ყველა სიტყვა, მისი ხმარების ყველა შემთხვევა. კარტოთეკა რვაას ათასზე მეტი ბარათისაგან შედგება.

ეს კარტოთეკა ამჟამად ინტენსიურად მუშავდება (მასალა გაწყობილია ანბანის რიგზე, ყველა სიტყვა გადატანილია დავთრებში და სხვ.), მაგრამ, სანამ ვაჟას სიმფონია სასტამბოდ მომზადდებოდეს, კაბინეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეედგინა ისეთი მოკლე ლექსიკონი, რომელიც მკითხველთა ფართო წრეებს დაეხმარებოდა ვაჟას ნაწერების სათანადოდ გაგებაში.

წინამდებარე ლექსიკონი სწორედ ამის ცდას წარმოადგენს და ამჟამად მისი გამოცემა ვაჟას კაბინეტის დაარსებითაა შეპირობებული, რადგან ლექსიკონი ამ კაბინეტში შექმნილ კარტოთეკას ეყრდნობა.

ვაჟა-ფშაველას ლექსიკონის შესწავლაში თავის დროზე წინააღმდეგული ნაბიჯი იყო აკად. ა. შანიძის „ვაჟას ლექსიკონი“, რომელიც მან დაურთო ვაჟა-ფშაველას პოეზიის ოთხტომს. ულექსიკონოდ იყო დარჩენილი ვაჟას პროზა, ეთნოგრაფიული და პუბლიცისტური წერილები, სადაც გაცილებით მეტი სიტყვები მოითხოვენ ახსნას.

ბევრი ლექსიკური ერთეული შევიდა ვაჟას თხზულებებიდან „ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში“, მაგრამ ვაჟას ლექსიკონს ამით ამოწურულა. ჩვენ ვსარგებლობთ ორივე შემოხსენებული ლექსიკონით.

წინამდებარე ლექსიკონში 6615 სალექსიკონო ერთეული შევიდა. მასალა დალაგებულია ანბანის რიგზე.

ზმნა მოყვანილია აწმყო დროის მხოლოდობითი რიცხვის ფუძის სახით (მასდარისა ანუ საწყისის გამოტანა სალექსიკონო ერთეულად ხშირად ძნელდება იმიტაც, რომ ბევრ ზმნას მასდარი არ ეწარმოება. ასეთ შემთხვევაში მ ა რ ტ ი ვ ფ უ ძ ე ს იღებენ სალექსი-



კონო ერთეულად; ამრიგად, პრინციპი განსხვავებული გამოდის. მაგ., მასდარი სულ არა აქვს ამ რიგის ზმნებს: ადგია, ჰკილია||ჰკიდავ, ჰბავ...; აბედენებს, აბუუნტალებს... ზმნათა მასდარი ვერ იქნება „ბედენება“, „ბუუნტალი“ ან „ბუუნტალება“ და ა. შ.).

რაკი აწმყოს ფუძეს ვიღებთ, პირის ნიშანი (თავკიდურიც და ზმნისწინის შიგნით მოქცეულიც) გამოყოფილია და ანბანის რიგითაც არ არის გათვალისწინებული. მაგ.: და-ჰ-ბრუნავ-ს, მო-ჰ-ბი-როი-ს...

ზოგ ზმნას მარტო მრავლობითის ფორმა აქვს. ეს ზმნები მრავლობითის ფორმით მოგვყავს, პირისა და რიცხვის ნიშანიც გამოყოფილია.

რიგი ზმნა ვაჟასთან გვხვდება არა ზემოხსენებული სალექსიკონო ერთეულის სახით. ასეთი ზმნის გადაყვანა სალექსიკონო ერთეულზე მას დამახასიათებელ ელფერს დაუკარგავდა (მაგ., გავრცელებული მიმართვა: „მიტირე“, „დამიტირე“...).

რამდენიმე შემთხვევაში (ლექსიკონით სარგებლობის გასაადვილებლად) ზმნა მოყვანილია კონტექსტში არსებული სახით და იქვეა მითითებული მის სალექსიკონო ფორმაზე. მაგ.: ლექსიკონში შეტანილია „დაუტყლენია“; იგი გაგზავნილია „დასტყლემს“-თან („დაუტყლენია — იხ. დასტყლემს“) და იქა გვაქვს მოცემული ახსნაც და დოკუმენტაციაც.

სახელი მხოლოდობითი რიცხვის საბელოდობითი ბრუნვის ფუძის სახით არის შეტანილი. ოდენ მრავლობითის მქონე სახელი — მრავლობითის ფუძის სახით (ამიტომ ბრუნვისა და რიცხვის ნიშანი არ არის გათვალისწინებული მასალის ანბანის რიგზე დალაგებისას. მაგ.: ხარ-მანეშ-ნ-ი, ლილბევრ-ნ-ი, ბუჟიერ-ნ-ი და სხვ.).

-იან და -ობა სუფიქსიანი სიტყვები განუმარტავად (მაგრამ დოკუმენტაციის დართვით) შეგვაქვს ამოსავალ სიტყვასთან. მაგ., „წურვილ-ი — ერბო“ (ვაჟა). „წურვილს ორფხას მიართმენ, იმისი ვალი ჰკილია“ („პროვინციის ქებათა-ქება“). წურვილიან-ი: უნდა მშვიერი გააძლოს წურვილიანმა ქაღამა („მამიდის დანაბარები“).

სალიტერატურო ენის დიალექტური სინონიმებიდან მხოლოდ გაუგებარი სიტყვა შეგვაქვს. მაგ.: „დაჩერ-ს — უბიძგებს, შეანჯღრევს. ბერო „დაჩერა“ თოფმა („აფხუშობა“).“ თუ სადმე ტექსტში „დაჩერს“-ზმნა მატყლის დაჩერის მნიშვნელობითაც არის ნახმარი, ის აღარ შემოგვაქვს ლექსიკონში.

იდიომატურ გამონათქვამში სიტყვათა რიგი ნებისმიერია; ხშირად ძნელი ასარჩევია საყრდენი სიტყვა, რომელზედაც უნდა შევიტანოთ იდიომატური გამონათქვამი ლექსიკონში.

ზმნიანი (ან ნაზმნარსახელიანი — მასდარი, მიმღეობა) იდიომი ჩვენ ზმნასთან (მასდართან, მიმღეობასთან) შეგვაქვს. მაგ., გვაქვს გამოთქმა „თავი ეწონება“. ჩვენ ასე ვიქცევით: „ეწონება-ა: თავი ეწონება — თავი მოსწონს, ამაყობს. ყმა მოდიოდა გორი-გორ, არ ეწონება თავია („ალუდა...“, II)“. „ბეზღება: სიზმრის ბეზღება — სიზმრის მოყოლა, გამქლავება. (გიგოლამ) სიზმარი არც არავის უამბო, რადგან დარწმუნებულია, — სიზმრის ბეზღება, სხვისთვის შეტყობინება კარგი არ არისო („დათვი“ — ყველამ)“...

ოდენ სახელებისაგან შედგენილი იდიომატური გამონათქვამი სიტყვათა ბუნებრივი რიგის მიხედვით არის შეტანილი, — ჯერ წინამავალ სიტყვას ვწერთ, შემდეგ კი იდიომატურ გამონათქვამს, მაგ.: „ეშმაკ-ი; ეშმაკთ ცხენა — ფეხებმაღალი ბუზია, წყალზე ტრიალებს ხოლმე. ჩაუძველ, ეშმაკთ ცხენაო, კანჭმაღალო და ფრთიანო („ჩანაწერები“)“.

ლექსიკონი დოკუმენტირებულია: სიტყვის განმარტებას ერთვის ერთი (ზოგჯერ ორი და მეტიც) წინადადება, სადაც ეს სიტყვა აქვს ვაჟას ნახმარი.

იმის გამო, რომ მოგვეპოვება ვაჟა-ფშაველას თხზულებათა რამდენიმე გამოცემა, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, გვერდზე და სტრიქონზე კი არ მიგვეთითებინა, არამედ დაგვესახელებინა ნაწარმოების სათაური (აგრეთვე თავი, მოქმედება, გამოსვლა).

თუ რამდენიმე ნაწარმოებს ერთი და იგივე სათაური აქვს, სათაურზე მითითების შემდეგ ნაწარმოების პირველ სიტყვასაც ვწერთ. მაგ.: („ფშავლები“, — ძველს), („ფშავლები“, — შენამც) და („ფშავლები“, — გზად).

კომპოზიტების დაწერილობას თანამედროვე ნორმების მიხედვით ვაერთფეროვანებთ.

თუ კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი უცნობია, იგი ცალკე შეგვაქვს. მაგ.: „-დაჭრეხილ-ი იხ. დაგრეხილ-დაჭრეხილი“.

სადოკუმენტაციო მასალის პუნქტუაციაც თანამედროვე ნორმებსაა დაქვემდებარებული.

საკირო შემთხვევაში ზოგ საოჯახო ნივთთან თუ სამეურნეო იარაღთან განმარტების გარდა მოცემულია ამ ნივთის (იარაღის) სურათი (ჩანახაზი).

სიტყვის განმარტებისას გათვალისწინებულია მხოლოდ ის მნიშვნელობა, რაც მას ვაჟასთან მოცემულ კონტექსტში აქვს. განმარტებასთან ყველგან მივუთითებთ, როცა გამოყენებული გვაქვს ვაჟასეული განმარტებები („ვაჟა“), აკად. ა. შანიძისეული განმარტებები (შემოკლება: „ა. შან.“) და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (შემოკლება: „გლ“).

სიტყვას ვაჟა ხან იქვე, ტექსტში განმარტავს, ხან-კი განმარტება სქოლიოში ჩააქვს. ჩვენ ტექსტიდანაც და სქოლიოდანაც განმარტება პირდაპირ გადმოგვაქვს. მაგ., ტექსტში წერია: ხმაღს ჰზვერავს (სინჯავს, ათვალიერებს) გაფრინდაული (თუში ზეზვა), თათრები ვხოცე ამითა („კრიტიკა... ვართავასი“). ჩვენ ასე ვიქცევით: „ზვერავ-ს — „სინჯავს, ათვალიერებს“ (ვაჟა). ხმაღს ჰზვერავს გაფრინდაული: „თათრები ვხოცე ამითა“ („კრიტიკა... ვართავასი“, III).

ვაჟასეულ განმარტებას ბრჭყალებში ვსვამთ, როცა იგი სიტყვა-სიტყვით მოგვაქვს, და ფრჩხილებში ვუწერთ: „ვაჟა“. მაგ.: „წურვილ-ი—ერბო“ (ვაჟა). ბრჭყალებს აღარ ვუწერთ, თუ განმარტება სიტყვა-სიტყვით არ არის განმეორებული, ოღონდ ფრჩხილებში ისევ მივუთითებთ ვაჟაზე. მაგ., ტექსტში იკითხება: „(ბერო) გიამბობდა, სად, როგორ დაჰკრა ხარირემს თოფი და „დაამუხლისკვერავე“; სად ჯიხვს „დასწყობა“ და „დააბჯინა“ რქებზე“ („აფხუშორობა“). ვაჟა სქოლიოში შენიშნავს: „დ ა ს წ კ ი პ ა —ესროლა თოფი“. ჩვენ ასე ვიქცევით: „და-ს-წყებ-ს — (თოფს) ესვრის (ვაჟა).

მცენარეთა და ცხოველთა სახელების განმარტებისას მათი ლათინური სახელწოდებებიც მოგვყავს (ა ლ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ს „ბოტანიკურ ლექსიკონზე“ და „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე“ დაყრდნობით).

განმარტებისას „იხ“, „შდრ“ და „იგივეა, რაც“ მაშინ გვაქვს, როცა ეს შესადაარებელი სიტყვა ჩვენსავე ლექსიკონში დასტურდება.

მთის დიალექტებში (ფშაურში, ხევსურულში...) არსებობს ე. წ. „ჯვართ ენა“ (ხატის ენა): ჩვეულებრივსა და საყოველთაოდ ცნობილ საგნებსა თუ მოვლენებს საწესჩვეულებო ტექსტებში (ხუცობა, ჟადაგობა, შელოცვა...) სხვა სახელები ეწოდება. მაგ., ხატის ენაზე ხარს „ბულაური“ ჰქვია, უღელ ხარს — „ხარ-მანეშნი“, სალუდე ქვაბებს — „ლიღბევრნი“, დროშას — „ბორაყი“ და ა. შ. ასეთი სიტყვების განმარტებისას ფრჩხილებში შევნიშნავთ: „ხატის ენაზე“-ო.

ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ტექსტი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი. გვხვდება დამახინჯებული სიტყვები თუ ფრაზები. შეცდომები უპირატესად პირველნაბეჭდებიდან მოდის (ხელნაწერის მცდარად ამოკითხვა, ასოების არევა, კორექტურულ-მექანიკური შეცდომები).

ვაჟა-ფშაველას თხზულებათა გამოცემისა და ტექსტის დადგენისათვის დიდი მუშაობა ჩაატარა პოეტმა ალ. აბაშელმა.

1961 წელს გამოიცა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრე-

ბული ხუთ ტომად (მთავარი რედაქტორი—გ. ლეონიძე). 1964 წელს კი ეს გამოცემა განმეორდა (ათ ტომად). ცალკეული ტომებისათვის ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს: ზურაბ ჭუმბურიძემ, ცირა კალაძემ, ეთერ შარაშენიძემ და ლეილა სანაძემ.

ამ გამოცემებში (განსაკუთრებით უკანასკნელში) ბევრი შეცდომა გასწორდა, მაგრამ გასასწორებელიც ბევრი დარჩა. ზოგი შეცდომა ისეთ სიტყვაშია გაპარული, რომელიც განმარტებას მოითხოვს (გაუგებარი რომ იყო სიტყვა, სწორედ ეს იქცა შეცდომის მიზეზად); ზოგი ასეთი სიტყვა ამ ლექსიკონის საილუსტრაციო მასალაში მოხვდა. ასეთ შემთხვევაში ნაჩვენები გვაქვს ეს დამახინჯებული ფორმები და მართებულზე მივუთითებთ. მაგ.: „დავიფაფხვები“ („ძვ. და ახალი ფშავლ. პოეზია“) — ბექდვის შეცდომაა, იხ. დაიფარხება“.

ლექსიკონში აღრიცხული და გასწორებულია ოთხსამდე ასეთი შეცდომა<sup>1</sup>.

დამახინჯებული სიტყვა (ან გამოთქმა) მოყვანილია ტექსტში დადასტურებული ფორმით პირისა, ბრუნვისა და რიცხვის ნიშნის გამოუყოფლად. აქ ორგვარი შემთხვევა გვაქვს:

ა) თუ სიტყვა განმარტებას მოითხოვს, დამახინჯებულ ფორმასთან მართო სათაურს აღვნიშნავთ და მართებულ ფორმასთან ვგზავნით, სადაც სიტყვის განმარტება გვაქვს მოცემული. მაგ.: „მიტარი ხდება“ („სურათი ფშავლის ცხოვრებიდამ“) — ბექდვის შეცდომაა, იხ. „უტარიხდება“. „უტარიხდება“ კი ასეა განმარტებული: „უტარიხდება — უბღვერის. „როგორ მიტარიხდება, გიდი და გიდი ძალს!“ („სურათი ფშავლის ცხოვრებიდამ“).

ბ) თუ დამახინჯებული ფორმის გამართვის შემდეგ სიტყვა განმარტებას აღარ მოითხოვს, მოგვყავს ეს მცდარი ფორმა, მოკლე ილუსტრაცია და (აქვე) სიტყვის მართებული ფორმა. მაგ.: „ეხსტად: მდ. აფხუშურა მოდის ეხსტად, ლამაზად, წმინდაწყლიანი („აფხუშობა“) — ბექდვის შეცდომაა, უნდა: კოხტად“.

ლექსიკონში განუმარტავად და ტექსტში დადასტურებული ფორმით შევიტანეთ სიტყვები, რომლებიც ლიტერატურულისაგან მხოლოდ ბევრითად (და არა მნიშვნელობით) განსხვავდება. ეს არის, უპირატესად, ლიტერატურული ფორმების დიალექტური (ფონეტიკური და მორფოლოგიური) ვარიანტები, ანდა ისინი ძველი ქართულის ნორმის შეგნებულად გამოყენების შედეგს წარმოადგენენ. მათი სა-

<sup>1</sup> ბოლო გამოცემაში (1964 წლისა) ზოგი შეცდომა გასწორებულია, მაგრამ, რაკი მკითხველები სხვა გამოცემებითაც სარგებლობენ, ლექსიკონში ასეთი სიტყვები წინა გამოცემებიდანაც შევიტანეთ.

ლექსიკონო ერთეულებად შეტანა გაუმართლებელი იყო, ახსნა კი მაინც სჭირდებოდა. ამიტომ ისინი დავაჭფფეთ და თითოეული ჯგუფი ცალკე პარაგრაფად გამოვყავით წინასიტყვაობაში. ასე, მაგალითად:

§ 1. სიტყვას ბოლო აქვს მოკვეცილი: შაჰყა (შეყავი), მი (მინდა), გი (გინდა); დავიქე (დავიქეცი), მოიქე (მოიქეცი), გაქე (გაექეცი), გარდვიქე (გარდავიქეცი), შექე (შეექეცი), შავკვე (მოკვეცი), იქე (იქექი); ვერსა (ვერსად), ვერცაით (←ვერ სადით, ვერსაიდან), ვერსით („ვერ სითგან“, ვერსაიდან), აღარცა (←აღარ სად), ველარცაით (ველარსაიდან); კა (კარგი), კაად (კარგად), კაისაია („კარგისაა“, კარგია); გან (განა)...

„-ვე“ და „-მე“ ნაწილაკებს ბოლოკიდური ხმოვანი (ე) მოკვეცილი აქვს: მალევ (მალევე), მალედავ (მალედვე), წინავ (წინათვე), ცუდივ (ცუდივე), იმანავ (იმანვე), ვინამ („ვინამე“, ვილაცამ), ვისამ („ვისამე“, ვილაცას)...

„და“ კავშირსაც ზოგჯერ მოკვეცილი აქვს ა: დამე-დ' (დამე და), მე-დ' (მე და), ბატარქალი-დ' (ბატარქალა და)...

§ 2. ზოგ სიტყვას ჩვეულებრივად ხმარებულისაგან განსხვავებით თავიკიდური მ აკლია: დორეზე (მდორეზე), ხოლოდ (მხოლოდ), ხდალი (ჭაკი, მხდალი).

არის სიტყვაში ამა თუ იმ ბგერის განვითარების შემთხვევებიც: მ: მძლივ (ძლივს); ნ: ენგრე (ეგრე), ემანგრე (მაგრე)...

§ 3. ზოგი ფუძე, რომელიც ამჟამად რ-ს ჩართვით იხმარება, ვაჟასთან ძველი, ისტორიულად სწორი სახითაა დაცული. მაგ., „ტრუსავს“-ფუძის ნაცვლად ვაჟასთან დასტურდება „ტუს“-გადატუსავს, უტუსავს, სტუსავს, მატუსენ (მოტრუსე ისინი), დატუსული, დატუსვილი, გატუსვილს, გატუსულ...

ასევე, ფუძე „სრუტ“- ვაჟას ნაწერებში წარმოდგენილია პირვანდელი „სუტ“-ფუძის სახით: სუტავდა, უსუტოს, შესუტა, შეისუტავს, შეესუტოს, სუტავდენ, მსუტავი, გამომსუტავი...

ზოგ ფუძეში ვაჟასთან თანხმოვანთ კომპლექსი გამარტივებულია.

აკლია ლიტერატურულთან შედარებით:

რ: ფთიანი (←ფრთიანი), გააფთიანა (←გააფრთიანა); შემოფთხენენ (←შემოფრთხენენ), გაფთხენენ; ფთხილობს (←ფრთხილობს), დაგიფთხოს, გადამთხვალიყვენენ (←გადამფრთხალიყვენენ), დამთხვარი (←დამფრთხალი), დამთხ(ვ)ალი (←დამფრთხალი), დამთხვარან (←დამფრთხალან); ბთხიალი (←ფრთხიალი); ბჯღალი (←ბრჯღალი), ჩაბჯღალავს; ზღუბლზედა (←ზღურბლზედა)...

ზ: სარდოს (←საზრდოს)...

ხ: არჩობს (←ახრჩობს), დამრჩვალს, დაირჩოს, დაურჩავ (დაუხრჩვია), დაგირჩობ, დავარჩვე, დაარჩობს, დასარჩობი, მიერჩო, მარჩობლად, ჩავარჩოთ...

ლ: ძალთ (←ძალთ), ძალთი (←ძალთი), სახ-კარ (←სახლ-კარ), სახჩი (←სახლჩი, სახლში); მუხს (←მუხლს); დაწითდენ (←დაწითლდენ), აწითებს, გადააწითა (თუ ამ ბოლო სამ მაგალითში ისტორიულად უპირატესი ფორმა არაა შემონახული).

§ 4. დასტურდება ლ||ნ-რ-ს გადასმა „ძლიერ“-ფუძეში: ძლიერი→ძრიელი: ძრიელი, ძრივლად, გაძრიალებული, გაძრიელებული, გაძრიელება, ძრიან, ძრიანი, ძრიანაც...

§ 5. „წურთნა“ და „ნაუღელ“ ფუძეებში უმარცვლო უ-ს ადგილი სრულ უ-ს უქირავს: წურთნა (←წვრთნა), ნაწურთნი, გასწურთნით, სწურთნიდე, საწურთნელადა, გასაწურთნავად; ენაუღლება; შდრ. ძვ. ქართ. ნავღელ-:...და მათ აღავსეს ღრუბელი ერთი ძმრითა და ნავღლითა (ი. 19, 29); მისცეს მას ძმარი ნავღლითა შეზავებული (მ. 27, 34).

§ 6. ვაჟას ტექსტში „ღლის“ (ი-ფუძიანი) ზმნა -ავ სუფიქსითაა ნახმარი (ფუძის შეუკვეცლად): ვღლაავდი (შდრ. თვლის და თვაღავს), იღლაავ (იღლი), დაღალულები, ჩამოღალული...

§ 7. ვაჟას ზოგჯერ ხმოვნის რედუქცია-ამოღებით მიღებული ვარიანტებიც მოეპოვება: ჩნან (←ჩანან), ჩნდა (←ჩანდა), სცრცვიდა (←სცარცვიდა), იცრცვება (←იცარცვება), გაცრცვილმა, მცრცველსაო... ა-ს ამოღებით და ვინის ჩართვით: ტივლები (←ტიალები)... ო-ს რედუქციით და გადასმით: ამღვნის (←ამოდნის), ემაგვდენი (←„ემაგოდენი“, მაგდენი)... უ-ს რედუქციით: ჰკვა (←ჰკუა), ჰკვათხელო...

§ 8. მეტათეზისისა და ერთერთი თანხმოვნის ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად ვიღებთ: ბღარტ←ბარტყ, ბღერტ←ბერტყ; ბღარტუნით, დასაბღერტადა...

§ 9. თანხმოვანთა მონაცვლეობის მაგალითებია:

ყ/ღ: ამიჯანღდენ (ამიჯანყდენ)...

ქ/ხ: სჭეხდა (ჭექდა), დასჭეხნებს (დაიჭექებს), ჰეხასა, დაიჭეხო, მჭეხარი, მჭეხარე...

ხ/ღ: ლეტება (ხეტება), მუღღეტები (მოეხეტები), დაეღეტება, მიეღეტები, გაეღეტებოდენ; საღსარსა...

ღ/ძ: გვიძე (გვიღვეს), მიძე, გაძეთ (გაღვეთ), გძე, გაძე, სძე (ღვეს, აღვეს), სძევს (ღვეს), გიძეო (ვიღვესო)...

ძ/ზ: ზღვენი (ძღვენი), ზუვის (ძუსი)...

ნ/ლ: ჰიაკოკოლა...

დღ/ტყ: ბორტყავს, ბრტყვინავს, გაბრტყვნა...

ქყ/ჯღ: ბრჯღალი...

ჩვრეტ/ქვრეთ: ქრეთ/ქრეტ: გაქვრიტა (გაჩვრიტა), უქვრეთს, საქვრეთლით; გაქვრეტის, საქრეტელი...

§ 10. ხმოვანთკომპლექსები ცვლილია:

ეა—ია: შეიძინია (← შეიძინე + პროსოდული ხმოვანი ა), გიძია (გიღევს), უძია (უღევს), გამიცინია, ღობია, ღონია, სახია, ვნახია, შამინახია, მაგრია, მწვანია, მთვარია, ვიჯღია, მაიტანია...

ოა—უა: მუა (← მოა—მოვა), მუალის (მოვა), წამუა, მუალთ...

ოე—უე: ხბუებმა, ჩამუედ (← ჩამოედ—ჩამოვედ), მუედ, ამუედ, მუედ, მუედლი (მოველი), გამთხუები (გამთხოვები), ვაძუვნოდი (ვაძოვი—ვაძოვი—ვაძუი—ვაძუვნოდი)...

§ 11. ხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევები ფუძეების მიხედვით:

ე/ი (აწმყოში ე, წყვეტილში—ი): გამოეჩია (გამოეჩეა); დაღირებულს (მოღერებულს), წამამიღირა (მომიღერა), ღირება (ღერება), შემოგვიღირებს (მოგვიღერებს), მაღიროს (მომიღეროს)...

§ 12. ზოგჯერ ამა თუ იმ ძირს შენარჩუნებული აქვს ერთგვარად ძველი სახე: ხანჯარი, უხანჯროდ; აასქდა (აასკდა), დაასქდა (დაასკდა), ასქდება, მომსქდარა, მოასქდა, გასქდა, გადმოჰსქდათ, ჩამოსქდა, დაუსქდათ; ნაწლევი...

§ 13. ხმოვნის წინ (უბირატესად ო-ს შემდეგ) იკარგება ვ:

ოვა—ოა: მოარდა (მოვარდა), ჩამოალ (ჩამოვალ), მუა (← მოა—  
← მოვა), წამოა, მუალის, მუალთ...

ოვი—ოი: მოიცალეთ (მოვიცალეთ), ჩამოილიდი (ჩამოვივლიდი), გადმოიტანო (გადმოვიტანო)...

ოვე—ოე: მუედ (მოედ—მოვედ), ჩამუედ, წამუედ, ამუედ, მუედლი (მოველი, ველოდები)...

§ 14. ვა (უმარცვლო უ + ა) და ვე კომპლექსი წარმოდგენილია ო-ს სახით: შესწოვდა (შეწვაედა), უწოვლით (ვეწვაედი), დავწოვ; იცოშ (იცვამს); აყოვდებიან (აყვაედებიან), ყოოდენ (ყვაოდენ), ავიყოვდება, აყოვებული, ყოილი; სოვნი (სვაენი), სათქომი (სათქვამი), ნათქომი (ნათქვამი). ზოვი (ზვაევი); ყოვი (ყვაევი), ყოვეყორნებს; ჩამოვსოვთ (ჩამოვსვამთ, დავსვამთ); ქობია (ქვაბია); გოლვითა (გვალვისაგან), ხოწი (ხვეწი)...

პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება მეშველი ზმნის ხევსურული ვარიანტები: ვორ (ვარ), ვორთა (ვართ), ვორეევ (ვარო)... აქ პირველი სუბიექტური პირის ნიშან ვ-ს და ფუძისეულ ა-ს ჯერ ო მოუ-

ცია (ვარ—ორ), შემდეგ კი განმეორებით დართვია პირის ნიშანი (ორ—ვორ).

§ 15. ძველი, ისტორიულად უპირატესი ვარიანტები დაცულია ვა კომპლექსის სახით სიტყვებში: უყვა (ვყუო), უყვათ, უყვას; გაყვა (გაყო); ჩააწვალა (ჩააწოლა, აწყოში: ჩ ა ა წ ვ დ ი ს), დავეწვალე (აწყოში: დ ა ვ ე წ ვ დ ე ბ ი), გადამაწვალე (აწყოში: გ ა დ მ ა მ ა წ ვ დ ი), მიაწვალა (აწყოში: მ ი ა წ ვ დ ი ს), გავიწვალე (აწყოში: გ ა ვ ი წ ვ დ ი). ეწვლება, გადაეწვალა, გამოეწვალა, ამაიწვალა, ასწვალა, გადავეწვალე, მამაწვალე...

§ 16. ნაცვალსახელთან ან ზმნიზედასთან (მის თავკიდურთან) მითითებითი აი ნაწილაკის შერწყმით ვიღებთ ფორმებს: აი (ა—აი—აი, იმ), აიმ, აიმისთანა, აიმასაც, აის, აისითა(ი) (ისეთი), აისივ (ისევ ის), აისრ (ისე), აიქ(ა) (იქ); ეემ (აი, ამ), ექა (აქა), ექნობამდე (ამ დრომდე)...

§ 17. აწყოში ი- სუფიქსიანი ფუძეები აქვს ზმნებს (დაუცავს უპირატესად მესამე პირში): ჰყავის (ჰყავს), აქვის, მოვალის, ჩავალის, მივალის, ჰგავისა, ჰგონის, სჩრავისო, დაილადრის (=დაილადრავს)...

§ 18. ბ გვაქვს თავკიდურად სიტყვებში: ბრთა (ფრთა, იხ. აგრეთვე ფთა); ბრთხილი (ფრთხილი), საბთხილო; ბრჩხილი (ფრჩხილი)... დისიმილაციით: ბატარა (პატარა), ბატარია, შდრ. მეკობარი (მეკობარი, მეკობრე)...

§ 19. თავისებურ სახეს იღებს ზოგი ნაცვალსახელი და ზმნიზედა: ისით (ისეთი), ისითა (ისეთი); ვერა(ი) (ვერაფერი), ვერა-რა, არან (არ-რანი), არაში (არ-რაში), არც(ა)რა (არც რაიმე), აღარა (აღარა-რა), ვერც რას (ვერც რასმე), არრის (არა რისიმე), არროს (არ-როლისმე), არცროდის (არასოდეს), არაითა (არ-რითიმე), ვერცროს (ვერასოდეს), ვერსაით (ვერსაიდან), არც(ა)ვინ (არც ვინმე), ვერცვინა (ვერც ვინმე), აღარცვისთან (აღარც ვისთანმე)... ემ (ამ), ემა (ემავ), ემაგის, ემაგისთანა, ემაგით, ემავ (ამავ); ესრე (ასე), ისრ, ისრე (ისე), იმგვარ (იმგვარად); ემანდ, ემანდე (მანდ), ემაჩი (აქ), მაგაჩი, ემაგაჩი (მანდ)... ისი (ის), ისეები, ეგეები...

§ 20. ბოლოკიდური ა: ა) კნინობითობის სუფიქსია სიტყვებში: წყალასა, მძინარა (მძინარე), ძერია (ძერა), ქმარა, პურა, მთიელა, მოლექსია, ველა, ვაჟა, ქსელა, ვაცუნა, დევა (დევი), ბებერა, სომეხა, ხმელა-ნ-ი, ტყავა-ნ-ი, არაყა-ნ-ი...

ბ) კითხვითი ნაწილაკია (როგორც ძველ ქართულში): ლეკიაა (ლეკია?), თქვაა (თქვა?), გიდგაა (გიდგას?), გწამა (გწამს?), მოხვედა (მოხვედი?)...

გ) მეშველი ზმნის ნარჩენია: ვინც-ა (ვინც არის), ვინ-ა (ვინ არის),



ხანუგეშოც-ა (სანუგეშოც არის), ისი-ა (ის არის), შენთან-ა (შენთან არის), არ-ა<sup>1</sup> (არ არის)..

§ 21. -ლა ნაწილაკის თავისებური ხმარება გვაქვს მაგალითებში: ვასო-ლა, ვანო-ლა: „მაშ ჩვენებიანთ ვასო-ლა, საით, ვინ გააჩინაო?...“ „ჰო, მაშ ვანო-ლა, დედილო, ის სადლა არის ნაპოვნი?“ („დედა და შვილები“), სასძლო-ლა, ისა-ლა, თავებს-ლა...

§ 22. -მც(ა)-ნაწილაკიანი წინადადება ნატვრას გამოხატავს: ნუმც: „ნუმც მოგეშლება სახელი, მანამ ხმალი გრტყავ წელზედა!“ („გველის-მჭამელი“, VIII); ნურასამც (დეე, ნურაფერს): „ნურასამც ვაწყენ ამით ღმერთს, რაც ახლა დავიყბედი!“ („გველის-მჭამელი“, VIII); მუდამამც (დეე, მუდამ): „მუდამამც ხელი მოგემართება, მუდამამც გაგემარჯვება!“ („შობის წინა-ღამე ტყეში“); ისიმც, ნუ-რაიმც....

§ 23. -ოთ ნაწილაკს „ალბათ“-ის, „ეგება“-ს მნიშვნელობა აქვს: ძროხებშიაოთ (ალბათ, ძროხებში), ფშავშიოთ (ალბათ, ფშავში), პურიოთ (ალბათ, პური), კიდეოთ, ვეღაროთ, ვეროთ, აროთ, მარ-თალსაოთ...

§ 24. მიცემითი ასრულებს ვითარებითი ბრუნვის ფუნქციას ისეთ შემთხვევებში, როგორცაა: მწკრივასა (მწკრივად): ცხენ-დ-ა-ცხენ-დ-მოს დევს ჰაბუჯი, ისრებს მოისვრის მწკრივასა („ეთერი“, III); ღვარასა (ღვარად): წყალს არვინ გამამახდინა, ცრემლი ჩამომდის ღვარასა („ფშავლები“, — ძველს...); ცოტას(ა) (ცოტად): „მოიცა, ქალო, და-ძმობას, ცოტას იარე წყნარადა“ („ბახტრიონი“, IX); ძალიანას (ძლიერად): „ძალიანას გამიწყრა“ („ავტობიოგრ. ური-ადნ.“).

მიცემითი ბრუნვის მრავლობითი გვაქვს მაგალითებში: დათაო (დებსო); რად გვიწყრებოდი ძოღანა, რად გვაწბილებდი დათაო („ფშაველი და...“, IX); საფლავთ (საფლავებში); ტანზე ამასხა ეკალი საფლავთ წინაპართ კვენესამა („მოდი, მოხშირდი, ჰაღარავ“).

მოქმედებითია: საზრდოთ (საზრდოთი): ცამ და გვინამა და მიწამ საზრდოთ გაუვსო ძირია („ჩეჯილი“).

§ 25. დროისა და ადგილის ზმნისართი გადმოცემულია ნათესაობითი ბრუნვით: შუბლისა (შუბლზე): (ივანე) გაუდგამდევე-რად მარტოკა, ოფლის დიოდა შუბლისა („ივ. კოტორ. ამბავი“, IV); მთებისა (მთებზე): „ჯერ ვეროთ გადაავ-ლიეს, კიდევ მაასწრობ მთებისა“ („გეგლია“, I); პირისა (პირიდან): ხარი მამიკვდა კვირისა, ცეცხლი წავყარე პირისა („ფშავლ. ცხოვრებიდამ“); გულჩაიმ-

ჯიღა, ჩაფიქრდა, ალი აჰვარდა პირისა („გიგი“);  
ერთხელისა (ერთხელ): „ერთხელისა დიდი ნაორღვენი  
მოიღა“ („დარეჯანი“, I); ზამთრის (ზამთარში): ზამთრის  
ზვავეების ქუხილი, გაზაფხულს წვიმის ღვარია  
„სიმღერა“—არცრა); მაშინის (მაშინ): როცა მოგშივდება  
და შაგცივდება, მაშინის კი აქავ მეეხირები“  
„საშობაო მოთხრ.“, — სტუმრები).

ნანათესაობითარი მიცემითია: ცისასა (ცაზე, ცის გზით): დავლიე  
წუთისოფელი, მივემგზავრები ცისასა („დამუწე-  
ბულსა ენითა“); მთისასა (მთის გზით, მთიდან): მეტი იმათ  
ხელთ რა არი, რამზე მოუვათ მთისასა?! („ბნელე-  
თი“); იქისას (იმაზე გავლით), სახთანისას (სახლთან გავლით),  
მარცხნისას (მარცხენა მხარეზე)...

§ 28. ვითარებითი ბრუნვის ფორმა: ა) ცვლის -ზე, -ში-თანდე-  
ბულიან ფორმებს და მიუთითებს ადგილზე: კარადა (კარზე): „სახ-  
ლი აქ, ჯარეგას მიდგა, ქავე და ციხე კარადა“  
„სტ-მასპ.“, I); მუჭადა (მუჭაში): ბარი კი ამ დროს  
სარჩოსა მაგრა ინახავს მუჭადა („მთაში“); ზენა-  
და (ზევით): ...ჩემთა მოძმეთა ცად აეწია, ზენადა  
„სიყრმე სიბერედ ვაქციე...“); წელადა (წელზე): ხარ-ზაქებს  
ჰგვანან მხედარნი, ხმლები არტყიათ წელადა  
„ბუნების გლოვა“); ხელადა (ხელში)...

ბ) მიზანს გადმოგვეცემს: ჰამადა (საქმელად): მარტოკანი არ  
დასხდეთ ამ თაფლისა ჰამადა („თ. რაზიკაშვილისადმი“); მაგადა  
(მაგისათვის): „გლეხნი ვართ, ძმაო ნავროზავ, გლეხნი, მაგადა  
ვართ გაჩენილნი“ (ვარ.) („პაპასი და...“).

გ) ნანათესაობითარი ვითარებითი ხშირად -თვის-თანდებუ-  
ლიანი ბრუნვის ბაღლად იხმარება: გმირთადა (გმირებისთვის): გან-  
მარტავდიან მათ ამბავს, შანდობა თქვიან გმირთადა („გველის-მჭა-  
მელი“, I); გულისადა: „თავის ადგილის გულისად მოკვდით და დაი-  
საყენით!“ („ხევსური ბერდია“); მამულისადა: „წესია: მამულისადა  
მოკვდით და დაიხარჯენით!“ (იქვე); ხსნისადა, საქმლისადა, წისქვი-  
ლისადა, ძმისადა, ცოცხალთად, ჩემდ, ჩემად, საქმისად, რისადა, ნა-  
მუსისადა, მთებისად, მაგისად, მკვდართადაც, მისად, იმისად, ზოგე-  
ბისად, ვისად, ღღეისად, ღვეთადა, ბეჩაობისად, საწყულობისად, მტრი-  
სადა...

ერთ შემთხვევაში ვითარებითის ფორმა მოქმედებითს ცვლის და  
როგორობას აღნიშნავს: ცრემლადა (ცრემლით, ცრემლის ღვრით):  
რამდენიც ფშავით ჩავიდა, (ერეკლე) ყველას შესჩივის ცრემლადა  
„ხატმა გვიბრძანა“).

§ 27. უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვა იხმარება -გან თანდებულის ნაცვლად — გამოსვლითის ფუნქციით: ზევითა (ზემოდან), ხევითა (ხევიდან), ლაშართათო (ლაშარიდანო), შორითა (შორიდან), ჩვენითა (ჩვენგან), ციხითა (ციხიდან), ქვემოით (ქვემოდან), ჩრდილოით (ჩრდილოეთიდან), ცით (ციდან), წინაით (წინიდან), ბნელით (ბნელიდან), ბარით (ბარიდან), გულით (გულიდან), დაბლაით (დაბლიდან), ვერსით (ვერსაიდან), ზემოით (ზემოდან), ზენაით (ზემოდან), მუცლით (მუცლიდან), მიწით (მიწიდან), მალაით (მალლიდან), სით (საიდან), ტანით (ტანიდან), ტყვეობით (ტყვეობიდან), ქარქაშით (ქარქაშიდან)...

§ 28. თანდებულებიდან: ა) -გან თანდებული ზმნიზედად გამოყენებულ ზოგ სახელთან -კან სახით გვხვდება (პირველად „ზოგან“ ფორმაში, ორი გ-ს ნაცვლად უნდა მიგვედო „ზოკან“ და შემდეგ ყველა ამ რიგის სახელზე გავრცელებულიყო): ბევრკან, ერთკან, ერთკნით (←ერთკან-ით), სხვაკან, სხვაკნით (←სხვაკან-ით)...

ბ) -ებურ(ა), -ებრ: ქვებურა (ქვესავით, ქვისებურად), მთებურა (მთასავით, მთისებურად), ქალებურადა (ქალსავით), ხარებულადა (ხარსავით), წყლებურა (წყალსავით), ცხვრებულა (ცხვარსავით), დებური (დური, დისებური), ჩვეულებრ (ჩვეულებრივად)...

გ) -კენ თანდებული გვხვდება -კე, -კა, -კ სახით: ზენასკე (ზემოთკენ), იქისკე (იქითკენ), ზღვისაკა (ზღვისაკენ), მეუფისაკა (მეუფისაკენ), ტირილისაკა (ტირილისაკენ), ცისაკ (ცისაკენ), მიწისაკ, საბძლისაკ, შინათკე (შინისკენ), იქითკე (იქითკენ)...

დ) აქა-იქ (პერსონაჟთა მეტყველებაში) -ში თანდებულის ნაცვლად -ჩი გვაქვს: თოფჩი (თოფებში): თოფჩი თოფი სკობ ხირიმი („მოკვეთ.“, მოქმ. I, გამოსვ. II); თუშჩი (თუშებში), სახჩი (სახლში), ახლუაჩი („ახლოში“, ახლოს)...

§ 29. ა) ზმნისართი გამოსვლითის ით-ს დაირთავს: გარეთაით („გარეთიდან“, გარედან), ზეითაით („ზევითიდან“, ზემოდან).

ბ) გამოსვლითის -ით ერთვის -ში/ -ჩი-თანდებულის ფორმებს: ცაშიით (ციდან), ომშიით (ომიდან), იმაჩითაჲ (იქიდანვე), საფლაჲებშიით (საფლაჲებიდან), ხურჯინშიითა (ხურჯინიდან), რომენშიითლა (რომლიდანლა), ძირშიით (ძირიდან), სამარეშიით, (სამარიდან), ყურეშიითა (ყურედან, კუთხიდან), აიმაჩით (იქიდან), აიმაჩითაჲ (იქიდანვე)...

გ) ასევე: გამოსვლითის -ით ერთვის -ზე-თანდებულის ფორმებს: ცხენზეით (ცხენზე იყო და იქიდან), ცხოვრებაზეით (ცხოვრებიდან), წელზეით (წელიდან), ზურგზეითა (ზურგიდან), ხმელეთზეით (ხმელეთიდან), ქანდარაზეით (ქანდარიდან)...

§ 30. თავისებურად არის ნაწარმოები ზოგი მიმღობა: საკმლო (საქმელი), უსაქმო; მკრეფე (მკრეფელი), მომუქარე (დამმუქრებელი), ნამუშაველი (ნამუშევარი), ნაღრძენი (ნაღრძობი), მამხსენე (მომხსენებელი), მკერესა (დამკერებელს), მკერია (დამკერებელია), განაცხადებსა (განცხადებულს), გასახარონი (გასახარებელნი), გამაწილადა (გამაწილებლად), უცოდვი (უცოდველი), მცოდინარე (მცოდნე), საწუხი (შესაწუხებელი), გაღუებული (გაღვივებული), გადაღესულსა (გადაღესილსა), გატურნული (გატურენილი), დაჭაბულ (დაჭაბნილ), მექონე (მქონე), მწვავი (მწველი), უცოდრობით (უცოდინარობით)...

§ 31. თავისებურია ზოგი ზმნისწინის გამოყენება: მოიწყო (აქეთკენ დაიწყო), ჩამოიწყებს (ზემოდან ქვემოთკენ დაიწყებს), ჩამოუწყო (ზემოდან ქვემოთკენ დაუწყო)... მიჯორა (გაჯორა), გაუგვიანო (დაუგვიანო), დაუჩენს (გამოუჩენს), დავახლო (შევახო), დამეხათრები (მომეხათრები), მამეწიენით (აქეთკენ წამოსულს დამეწიეთ), მაიწევს (აქეთკენ გამოიწევს), გავლო (წავლო), გადმომეწევა (ჩემსკენ გადმოიწევს)... გავაცხე (წავაცხე), მიცხოზილს (წაცხებულს), გახურვილი (დახურული), გაბრუნვა (მიბრუნება), გაეჩვენა (მოეჩვენა, მოელანდა), ჩავადლა (დაავადლა ბევრი), მავიმაღენით (დავიმაღეთ ბევრი), მაჰკარგოთ (დაკარგოთ ბევრი)...

ზოგჯერ ზმნისწინიანის ნაცვლად უზმნისწინო ფორმა დასტურდება: წევნაში (შეწვენაში, დახმარებაში), ვუძახო (დაეუძახო), ებარა (დაებარებინა)...

რამდენიმე ზმნისწინიან ფორმაში დაკარგულია ხმოვანი: გაახურა (გაახურა, დაახურა), მიჰბიჯავს (მიაბიჯებს), შეჰყვარდი (შეუყვარდი); შდრ. კიდევ: სჰერს (უჰერს), ჰბავ (აბია), სცვავ (აცვია)...

§ 32. -ავ სუფიქსიანია რიგი სტატიკური ზმნა: უწყვავ (უწყვია), არტყავ (არტყია), გვჩრავ (გვჩრია), აბარავ (აბარია), ჰბავ (აბია), აბაო (აბიაო), გვიგავ (გვიგია, დაგებული, გაშლილი გვაქვს), მხურავ (მახურავს), სცვავ (აცვია), აცვავ (აცვია), მაჩნავ (მიმაჩნია), გვსხავ (გვასხია), მსხავ (მასხია)...

§ 33. -ია სუფიქსით იწარმოება სტატიკური ზმნა „დასცქერის“: დასცქერია (დასჩერებია), გადმოსცქერია (გადმოსჩერებია), შესცქერია (შესჩერებია)....

§ 34. დაცულია ხოლმეობითის და თურმეობითის თავისებური წარმოება: ხოლმეობითი: წავწოდი (წავწვებოდი ხოლმე), წავიძინოდი (წავიძინებდი ხოლმე), წავიხურნოდი (წავიხურავდი ხოლმე), ვაძუვნოდი (ვაძოვებდი ხოლმე), სძრევდოდი (ძრავდი ხოლმე), ვიყოდი (ვიყავი ხოლმე)...

ზოგჯერ ამ ხოლმეობითს თხოვნით-წაქეზებითი შინაარსის გადმოცემა აკისრია: მამიგონოდით (მომიგონეთ ხოლმე), მაუმართოდ (მოუმართე ხოლმე), უთხროდი (უთხარი ხოლმე), მითხროდენ (მითხრან), გამითხაროდი, მნახოდი, ვქნოდეთ (ვექნათ), წამომილოდა, მომაყაროდი, ჩამაყოლოდით, იყოდი, ვიყნოდეთ (ვიყოთ ხოლმე), დაიწეროდი...

აქა-იქ -იღ-სუფიქსიანი (ხევსურულ-თუშური) ხოლმეობითიც შეინიშნება: ამაშიხვიდი (ამოდი ხოლმე ჩემთან), ჩავიდი (ჩავიდოდი ხოლმე), მაილიდიან (მოიტანდნენ ხოლმე)...

თურმეობითი (I) -ავ-სუფიქსიანია: დაუძახებავ (დაუძახებია), ჩაგიგდავთ (ჩაგიგდაათ), უტყუვნავ (ტყუილი უთქვამს), უმცვრევავ (დაუმცვრევია), მაუჭრავ (მოუჭრია), მაუგრუებავ (მოუგროვებია), უცდავ (უცდია), უჭრდავის (უჭრდია), მამიყვანავის (მომიყვანია)...

თურმეობითი (II) „იყო“ ზმნით იწარმოება: სწყენიყვ (სწყენიყო, სწყენოდა), სდგომიყო (სდგომოდა)...

§ 35. -ევ (-ივ) ან მარტო -ენ (-ინ)-სუფიქსიანი კაუზატივები ზმნათა (ათქმევს—ათქმია, აქნევს—აქნია, არგენს—არგინა): მაქნიე (მაქმნევინიე), მათქმიე (მათქმევინიე), მამკევ (მამკევინიე), აქნივა (აქმნევინა, ჩააღენინა), მარგინე (მარგუნე), განანიასთ (განანოთ)...

§ 36. ე-იანი ვნებითი აქვს ზმნას: ექირება (სქირდება), გვექირების (გვექირდება)...

§ 37. ზოგი ზმნა მესამე სუბიექტური პირის ნიშნის მოკვეციტ იხმარება: მიღვა, აღვა, მადვა, გიდვა; მოსწონ, მამწონ; მაგწონ; ჰქონ (ჰქონან), გვქონ, გქონ, მიგქონ...

ზოგჯერ -ან სუფიქსი ერთვის (ძველი ქართულისებურად სუბიექტის მრავლობითის აღსანიშნავად), მაგრამ ფორმა მაინც თავისებურია: მინდან (მინდა ისინი), გვინდიანო (გვინდა ისინიო), მქონან, მწყურან (შდრ. ძმები მყვანან)...

§ 38. ხევსურ პერსონაჟთა მეტყველებაში (ზოგჯერ უადგილოდაც) გვხვდება 3 პირის ნიშნის ლ ვარიანტი: ღნახე (ჰნახე), ვღნახენავ (ენახე ისინიო), ღნახას, ღნახავს, ღგავის (ჰგავს), ღბძანდები, ღკაწრავ, ღქვიან, ვღლიე (ელიე), ღგევხარ (ჰგევხარ)...

§ 39. „უნდა“-ზმნას „არის“-მეშველი ზმნა ემატება: მინდარის (მინდა), გინდარისთ (გინდათ), უნდარის (უნდა)...

§ 40. სხვათა სიტყვის ვ (←ო) დართული ხევსურული ზმნის ფორმებია: ხარევ (ხარო), ვარევ (ვარო), სტყუისავ (ტყუისო)...

§ 41. „ქმარ“-ფუძე წარმოდგენილია „ქმავ“-ის (შდრ. სა-ქმავ[ვ]-ო) სახით: მქმავის (მყოფნის, საქმარისია ჩემთვის), ჰქმავია (ჰყოფნის), გვავქმავს (გვავქმაროს)...

„წუველა“-ზმნის ძველი ვარიანტი „წყევა“ იხმარება: ვწყევ,

ვწყვი, ღაწყვიეთ, წყვეითა, გვაწყვიინებენ, მწყვევარი, საწყვევრად, ღასაწყვევარსა. „ძებნა“ ზმნას ზოგჯერ „ძევა“ ცვლის: იძევს (ეძებს), ძევაში (ძებნაში), ძეულობს (ეძიებს), გამამძიელი (გამომძიებელი)...

არქაული ფორმები დაუცავს „ყოფნა“ და „ცემა“ ზმნათა წარმოებას: ვყვივარ (ყვაეარ), გყვივარ (გყაეარ)... ვიეც (ვიეცემე, შღრ. ღ. გურამიშვილი: თავს ვიეც ქვა-ზე და შემოვსძახე...), იეც (იეცემე, შღრ. ილია: „თავში ქვა იეც და ისა ქენი!“), ვცა (ვეემო), გცა (გვეემო), სცას (სეემოს), სცან (სეემონ), მცესო (მეემესო), გვეცია (გვეემე), მაიეც (იქონიე, შენს თავს მიეცი)...

თავისებურად იწარმოება „გაღაჰხდება“ - ზმნა: გაღამხედია (გაღამხდომია), გაღაჰხედია (გაღამხდომია), გაღაგვხედია, გაღაჰხედოღა (გაღამხდომოღა)...

„აქვს“, „ჰყავს“ ზმნათა კაუზატივია: ვიყოლებდი (ვიყოლიებდი), ვიქონო (ვიქონიო), იქონო (იქონიო)...

„ძღლო“ ძირის ნაცვლად ზოგჯერ „მძღვარ“- || „მძღვან“- დასტურდება: გაუმძღვარა (გაუმძღოლა), მაიმძღვარეს (მოიმძღოლეს), გაიმძღვანეს, გაუმძღვარებია, მიიმძღვანებდა...

„ტირ“- ფუძე -ნ სუფიქსით გვაქვს: ეტირნება, უტირნავ (უტირია)...

„ვალ“, „ველ“ ზმნიდან გვაქვს: მოვლით (მოვლივართ), მივღმოვლით (მიმოვლივართ), მიხვალ (მიდიხარ)...

§ 42. არქაიზმებია: შთაიცვ (ჩაიცვი), სიკვდილმღე (სიკვდილამღე), აღსდგინ (ღეე, აღდგეს), განიბნენინ (ღეე, განიბნიენენ), მარქვეს (მითხრეს), შთენილი (ღარჩენილი), მინაო (მინღაო), სცვიღესა (იცავღეს), სცვიღია (ღაიცავი), უღარვიანო (უღარავენო)...

§ 43. უსუფიქსო წარმოებისაა: ვარგღა (ვარგოღა), წონს (წონის), სწონღა (წონიღა), წონენ...

§ 44. თავისებურია: გეჯღომიღება (გეჯღომება), ვუჯავრობ (ვეუჯავრებდი), წინამღევი (წინალმღევი), შიგა-შიგ (შიგაღაშიგ), ჰღარღი (ჰღარღა), ჰღარღათა, ჰღარღშესული, ჰღარღშერთული (გაჰღარღავებული)...

§ 45. ხანს ჰაე ენაცვლება (ქიზიყელი პერსონაჟის მეტყველებაში): ღორიჰ (ღორის), გოგოჰ, ვერანაჰ, ღვინოჰთან (ღვინოსთან)...

§ 46. წერილში „ხევსურული ქორწილი“ ვაჟას მოყვანილი აქვს ხევსური ხევსბრის მიერ თქმული „ღიდება“-ს ანუ „კურთხევანი“-ს ტექსტი. ტექსტი ზუსტად არის ჩაწერილი, მაგრამ მისი აზრის გაგება მაინც შეუძლებელია, რადგანაც ეს არის რომელიღაც სასულიერო ტექსტის (თუ ტექსტების ნარევის) დამახინჯებული ვარიანტი.

თვითონ ვაჟა ხევსურული „ღიდება“-ს შესახებ წერღა: „ხევსური

ხევისბერის „დიდება“ (ლოცვა) ...არის შედგენილი... თვით ხევისბერებისა და ხალხისაგან ჩამატებით ოდესმე საყდარში გაგონილი სამლო სიტყვებისა.

ხევისბერი თავის „დიდება“-ში ნაცვლად იმისა, რომ თქვას: „კანას გალილიასა წყალი ღვინოდ გარდაჰქმენო“, ამბობს: „სკანისკანარეო, წყალს იორდანეო, წყალი ღვინოდ შესცვალეო“ („ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“).

„დიდებათა“ წარმომავლობა სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ჩვენ აქ მხოლოდ ამ ტექსტის გაუგებარ სიტყვებს მოვიყვანთ: ალამ, ანისტითა, ბაღდა, მანანნი (←მონანი? „სამნი მანანნი ყმანნი ისხედეს“), მასკარისანი, მაღალთაშინას, მაღრანსა (←მაღნარსა?), მახილა, მეურქველისა, მიარობილისა, სერებილნია (სერაფიმი? შდრ. ქერებილნია), სკანისკანარე, სტილონი, ურლუელთია, უსტმუნოებთია (ურწმუნოებთია?), უხითა, ქერებილნია (ქერუბიმი? შდრ. სერებილნია), შაერგინებოდეს, შატყუილისითა, შახარწმუნდებოდა, ჩექარნი, ცხრომალე, წაუტივნა, წარიახნა (←წარახენა), ზიაგი...

ვიმეორებთ: ამ შესავალ წერილში ჩამოთვლილი თავისებური მოვლენები ლექსიკონში შეტანილია არა როგორც ლექსიკური ერთეული, არამედ იმისათვის, რომ მკითხველს ანიშნოს, სად (რა პარაგრაფში) შეუძლია მას ცნობები იპოვოს.

ლექსიკონს ერთვის ვაჟას თხზულებებში დადასტურებული ადამიანთა სახელ-გვარების, შინაური ცხოველების სახელებისა და გეოგრაფიული სახელების საძიებელი. გეოგრაფიულ სახელებთან საჭირო შემთხვევაში მითითებულია პუნქტის ადგილ-მდებარეობა.

საძიებელში მოგაქციეთ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დადასტურებული და საზოგადოდ ნაკლებგავრცელებული სახელ-გვარები (კაცები—ცალკე, ქალები—ცალკე), უპირატესად ფშავში ცნობილი საკუთარი სახელები შინაური ცხოველებისა და ის ტოპონიმები, რომელნიც მკითხველთა ფართო წრეებისათვის ახსნას საჭიროებენ. სახელთან მითითებულია იმ ნაწარმოების სათაური, სადაც ეს სახელი დასტურდება.

მითოლოგიური ტოპონომასტიკა (ხატ-ღმერთებისა და ავი სულების სახელები) ძირითად ტექსტშია დატოვებული იმ მოსაზრებით, რომ მათთან დაკავშირებულია მთიელთა ყოფითი რეალიები, რომელთაც ზოგჯერ ვრცელი ახსნა-განმარტება სჭირდება. ამას გარდა, ერთი და იგივე სახელი ზოგჯერ გეოგრაფიული პუნქტიც არის და ღვთაების სახელიც (პირქუში, კოპალა, თამარი, სხანადა...).

რამდენიმე სიტყვისა და გამოთქმის მნიშვნელობა ვერ დადგინდა (ბედიომეტა, ბუნდა, დიაკონა, ახალფერი, ბადალი, ბალამ-ბალამ,

გოგრის პირის მზე, ლაფანჯი, ლარი), მაგრამ სისრულისათვის ეს სიტყვები მაინც შევიტანეთ ლექსიკონში.

ლექსიკონზე მუშაობისას საყურადღებო შენიშვნები მოგვაწოდა ვაჟა-ფშაველას კაბინეტის მიერ რეცენზენტად მოწვეულმა ჩარგლის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელმა თამარ ხელაშვილმა. ლექსიკონზე მუშაობას თვალ-ყურს ადევნებდნენ და საჭირო რჩევას გვაძლევდნენ ლექსიკონის მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფ. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ბ. ფოჩხუა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტის გამგე პროფ. გრ. კვიციანი. კორექტურა წაიკითხა და საყურადღებო შენიშვნები მოგვაწოდა რედკოლეგიის წევრმა ივ. გიგინეიშვილმა. სალექსიკონო მასალის ამოწერასა, დოკუმენტაციის შემოწმებასა და ამ ლექსიკონის სასტამბოდ მომზადებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ ვაჟას კაბინეტის თანამშრომლები ლ. მამულაიშვილი და ლ. მდინარაძე. ყველა ამ პირს დიდ მადლობას მოვასხენებ.

წინამდებარე ნაშრომი მწერლის ენის ამ სახის ლექსიკონის შედგენის პირველი ცდაა ქართულ ენაზე და, ცხადია, იგი ნაკლისაგან დაზღვეული ვერ იქნება. ყველა საქმიან შენიშვნას ავტორი მადლობით მიიღებს.

ა ლ .   კ ი ნ   კ ა რ ა უ ლ ი



## შემოკლებათა განმარტება

არაბ. (არაბული)

ბაცბ. (ბაცბური)

ბერძნ. (ბერძნული)

ბრძან. (ბრძანებითი)

გადატ. (გადატანით, გადატანითი)

გლ. („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“)

დამცირ. (დამცირებითი)

დაცინ. (დაცინებითი)

ევფემ. (ევფემიზმი)

ვარ. (ვარიანტები)

ველგ. (ველგარული)

თარგმ. (თარგმანი)

თურქ. (თურქული)

ირონ. (ირონიული)

იყენ. (იყენებს)

იხ. (იხილეთ)

კნინ. (კნინობითი)

ლათ. (ლათინური)

ლიტ. (ლიტერატურული)

მეშვ. (მეშვეობით)

მნიშვ. (მნიშვნელობა)

მრ. (მრავლობითი)

მხ. (მხოლოდობითი)

ნაცვ. სახ. (ნაცვალსახელი)

ნაწილ. (ნაწილად)

პოეტ. (პოეტური)

რაქ. (რაქული)

რუს. (რუსული)

საპირისპ. (საპირისპირო)

საუბრ. (საუბრული)

საუბრ.-ხუმრ. (საუბრულ-ხუმრობითი)

სინონ. (სინონიმი)

სპარ. (სპარსული)

უპატივეც. (უპატივეცემლობისა)

ფიგურ. (ფიგურალური)

ქისტ. (ქისტური)

შდრ. (შეადარე)

შორისდებ. (შორისდებული)

ძვ. (ძველი)

წიგნ. (წიგნური)

ხევს. (ხევსურული)

ხმაბაძვ. (ხმაბაძვითი)

**აბბირამ-ს** სურვილს აღუძრავს, მონდოვებს. „ვეუღლით მოუთმენლად სადმე გორაკზე, კლდესთან, ქვასთან ატუზულნი—გაევიგონოთ შენი ხმა, მაგრამ ამოდ; აგვაბირებ საწყლებს ტყუილ-უბრალოდ“ („ბუნების მგოსნები“, II).

**აბბოპირამ-ს** აშლის, არევ-დარევს, ახმაურებს. ააბოეირა ჩიტები ამ გაზაფხულის დილაშა („პირველი გაზაფხული“).

**აბბღმბ-ს:** ქაღაგაღ ააგღებს ქაღაგობას დააწყებინებს. დროა... ბოლო... მოელოს მითქმა-მოთქმასაო, რადგან მნემოსინა ჩვენის ქვეყნისა არ დაგადუმებსთ, ბერს აგაგდებსთ ქაღაგად („უკუაე-უკორნ. ილიას აჩრდ. გარშემო“).

**აბღმნ-ს:** ტყარაშთ აადენს სთხლემს, გაატყამს. „ააღდენ იტყარაშთ“, —ხო იცი!“ („ხევსურები“).

**აბღლღმ-ს:** უნდა აადულოს კორკობი („ხალარკობა და რიკები“), ბეჭდვის შეცდომაა, უნდა: ადუღოს.

**აბზმინაღმ-ს** აშპარტავანს გახდის, ააღლევებს. „ისევ თავს უთხრა: „დამშვიდდი, გულო, რამ აგაზვიადა?!“ („მთაშსრულიად...“).

**აბბბმბ-ს:** აზარს აათავებს ას წმინდა ნადირს მოკლავს (ყოველი აზარის ათავების შემდეგ მონადირემ თოფი მიწაში უნდა დაფლას სამი დღით). (იხ. აზარი, ათავებული). „რამდენ აზარს „აათავებს“, შეასრულებს მონადირე, თოფი იმდენჯერ უნდა დამარბოს მიწაში სამს დღეს“ („აფხუშობა“, — სქოლიო).

**აბლახლახმ-ს** უშნოდ, დუნედ ააშოძრავებს (ფრთებს). (წერო) აფრინდა ერთი, შეპყვირა, აალახლახა მხრები (არაწივი და ყვაივი“).

**აბლიანს** („ხეეს. ქორწ.“) ბებდვის შეცდომაა, იხ. ალიანს.

**აბმბშბმბ-ს** აიკლებს, ააწიოკებს, ააოხრებს. აუმტუტებავ ქვეყანა, — ციხე-კოშკები რაც არი („ნანგრევთა შორის“).

**აბრთმმ-ს:** ალლოს (მხარს) აართვამს წინასწარ გაუგებს, მიუხედება. „ამლამ ეგ გოგიასთან წაუსვლელო არ დაღება, ალლო ავართვი“ („სცენები“, —ფსავლ. ცხოვრ., I); „ნამღვილია, ეგრეა, უნდა ალლო, მხარი აართვა სიზმარს, სიზმარი უმხრო არ არი“ („მოკვეთ.“, მოქმ. I, გამოსვ. II).

**აბრიღმ-ს** მოაცილებს, მოაშორებს. ღმერთო, გვიკუროთხე ჭეჭილი, ნუ არიდებ პირსაო („ჭეჭილი“).

**აბსინამბ-ს** სინათლეს გამოაცემინებს, აანთებს. (ბიძაჩემმა) კრაქი აანთო, ბუხარში ცეცხლი აასინათა („მოგონება“).

**აბსმღ ღა ღანსმღ** იხ. § 12.

**აბბბნ-ს:** ძილს აატანს გაიღვრებს (ნაშყოში: ძილს აატანა). მეც ზმორვით აედქვი, ძლიესძლიეობით ავტანე ძილს, პირი დავიბანე („მოგონება“).

**აბმომბ-ს** აახმაურებს. (ხევსური) მთელს არაგვის ქალას ააქოთებს და ააზრიალებს („ხევსურები“).

**აბაბნმბ-ს:** ზარალს ფეხზე ააყენებს აინაზღაურებს. დღეს ვიცინი, რადგან თავის მოკვლით ფეხზე ვერ ავაყენებდი ზარალს (ვარ.) („დღეს სულ ვიცინი“).

**აბჩღმბ-ბ** გამოაჩნდება, შეეყრება (ავადმყოფობა, სენი). ჩვენემც ცოღვა

გაქვ, მამლო, წიწაკიმე ავანდებო“ („ფშაველი და...“, XI); მოტვლეპილი აქვს კინკრიხო, ზედ ასხენია ქეცია („ქე-ბათა-ქება“ — ჭანღმა).

ბაჩჩაბაბა-ს აახმანებს, ხმას გამოადე-ბინებს. ლომი საომრად მზადდება, კბილს ააჩქამებს კბილზედა („ხატრიონი“, V).

ბაბრახაბა-ს ალაპარაკებს, საუბრის ხაშულაებას მისცემს; გაართობს. „ამაძ-რახებს, ან აეს მეტყვის, ან კარგსაო, ვი-ფიქრე“ („გასამართლ. ჩიბუხი“, II). „ღმერთმა გიშველოს, რო მოხვედ და ამაძრახე“ („პაპასი და...“).

ბაწმარაბა-ს წერებად (იხ. წერა?) დაღვამს ძნას. (გამახარე) ქერებს გა-ღარჩა, „ააწერავა“..., რომ გამოშვრალი-ყო („ფშაველი და...“, III).

ბაწმინდი (ააწუნტე+პროსოდიული ხმოვანი ა) — ააოხრე, ააპრადე. (ელი-აე), განა შეგშვენის, რომ სეტყვით ქვე-ყანა ააწუნტა? („უიღბლო იღბლიანი“, XII).

ბაბ 1. (უარე. შორისდ.) არა! გავი-გონია? შენც არ მომეკვდე! „ნწი აბა! არა ამოა, წავიდა, მორჩა“ („ცრუ-პენტ. აღმზრდ.“ ნაწ. I, თ. IV). 2. კიდევ, სწორედ, აი. ვინც იმას ვას-ტებს, ის არის, აბა, ის არის ვაჟია („სა-დიღმარხეოდ“) | 3. მამ (კითხვა). „აბა რა ვარ?“ (თარგმ.) („ბედნიერი დღე“, მოქმ. I, გამოსვ. V). 4. არიქა (მოწოდება). „აბა, მღევარი, აბა, მღევარიო!“ — ყვი-რიანი... („მელია-კულიგქელია“, IV).

ბაბ-ბა-ბაბ იფიქვა, რაც აბაბაბა(ი). „აბა-ბა-ბაა, რა კირნახულებია, იტყვის კაცი, საცაა გაქანდებო“ („ფშაველ-ები“ — გაოცება).

ბაბაბაბა(ი) გამოხატავს გაკვირვებას. „აბაბაბა, რამდენ წყალ-ადგილ გაუ-ჩენავ, გიგო, იმ დალოცვილს ღმერთს“ („სცენები“, II, სცენა ბარში); „აბაბაბაი, საკვირველ საქმეს შვრების (იპონია)“ („ვინ არის მართალი?“).

ბაბ-ღა-ბაი გამოხატავს მოწოდებას. „გაუბედე, წრუწუნავ, გაუბედე! აბა და ბაი ემანგრე, ემანგრე“ („ჩხიკეთა ქორ-წილი“).

ბაბ(ი) აბა (მნიშვნ. 4) ბევრისთვის მიმართვისას. „აბათ, აბათ, ბალღებო!“ („საშობაო მოთხრ.“ — ხატობა).

ბაბი გაკვირვების შორისდებული. „აბაი, მოიცა, სულაამზუთავი ხომ არა ხარ, კაცო!“ („დღედ. საჩუქარი“).

ბაბ(ი) (იხ. ხეცს.) აბა, აი, აბა ერთი... „აბალე, მამასწვერო, აბალე, მეელი!“ („სცენა მთაში“); „კა ფრანგული, აბა-ლეი, ნახე, ისეთ სკრის ძვალს, როგორც ი საპოსს“ („ხმა მთიდა“ — სურათი).

ბაბ(ი) (აბავო) იხ. § 82.

ბაბარაბ იხ. § 82.

ბაბარაბ-ს დაბარებს. „ესევე ვაბარე ქარსა, ფრინველთა, მაგრამ... მე შენ გუ-ლი ვერ მოგიღბე“ („მეყვარებ.“, IV).

ბაბსტაღ უცბად, უეცრად. აბასტაღ ბალღების ხრომა კარისყ დიგრილა („დამშუელი“); მშრალზედა მეოფი აბას-ტაღ შემბოქა ტალღამ მძიმემა („სიზმარი ამირანისა“).

-ბაბარ-ი „ეს სიტყვა დამოუკიდებ-ლად არ იხმარება, არამედ აბჯართან ერ-თად: აბჯარ-აბჯარი ან აბჯარ-აბ-ჯარი“ (ა. შან.). თავს რომ დაატყო — კვლდებო, ჭალათ ანიშნა ხელითა, რომ გაეყვანათ კარზედა აბჯარ-აბჯარით მთელითა („სიკვდილი გმირისა“).

ბაბარ-აბჯარ-ი იხ. აბჯარ-აბჯარი. დამღუნებია მთელი სხეული, ამაო არი აბჯარ-აბჯარი („ამგლიჯა გული“...).

ბაბ(ი) აბაბა-ს არჩევს, ასხვავებს (ა. შან.). (მგელო), დღე-ღამეს არ აბეღენებ, თუ-კი თვალს მოჰკრავ ცხვარსაო („ქებათა-ქება“ — მელი...).

აბჯანს: თ ვ ა ლ ე ბ ს ა ბ ზ ე ნ ს თვალღებს აციმციმებს. (ვარსკვლავები) ღამ-ღამ აბჯანს თვალღებსა, პატარაღებო-ვით ჩნდებიან („მზე და ვარსკვლავები“); ყვავილნი მურთიანით ნაზად აბჯანს თვა-ღებსა („სისხლის ძიება“, VI).

ბაბ-ა: გ უ ლ ზ ე ა ბ ი ა უყვარს, გუ-ლით ატარებს. ვინ იცის, რა მაგონდება ქეაე მენატრება მშობელი, თორემ ცოც-ხალი არსება გულზე მაბია ყოველი („მთიელი ბავშვი ქალაქში“). კუ დაღ აბი ა მოხდევს, მასთან ერთად არის. „ამ საქმეს ერთი სხვა საქმე აბია კიდევ

კულად“ („მოკვეთ.“ მოქმ. IV, გამოსვ. VII).

აბირღებ-ბ „მოუნდება, სურვილი აღ-  
დგვის“ (ვაჟა). „ძუძუთ ვათირებთ ბალ-  
ღებსა, რძისთვის რო აბირღებთან“ („ბან-  
ტრიონი“, III).

აბირამბულ-ი სურვილადრული, მონ-  
დომებული. კეთილს თანა სდევს მოსისხ-  
ლელ ბოროტი აბირებული („მთიულის  
სიმღერა“): გზას ეწალდაე ნარ-ეკლიანსა  
საშრომლად აბირებული („მართო გამ-  
ზარდა დედამა“).

აბლაპატშერი-ი (საუბ.) აბლაკატის  
დამახასიათებელი, გაიძვერული. ხშირად  
ჰხდება სასამართლოში, რომ ტყილამ გა-  
მოეარდნილი ფშაველი სტყუის და აბლა-  
კატურს ხრიკებსა ხმარობს („წერილი  
ფშავის-ხევიდამ“).

აბლბტი-ი ჩურჩუტი, ყუყუჩი, შტერი.  
სახლში მამლის საუბედუროდ ინდაურე-  
ბი გაიჩინეს, — გაიჩინეს ეს აბლბტი,  
ჩერჩეტი, კიკვივა ფრინველები („ჩვენ  
მამალი“, II).

აბოშირღებ-ი-ან აირევიან, აიშლები-  
ან, ახმაურღებთან. (ხმები) კვლავ აბო-  
ჟირღენ, კვლავ ამბირებს და მომიბატეს  
წყლულები წყლულში (“\* \* \* ვიწვებან...“).

აბოშირღებ-ს ერთმანეთში რევს,  
შლის, აწიოკებს. „ვინ ხარ? რას დახვალ  
დამ-ლუმთა, რას აბოჟირებ სოფელსა?“  
(„მამიდის დანაბარები“).

აბოშირღებბ არევ-დარევა, აშლა, და-  
წიოკება. „ვინ ხარ? რას დახვალ დამ-  
ლუმთა, რას აბოჟირებ სოფელსა?“ „აბო-  
ჟირება თუ არი, — შვილი ეწვიოს მშო-  
ბელსა?“ („მამიდის დანაბარები“).

აბორბოშვებ-ს აბორგებს, აღლევებს,  
აშფოთებს. კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვა-  
ჟებო, ნათქვამის არა გვრცხენოდეს,  
მსმენლის გულს. აბორგოვებდეს, არავის  
არა სწყენოდეს? („კაი ყმა“).

აბორიბლბ-ს ატრიბლებს. პირდა-  
პირ ქარი მბერავს, წვიმასთან ერთად  
მინდერის შტვერს მყარის თელ-წარბში  
და მამბორიბლებს („ოცნება“); მოაქვს და  
ნამქერს ატრეებს, პაერში აბორიბლებს  
(„მამას ელიან ბალღები“); აბორიბლებს

ვაეკაცსა გრძნობა და ფიქრი ორფერი  
(„შემოდგომა მთაში“).


აბოშინქაბ-ს: ფხვებს აბოწი-  
წკებს ფეხებს ვანზე აბჯენს, ფეხებს  
უყრის და ცდილობს, არ წავიდეს. „ჰაა,  
ფეხებს ნუ აბოწიწკებ, წამო ჩქარა!“  
(„მეტელა“, VI).

აბაშნბალებ-ს: თვალებს აბ-  
ეუენტალებს თვალებს ძლივს ახელს.  
(დაქრილი) თვალებს სუსტად-ლა აბეუნ-  
ტალებდა და გულსა ჰკლავდა კენესითა  
მწარით („ყარისის ბოლოს“).

აბრუ სახელი, პატივი. სახელი ჩემი  
და აბრუ აღმადღეთ ქვეყნის თვალში  
ქებითა და დიდებითა („დათვი“, II); აბ-  
რუს არ იტებს არ იმჩნევს, არ  
ტყვება. გოგრას არაყი ემწარა, მაგ-  
რამ აბრუს არ იტებს („გოგრა“, V);  
აბრუ აქვს გატეხილი სახე-  
ლი აქვს გატეხილი, ნდობა აქვს დაკარ-  
გული. „ჰი ვიდი, მართალნო, — სთქვა  
მელმა ღიმილით, — მე აბრუ მაქვს გა-  
ტეხილი, ჩემი ცოდვა ცოდვადა სჩანს და  
თქენი ცოდვა კი მადლად“ („ტრე-  
ლები“).

აბუშტი-ი მიუხვედრელი, ჩერჩეტი.  
„ეი, შე აბუეტო, შე ჩურჩუტო, გამოტ-  
ვინებულო, სადა ხარ?“ („ყორანი“).

აბჯბრი-ი საომარი იარაღი (შეტევისაც  
და თავდაცვისაც). (ივანემ) ტყვეებს



დაუხსნა ხელები, მისცა ლეკების აბჯარი (ივ. კოტორ. ამბავი“).

აბჯარ-აბჯარი იხ. აბჯარი. შეატყობინა იმათაც საქმის გარემოება, რის გამოც ისინი შეიარაღდნენ აბჯარ-აბჯრით („სოფლის სურათები“, 7). აბჯარ-აბჯარი სხდებიან იხ. სხდებიან.

დაინხარჯება (ფიგურა) დაიღვეა, დაიღუბება, თავს გაწირავს. „წესია: მამულისადა მოკვდილთა და დაინხარჯენით“ („ხევსური ბერია“).

დაინხმდნებ-ს დაიხედავს. ისე მოკველებები, რომ ერთხელ არ დაიხედნო ტანზედა („შაშო, მასვე კმდერ“).

დაინხმლთმებ-ს გაგიუღება, გადაირევა. შიშმა შამიპყრო მაშინ კი, ესთქვე: „დაიხელოთ იქნება“ („ნანგრეეთა შორის“, I).

დაინხმალნიმ-ს სახალიოდ გადაღებს, შეინახავს. (მგლებს) ქვაც რომ დაენახათ, ისიც ხორციელი არსება ეგონათ და ზედ ქვადებოდნენ შესაკმელად. ვიარს რას დაიხვალეებდენ!... („უძლური ვირი“, I).

დაინხარჯ-ს ჩაიხლენს (ხმას). „დაგსივებია ცხვირ-პირი, ხმაც მიტომ დაგისხიწია“ („მეჭლისი ლომისა“).

დაინხულუზნებ-ს ფრთებს შემოიკეცავს და მთელი სისწრაფით დაუშვება. არწივი... დაინახავს თუ არა კაკაბს, დაიხულუზნებს, დაეცემა საბრალოს („ქვეყანაზედ რა მოვლენა რას მომავლენებს“); დაიხულუზნა არწივმა. ქვეა გაისმა ცაშია („იუ და კერდღელი“).

დაიჯილბმებ-ს ჭილავეთ, აღვირით შეაკავებს, დაიმორჩილებს. ამოდ დაგერჩა მამებსა ფიქრი და: გულის ძვერანი, ეგებ თქვენ დაიჯილავეთ ბარათაშვილის მერანი („ანდერძი“).

და-მ-პასხასმებ-ს დაკისკისებს. (გადატ.) დასპიკიკებს. ტორუა დაამდერის და ქარისაგან გატაცებული დაქასკასებს სოფელს თავზე („სოფლის სურათები“, I).

დამამ-ს დაეპავს, დაუწავს. „მაგრა დაქარ, დაეფე; დასქერი, ნურავის დაზოგავი“ (თარგმ.) („ფეოდ. აღზრდა“, III).

დამამნა მსხუბუქად დაქრა (ბასრი იარაღით). დამქრელი უნდა მოელოდეს დაქრას, „დაკექნას“, თუ ექიმი არ დააყენა დაქრილს („ხევსურის თავი“).

და-მ-პამპნი-ს მსხუბუქად დაქრის (ბასრი იარაღით). (ხევსური), თუ სისხლის აღება უნდა, მოკლავს და, თუ შეურაცხ-

ყოფილია მცირედ მისგან, „დაკექნის“, დასქრის („ხევსურები“).

და-მ-პმლმ-ს დააკვირდება, შეხედავს, დასქერდება. (ქალმა) ჭერ კი პირდაპირ დასქელია, თვალს გამოყარა თვალით („ფშავლის სიყვარული“); ანგელოზს ჰკვანდა ივანე, რომ დაგვეკლია ფერზედა („ი. კოტორ. ამბავი“, IV).

დაპმლმ-ს დახედვა, დაკვირვება. ჩემს დაქვლევას (ვარ.) („ქაქი“).

და-მ-პმმ-ს დაქებეს. „დაქმიქვე, დაქმიქვე, პაპაის შვილი!“ (ვარ.) („პაპასი და...“).

დაპმლმ-ს ჩაწყვებთა, გაქრობა, დაქნინება. „აი დაქნელმა და დაქნელმა შენის ხმისა“ („მოკვეთა“ მოქმ. III, გამოსვ. II).

და-მ-პარმ-ს: თოფს დაქრავს ტყვიას მოარტყამს. „მინამ შენ თოფს ხელში აიღე, მე კიდევ დაგკრავ თოფს“ („ფშავლები“, — შინამც). თოფი დაქრადეს ტყვია მოარტყავს. „(გიგლია) უთხროდი, თოფი დაქროდეს იმ დალისტანელს წინასო“ („გიგლია“, I).

დაპმპრმი-ს საწყევარი სიტყვაა (დაწყველილი, სასიკვდილი), მაგრამ საალერსოდაც გამოიყენება (მღრ. ქალ-კუპარი, ქალ-ბნელი...). ამოჩენილან ყუაილნი, წითელ-ყუითელან ქალანი, უხდებათ დაქუპრვილებსა მანდილ-გრეხილნი, კაბანი („გაზაფხული“).

დალბანდ-ს დოლი. მემუსიკენი საყვირებს, დალბანდს უკერენ ტებილადა („ნახევარ-წიწილა“, VI).

დალმმმარ-ს იდი ფარი(?). მოესროლეს იმით (ყუდიანებმა) „სიციების“, ძაღლების და სხვა „უსურმაგის“ ნაჭერ-ნაყუწები, მაგრამ გმირმა ბერბადურმა— გუდანის ჭვარბა დალამფარი უფარა („რამე-რუმე მთისა“).

და-მ-ლამონ-ს დახარის. (ყორანი) დაპლალოდა წყუელი აქ მომდარ ხათაბლასა („ეთერი“, V).

დალანლანმ-ს დალანლანებს, დაწანწანებს. (მგლები) სიმშობისაგან შეწუხებულნი დალანლანებდენ მინდორზე („უძლ. ვირი“, I).



დალახბავ-ს სიარულით გათელავს, დაივლებს. „უერთოდ აღარ დავლახბავთ ბილყებს ჩვენი მთასას“ („ბახტრიონი“, VIII). (ვინმეს) სიტყვას დალახბავს (ვინმეს) ნათქვამს არ შეასრულებს. „მეუბნებოდი: ვინც შენ მოგვლა, წადი და შენც ის მოკალო, წაველ და მეც მოვკალო. შენი სიტყვა არ დავლახბე“ („მოკვეთი“, მოქმ. III, გამოსვ. II).

დალახბრავს-ს: თოვლს დალახბრავს თოვლს გააღნობს, გააღნობს. სწორედ მესამედ მოვიდა ეხლა წვიმა, აქა-იქ დარჩენილი პატარა-პატარა თოვლები დალახბრა („ფიფლისხიტა“).

დალახბრავს-ს უშნოდ მოძრაობს, დაღის; აქ: უშნო მოძრაობით დაფრინავს. სვავო. შე გაუმძაღრო. რას დაქალახბებ ცახედა? („ქებათა-ქება“, — მელო...).

დალახბრავს-ს: დაგლახბროს! წყველა: მოგსპოსი გაგანადგუროს! „დაგლახბროს გვირმა კობალამ: ავრიანე!“ („კობალა და იახსარა...“); „დაგლახბროს ცხრამ წმინდამ გიორგომა. შე სიკედლიოს დაბუნდებულო!“ („ფშველები“, — შენამც...).

დალევს-ს 1. მოსპობს, დაღუპავს, გაწყვეტს. „მაშ რა უნდა ვქნათ, ხომ ჰხედავ, ფშველები პტერმა დალია?“ („გიგლია“, I). დივად დაღვეს დღდაბუდიანად მოსპობს, თესლს გაუქრობს. „მოსვენებს არ მოგვეცემენ ეგენი, თუ ლივად არ დავლიეთო, უთქომ პტერსა“ („ფხუშობა“). 2. გააფუტებს, წახდენს (ვირანახულს). „სად ვინა ხართ, დალია ხბუებმა ყანა, მწერელ-ჩვილებო?“ („დარეჩანი“, I). 3. მოიტაცებს, წაიღებს (ზვავი, წყალი). ეგებ დაგლიოს იორმა, მე დამრჩეს შენი კუფხები („ფშვეელი და...“, XI); (არაგვი) ორწყალში ჩამასწევი, თათრის ქარ დაუღვეია („გაზაფხული“); (გამახარებ) სამოცამდე თივა აავო მთა-ში... „მავრამ ისიც „დასაგლო“, ისეთ ბინახე დასაყენებლო, რომ თოვლის ზევს არ „დაეღია“, არ „ჩამოეყარა“ ე. ი. არ წაძლიერო („ფშვეელი და...“, III).

დალევს დახოცა, გაწყვეტა. ამბავი თუშების დაღვეისა იმას (თილისძეს) წაუღია („ლაშარობა“).

დალიგნდებ-ს ძლივს შესამჩნევად, ჩრდილივით გამოჩნდება. დალიგნდა ვილაღ (ვარ.) („ქაჯი“).

დალიგნდებ-ს დაღვეავს, ფსკერზე ჩაიტანს. ქალი გაიქცა თავად კი იქა, საცა ვაქარი წყალმა დალიცა („ქალის მთა“); ზვირთებმა ზღვისამ უფსკრულს დალიცა („ღელა და შევილი“).

და-ქალიგლიგნდებ-ს რისხამე ზევით, მაღლა ლაღაღებს. (ქაჯი) დაქალიგლიგნდება ქალსა თავზედა ხელშეუქცევი, როგორცა ხმალი (თარგმ.). („ქაჯი“, II).

დამამლებულ-მბ-ი სწრაფად მოძრავნი, გაჩქარებულები. წინ როქო და უქან შევარდენი დამამლებულები მოდიოდნენ („პატარა მწყემსის ფიქრები“).

დამამრავს-ს: დამარხე დარეჩანი (ქავარაი...) მოსაუბრეს მიმართავს ასე აღერსით: „დამარხე“-ო ეტყვიან და თავის სახელს დაყოლებენ. ნიშნავს: შემოგველი, გენაცვალე, შენი პირიმე. „სადლა არი, დამარხე დარეჩანი, წინანდელი ერთურთის სიყვარული და დანდობა?“ („დარეჩანი“, IV); „აღა, დამარხე ქავარაი, მანც რა არი?“ („დარეჩანი“, III).

დამამდებელ-ი გამჩენი (ღმრთის ეპითეტა). მიშველე. დამამდებელო, ჩამაცივი ჩემი რვალია („სიზმარი ამირანისა“).

დამამალ-ი: დამამალი ხაქო კვერბად შერული, ბოლში გამოყვანილი და შემდეგ ქვევრში ან ქასრში შენახული ხაქო მეკველე ტახტზე დავსვი, წინ სუფრა დავუდგი, თათლ-ერბოიანი ჭამი, მასთან ერთად ხმიადი და დამამალი ხაქო („ახალი წელი ფშვეში“).

დამამდარ-ი: ცდაზე დამდგარი ვისაც ვაფაცობის ჩადენა და სახელის მოხვეჭა აქვს გადაწყვეტილი. ხომ იცი, უყვარს დედასა შეილი, დამდგარი ცდაზედა (ა. მ. ყაზბეგის გასტუმრების გამო). იმაზე არის დამდგარი იმას ფიქრობს, იმას ცდილობს. „შენ კი მაგას არა ჰფიქრობ, სრულ იმაზე ხარ

დამდგარი, რითაც გამარისხებ და შამირ-  
ვენებ“ („ფშაველები“, — შენამც).

**ღამამთხიან იხ. დათხევა.**

**ღამამხამ-ს** საწყევარი სიტყვაა: მებს  
ღაცემს, მოსობს, მოკლავს. „რა მიყო  
მა გმირის კოპალის ლახტნარკაემა, დაე-  
მეგის მწარემ სიკვდილმა, აგრიდა!“  
(„ფთხეშობა“).

**ღამამილ-ი** საწყევარი სიტყვაა: მებს-  
ღაცემული. „ის დამეხილი, ის იქნება“  
(„ბერღისა“); „შე დამეხილო, რაზე ჩაუგ-  
ღე სხვათ ეს ბალი ხელში, რად აკვლე-  
ვინებ ქვეყანასაო?!“ („პატარა მწყემსის  
ფიქრები“).

**ღამამხატრები იხ. § 31.**

**ღამთხვალთა იხ. § 8.**

**ღამთხვარან იხ. § 3.**

**ღამთხვარი იხ. § 3.**

**ღამიღის:** ერთნატილი დამიღის  
(„უთოს-შმა“, II) ბეჭდვის შეცდომაა,  
უნდა: დამიღის.

**ღამიღის იხ. § 13**

**ღამიბირა** ეტყვიან მოფერებისას:  
შემოგველე, გენაცვალე. „აბა დამიტირე,  
გამომართვი ე ყანწი“ („სცენები“, —  
ფშავლ. ცხოვრ. III); როდესაც ფშავე-  
ლი გელაბარაემა, სიტყვის თავზე ატანს:  
„გენაცვალე“, „შენი ჰირიმე“, „დამიტირე“,  
„მოგიკვდე“ („ფშაველები“—ქველს).

**ღამპვალემალ-ი** გზის მაჩვენებელი.  
„ვინ მოვა? დამკვალემალად თათრებს  
ჰყოლიან ჩვენები“ („თათრობა“).

**ღამპვლიან იხ. დაკველავს.**

**ღამპვრალ-ი** დამრტყმელი. ერთის  
დამკვრელს მეორე აღარ უნდა დამრტყ-  
მევისის (ვარ.) („ენა“).

**ღამლავ-ი** წამხდენი, გამფუჭებელი.  
დამლავი ჰირნახლისა რომ კაცთაგანი  
არ იყო (ვარ.) („ნახევარ-წიწილა“)

**ღამნაშუსხვალ-ი** ნაშუსის შემნახა-  
ვი, პატივის დამღები, ნაშუსიანად გამხ-  
დელი. არ შეგშენის, გულო პატიოსანო,  
ჩემო დამნაშუსებულო, ჩემო დამკაცბე-  
ლო,.... შექურვა, შავნელობა („სახ-ფ-  
ხლოდ“); (ირნა). **შემარცხვენელი.**  
„უუუროს კაცმა მაგ ჩემს დამნაშუსე-  
ბელს. წუხელ შუაღამისას მოსული კაცი

მუელი... და აბა თუ სად გამოჩნდეს“  
(„სცენები“, — ფშ. ცხოვრ., II).

**ღამრიგბაშალს:** ხმელეთის დამრიგე-  
ბელს („ფშაველები“ — ქველს) ბეჭდვის  
შეცდომაა, უნდა: დამრიგებულო.

**ღამრჩაშალს იხ. § 31.**

**ღამრჩომ-ი** ვინც რჩება. „თუ შენ  
არ გხედავ ცოცხალსა, არც მე ვარ ცოცხ-  
ლად დამრჩომი“ („მოკონება“—წუ). და-  
მ რ ჩ ო მ-ბ-ი ჰირისუფლები. „ღმერთმა  
წულარა ავი და ურიგო მოგარგინოს, და-  
მ რ ჩ ო ბ-ი გიცოცხლოს!“ („ერთგული მე-  
გობარი“, I).

**ღამრჩომები:** დამრჩომები დიდხ-ნს  
უცოცხლას („უძმოს-შმა“, IV) ბეჭდვის  
შეცდომაა, იხ. დამრჩომი.

**ღამსივარ:** („დაჩავრული მესტიე-  
რე“) იხ. დამსივარი.

**ღამსივარ-ი** დასიებული. სიხარული-  
სა დროშა აღმართე, დამსივარ ტანში  
ცეცხლი აიგზნე („დაჩავრ. მესტიერე“).

**ღამსტარაშ-ი** (გადატ.) ამრევ-დამრევი,  
წამხდენი. ისინი არიან დამცარავენი სოფ-  
ლის და სკოლის საქმეებისა („რედაქცი-  
აში“).

**ღამსტარ-ი:** საიჭიოს დამც-  
დარი ვინც სამოთხეში ვერ მოხვდა;  
ვინც ვერ ცხონდა. იქ საიჭიოს დამცდარი  
საჯაოსაც სცდებო („სახალწლო“, —  
კიდევ).

**ღამსტარაშ-ი** შემცირდება, დაკნინ-  
დება, ნაკლულევათი გახდება. (წყალი)  
ღღეს თუ დამცრედა და დაწყლულდა,  
ხელ ეხდებო: მოქუხს, მრისხანედ მოპ-  
ყელს („სასაპარეზოდ...“).

**ღამსტარის:** ჩემს თავზე პირყვითელი  
კლდე რომ დაუფლებულა და დამცქერის  
(„მთის წყარო“) ბეჭდვის შეცდომაა, უნ-  
და: დამცქერია.

**ღამშიმბაშალ-ი** დაბერებული, ბებერი.  
ეს ადგილი „დამშიმბაშალ“ ხართა სც-  
ხოვრებლად იყო დანიშნული („უძღვრის  
ვირი“, II).

**ღამშიმრის იხ. § 31.**

**ღამ-მწარაშ-ი** გაუმწარდება, ჩაუმ-  
წარდება. დამმწარდა ტახტიც, გვირგვინ-  
იც. ვიკირებოლი ძირითა („სიხმარი“, —  
ვიქევი).

**დამწმარ-ი 1.** ძუნწი, წუწურაჲი. „წინათაჲ ეს ბერუა ვიყავი, რომ ვასპარას ნახევარშაურიანი არაჲი არ დაუღვეინებია ჩემთვის და ნიკვირად, დღეს რა მოვლანდა ამ დამწვარ კაცსა-მეთქ“ (ნობლურად მიწველაჲ, I). 2. უბედური, ხაწ-ქალი. „ღელა მოვიკვდათ, დამწერებო, თქვენი ნამდვილი გამზღელი“ (კპაპას ცოლ-შვილის გლოვაჲ).

**დამწიფებულ-ი:** (ნსული ობლისაჲ, I) ბექდვის შეცდომაჲ, იხ. დაუამებული.

**დამწუხარულ-ი** ლამაზი, კობტა, მოხდენილი. უსინჯვენ მხარ-ბექს ვეჲაცსა, სახეს დამწუხარულს წვერითა (ნამამიდის დანაბარებოჲ).

**დამხედამ-ი** ყურადღების მიმქცევი. ყველა ხატ-ჯვარნი ძალიან დამხედავებია ჩვენი („რამე-რუმე მთისაჲ“).

**დამხილამებინა** („რამე-რუმე მთისაჲ“) ბექდვის შეცდომაჲ, იხ. დამხედავი.

**დამჯაროზ-ი** „უფროსების ბრძანების ამსრულებელი, მორჩილი“ (ვაჲა). „ღედილმა, შენმა დღეგარძელობამა, თუ კი ბიჲი იწენები, დამჯერობი, ცხვრებს და ხბუნეს კარგა მაული, არ იტირებ, ყე-ლიანს წუღებსაც მოგიტან“ („ბერდიხა“, III).

**დანა ზოგადად** — ცივი იარაღი (ხმალი, ხანჯალი...), „(ციხეში) ჯერ შეესვლა არის საკირო, რო კაცმ იხმაროს დანაო“ („ბახტრიონი“, IX).

**დანა-აფთარი-ი** ძალიან გაღვსილი, ბასრი დანა. „(მეათეუალეს) საკმისას — მეხი, კარისას — ცეცხლი, გულში — დანა-აფთარი“ (ნუშაელ. ამოდ-მორწმ.).

**დანაბალ-ი** იხ. მინგრეულ-დანაგალო.

**და-კანთოი-ის** დანათის, ზემოდან ანათებს ხოლმე. მთერე კი ჯერ არსადა სჩანს, არ დავენათოის თაეზედა („ღამე მთაში“).

**დანალევი-ი** წანახდენი, გაფუჭებული (ვირნახული). „შავერდაანთ სანიკომ ვირების დანალევი ყანა მახლეინა“ (ვარ.) („სტრუციხე“, I); „მე რო მასხარად ამიგლო, არ მიზლო დანალევი“ („ნახევარ-წიწილა“, IV).

**დანაბევებ-ი** იგოვეა, რაც დაბევებული. ტყისთვისაც ძამა ჩაუცვამს სიბნელეს დანაბევებსა („ღამე მთაში“).

**დანატყვი-ი** „შეფერილი, ფერდადებული (თუ: მამსგავსებული, მიფერებული?“) (ა. შან.) ...და ზურგზე ისრის ქოჩონი კილოთ ცას ანაქვითა, რა კარგი სანახავია ლურჯის ცის დანაფერთა! („ეთერი“, XI).

**დანაცრებულ-დადაკვლებული-ი** იხ. დაიდაკვლება.

**დანახედებ-ი** ნანახი. ბალია ეხლა გონს მოდის, გულს უკლავს დანახედები („ხის ბექი“, VI).

**დანახედებ-ი** რაც გადახდა, რაც შეხვდა, ზვედრი. იმასაც (დათეს) დანახედები მელისა გადახდებო (ვარ.) („ნახევარ-წიწილა“).

**დანელდებ-ა** გაქრება, დაქცევა. ხორცო, დანელდი, დამქლევდი, სულო, იხარე, ჰლალოდღე (ნხორცო, დანელდი) || დაივსება (ოჯახი). „ახ, რა ოჯახი დანელდა, როგორ დაკარგეს ნიქია“ („უიღლო იღლიანი“).

**დამონდებ-ა** ოჩანი გახდება; მოღუნდება. მანამღე თვალთა ხედვა მაქვს, არ დავოჩნდები სმენითა („ქებათა-ქება“, — დროება).

**დამონებულ-ი** რაც ოჩანი გახდა, — მოღუნებული, გაზარმაცებული. (ფიგურ.) ვაფურთხებ, ვებრძვი უქნარსა ამ დამონებულს ყოფასა („ჩონგურს სიმები დამიწყდა“).

**დაპირბაღულ-ი** დაბურული, დაფარული. ...და, მწუხრის ბინდით დაპირბადული, შორიდამ მოსჩანს, ნელ-სხივობს ისა (თარგმ.) („ქაჯი“, 14).

**დაპრიალეზ-ა** დალაპლაპებს, ელვარებს. „არწივმა მხარნი დამალნეს, დაპრიალეზდეს ფრანგული“ („გიგლია“, I).

**დაძამებულ-ი** დამწიფებული. დაეამებული იარა, ნესტარით გამოსარწყევი („ნსული ობლისა“, I).

**დარი-ი:** სიწმინდის დარი მოწმენდილი ამინდი, უღრუბლო დღესოფელში ისე დასდგები, მზე რო სიწმინდის დარზედა („ჩანაწერები“).

**ღარბამბე მთლად, სრულიად.** მეშვიდე (მონადირეს) სულ დარამად, ყველაფრით მოშლილი თოფი ქონოდა („ღათვი“, — ყველამ, II).

**ღარან-ი** ნაგებობის (მაგ., ციხის) ქვედა საბოლოო, სარდაფი. აქ: გამოქვაბული. გირის ხმა ისმის მეღვარი, ზანზარებს კლდისა დარანი („მათა ერთობა“).

**ღარბსძულ-ი** რახტით, ვერცხლის სამკაულით მორთული. ცხენები დარახტულები მიმდგარან კლდეთა ყურესა („მანდილი“, I).

**ღარღამ-ი** ჩერჩეტი, ლენჩი, სულელი. მაგრამ იმ ხორბა-შესხმასა... უნდა დავსძინოთ, რომ კიი დარდაციე ყოფილა (ვარ.) („ვაკა-ფშეველას“).

**ღარღმრფონებულ-ი** დარღმესუბუქებული. ახლა ძლივს სუნთქავს ნებითა გულზე დარღმრფონებული („ისისხლისძიება“, XV).

**ღა-ჰ-რამ-ს** მოერევა, აქობებს, დამარცხებს. ასეა, უიარაღომ იღბლით ურჭულთ დარჩია („იე. კოტორ. ამბავი“, VIII). „(ყოყოლა) მარტოკა მტრის ჭარს დაუხვდა, სწორედ დელათით დაგვრია“ („სტ.-მასპ.“, XII). ხელს დაჰრევს იგივეა, რაც დაჰრევს. ერთობის ქექა-ქუხილმა კინაღამ ხელი დაგვრია („მათა ერთობა“).

**ღარმცხვამ** ბანარცხვა დელათწესის ან მშობიარობის დამთავრების შემდეგ. ამ დარცხვას ისე ამბობს დელაკაცი, თითქოს პირის ბანაზე იყოს ლაპარაკი („ფშეველები“, — გზად).

**ღარმთულ-ი** დასაწვავად დაღებული. დამატებული, შეკეთებული. კერაზე ცეცხლი მინთია, ზედ შეშა არის დარმთული („გლეხის სიმღერა“).

**ღა-ჰ-რამცხვამ-ს** დაუტატანებს, დატუქხავს, შერისხავს. ლაპარაკობს სადამე სამი კაცი, დარეჯანიც იმათში ჩაერევა და ერთერთსაც იქნება „ღარამცხვამ“, შეუტევს („დარეჯანი“, I).

**ღარწარწარა** (ხმაბძვ.) „ღლაბანდი“ (ვკა). „დასქვენებს დურდურად“ არ

იქმენ (ცხენები) ჩუჩუნს. იმას გააბრუნებენ, დუკერენ დარეურუასა“ („სცენა მთაში“).

**ღარკოვას** იხ. § 3.

**ღარკოვამ** დარჩენა; სიცოცხლე. დარკომა ანუ სიკვდილი, ეგ ხომ ღეთიური წესია („დაუსტ. კვენესა“).

**ღასაამოდ** დასაამებლად, დახაწვანარებლად. ვაჰ, ამისთანა ნუგემისცემას, ნამდენეესა ღეთისგან ჩემს დასაამოდ! („ამგლოჯა გული“...).

**ღასაბღმარტაბ** იხ. § 8.

**ღასაბულაო**, **ღასაბულაბ-ი** შინ ან ზევისსაგან უსაფრთხო ადგილზე მისატანი, დასაბინავებელი (ძნა, თივა...). (გამახარემ) სამოცამდე თივა ააგო მთაში (თივა—5—6 ფუთამდე); ნაგრ. ისიც „დასაგულო“, ისეთ ბინაზე დასაყენებელი, რომ თოვლის ზეავს არ „დაულია“; არ „ჩამოყვარა“ (ფშეველი და...“, III); სხვას დაჰრჩა დასაგულები თივა ზეავების მსხვერპლად („შემოდგომა მთაში“).

**ღასაბულაბ-ი** (თარგმ.) „ქაჯი“, 10 ბეჭდვის შედგომა. იხ. დახველეთხვე. **ღასაბულაბ-ი** იხ. § 28.

**ღასათირებალ-ი** დასაუყვავებელი, დასაშვილებელი, დასაწვანარებელი, ხანუგეშებელი (მაგ., ატირებული). წვიმა ნოდოდა და ალბობდა მდელოს. მზე ათობდა, ნიავი დასათირებელ სიმღერას უმღერდა („ბუნ. წილ.“); — მოგართმევ, რა გეჩქარება, ჭერ პურო ვსქამთ ხმელა“, — წიწილის დასათირებლად ბატონი ამის მოქმელა („ნახეარა-წიწილა“, VI); მათი (შაშვების) გაბედული სტეენა შორს გაისმოდა, იბნოდა ქაერში, როგორც „ნანინა“ დედისა, მასიაშვილებელი, დასათირებელი, მშვიდობიანის ძალის მომგერელი („უსურვანის დასქა“).

**ღასაბაბულაბ-ი** კვალდახადები, გასაკვლევი. „მამინ შენ შენი ეცადე, გზა პოვე დასაკვალები“ („ეთერი“, IX); საცა ქარიც ადგება, გზა გუნდა დასაკვალები („ქება-თა-ქება“. — მელი).

**ღასაბაბულაბ-ი** მოსასალომ, დახალუპავი. „კაცს ნუ მიკლავთ, თქვე დასალუენო!“ („ტყის კომედია“, მოქმ. II, გამოხვ. I).

დასანაბრებ-ი დასაყრდნობი. მხარ-  
ში ავოსალები და ტანის დასანაბრები ყა-  
ვარაქნი უმკოს-ქმს ძმობილმა როს-  
ტამა გაუკეთა („უძმოს-ქმა“, II).

დასანსალეებს დალასლასებს. ფრინ-  
ველი... თითო-ორი თუ სადმეა და-  
სანსალედა. იაიყ ფერდღერდზე გა-  
რულია შიშვილ-წყურვილით („ხაფხუ-  
ლის სიზმრები“, II).

დასარჩობი იხ. § 3.

დასაშქამ-ი (გადატ.) სათქმელი,  
სალაპარაკო. გულში ბევრია საფქავი,  
არ მინდა დასაფქავადა („თუნდა ამო-  
დი...“).

დასაყვირ-ი რა დასაყვირიც  
რა სალაპარაკოა, რა გასაკვირია. სიუხ-  
ვე მეფეებისა ან-კი რა დასაყვირია!  
(„უთერი“, VII); ხელმოკლეობა ჩიტისა  
ან-კი რა დასაყვირია! („მუხეცია“).

დასაქილადა საყილოდ; სათარე-  
შოდ. (ყლდე) იქცეს მის (მდინარის)  
ტყლადა, სათელად, მის ტალღთა დასა-  
ყილადა („ყლდე და მდინარე“).

დასაბილი-ი დაცინვა. „შენ დასა-  
ცილი არის გავენებს, ბიძისი კაცო, ნუ  
იწყენ!“ („შობია წინა-ღამე ტყეში“).

დასაწვეპარსა იხ. § 41.

დასაწვირ-ის დასვირნობს. „თუ ძა-  
ლიან მოვეწყინა, მე თვითონ წაგიყვან,  
განა მართლა მე-კი არ დავევირობ ვე-  
ნახებში“ („დიდებ. საჩუქ.“).

დასაგამ-ს: ცარიელზე დას-  
ვამს ყველაფერს წაართმევს ან მოპა-  
რავს. „დამსვა ცარიელზე იმ ლეთისაგან  
წყულმა“ („ტყის კომედია“, მოქმ. I).

დასაბურ-ი ხატის მსახური (დღეობე-  
ბის დროს ლუდის დამამზადებელი და  
სხვა საქმეების შემსრულებელი. სოფლი-  
დან დასტურებს ირჩეულდენ შორიგეო-  
ბით). ხევისბერის თანაშემწე არის დას-  
ტური, რომელიც მოვალეა, სასმელ-საქ-  
მელი დარჩიგოს ხალხსა („ფშავლები“, —  
ბეგლს...“). (მაბურაელს) წინ უზის ჩოქ-  
ზე დასტური. შვს ლუდს უმატებს თას-  
შია („წილის ყრა“).

დასაბურება ხატის მსახურად მუ-  
შაობა. „ჩემს დასტურობაში... იმათ იმ-

დენი არ ეასმე, რამდენიც თავად პნე-  
ბედათ“ (ვარ.) („ყრუ-ციხელა“).

დასუღრამ-ს: აგრემც დამსუ-  
ღრა ან იტყვიან მოფერებისა; გინაცვა-  
ლუ, შენი ჰირიმე. „მგელავ, პა, მგელავ-  
ნურცა წაშიხელ, აქ ამიაირე, აგრემც  
დამსუღრავ, აქ!“ („სურათი ფშავლის  
ცხოვრებიდა“).

დასუნსულ-ის სუნსულით, ყნობვა-  
ყნობვით დადის (ფიგურ.) (ლიაკვანი)  
იღლიაში ჯობამორილი დასუნსულედა  
სოფელში („სადიდმარხვოდ“).

დასაგოღი იხ. დასცემს.

დასაქმარი იხ. § 33.

დასაწვირ-ის ზემოდან ქვემოთენ სწო-  
რად, პირდაპირ ქვემოთ. არწიის დასწე-  
რივ ჯავშია შიშით კურდღელი დნებო-  
და („უღ და კურდღელი“).

დასაქინება იხ. § 5.

დასაგამ-ის დადებს ბევრს, დაწყობს;  
ბევრს დასვამს. ვირი მოგებაზე წაეიდა,  
ყურებიც იქ დასხაო („ფშაველი და...“,  
XI). კაცებს დასხაოს სადოა სა-  
კითხის გადსაწყვეტად აღათ-წესების  
მცოდნე პირებს შიიწყევს. როდესაც  
ოჯახის წევრები დააპირებენ გაყრას, მა-  
შინ ერთი მეორეს ეტყვის: „კაცები დავს-  
ხათო“ („ფშავლ. ძვ. სამართ.“).

დასაგამ-ის რამესთან ერთად ქონა-  
ლომის წესისა ალერსი, თან დატანება რი-  
ხისა („მეჭლისი ლომისა“, II).

დასაგამ-ის რაც რასმე ახლავს,—  
რაშიმე ჩართული. ჩამოდნეს მთებ-  
ზე თოვლი, აბიბინდეს ყვავილები, ხშირ  
ბალახებში დატანებულები (ვარ.) („პატა-  
რა მწყემსი“).

დას-ბამ-ის 1. მოსტაცებს, წაართ-  
მევს (ბევრს). ხელ-ყული გამაშვებინა,  
ღვარმა დამტაცა ხარები (გუთონისღელის  
ჩივილი“). 2. ჩაავლებს, წაავლებს, დაუ-  
ჭერს. „ერთს წამს ხელ ეინამ დამტაცა,  
ტარი ჩამიღვა ხანჯრისა“ („ალუ-  
და...“, III).

დასაგამ-ის შეტევა, მივარდნა. (არ-  
წიეს) ერთის დატევების მეტი კი არ  
მოუნდებოდა, რომ მთლად ბურნულად

ეკცია ფრინველთა ბრბო („ჩხიკვათა ქორ-  
წილი“).

**ღაბავეპულ-ი** ვინც შეუტია, ვინც  
მიუყვარა. ნადირობაში შეებრა ვე-  
ფხვსა მამაი ტოტა, ჭიხვისად დატე-  
ვებულსა, იქ, სადაც ქვა და ლოდია  
(„დაპირილი ვეფხვი“).

**ღაბმუშაპ-ს** ღარგევაფს. ასტყდა ელვა  
და ქუხილი, წვიმამ დატეშა გორები  
(„კობალა“, V).

**ღა-ს-ბირი-ს**: ხმით დასტირის  
მოთქმით, ხმაშაღლა დასტირის. ხმით  
დასტიროდა მამას გასათხოვარი ქალი  
სანღო („ფშაველი და...“, II).

**ღაბტრამლღაბ-ს** ტრამლად იქცევა. აქ:  
გაცუდდება, არარაობად იქცევა. დატ-  
რამლდეს გულისთქმასთანა ეველა ბუ-  
ნების ძალია („ქალბეს“).

**ღაბტუსვილ** იხ. § 3.

**ღაბტუსული** იხ. § 3.

**ღაბტმპრამ-ა** ტყაცუნის, სკლომის  
ხმას გამოსცემს (ბევრი). „მათარხე-  
ბი რო დატყერება, ჩხუბად რო  
გახდება, გული ამიღებს, ტანში ერუან-  
ტელი დამილის“ („უძმოს-ძმა“, II); ზე-  
დი-ზედ დატყერა მეურები, სიათეების  
ჩქამა („გალაშქრება...“).

**ღაბტმპრამ-ბი-ან** უზომოდ დაძვებთან,  
დასკდება. „უნდა ჩემი ამაგით დაძლ-  
ნენ, დატყერენ“ („ყორანი“, — მთებს).

**ღა-ს-ბულმე-ს** სთხლემს, მოარტყამს.  
(თოფი) ერთს წითელწვერას დაესტყლი-  
შე, დავაგლეჭინენ ყბანია („მწყემსის სიმ-  
ღერა“).

**ღაუაზრამ-ს** დახედავს, დააკვირდება.  
ლაშაზად დაგისწავლიდი, დაგიაზრებდი  
ტანზედა („ჩანაწერები“).

**ღაუბოზღაბ-ა** ბოში გაუხდება, მოე-  
შვება, მოუფომფლდება. ამ უნამუსო  
კაცს კბილები დაეკრიბა, ტუჩები დაპბო-  
შებოდა ისე, რომ კბილები უჩანდა („წის-  
ქვილი“).

**ღაუბუმბლამ-ი** (ფიგურა) გამოუც-  
დელი. ლამაზად შეილის აღმზრდელი დე-  
და მიცვნია ღმერთადა... და ყრმათ, ჭერ  
დაუბუმბლავთა, ერთგულნი ჰყვანდენ  
დედასა („საახალწლოდ“).

**ღაუბამ-ს**: ეკლის ლოგინს  
დაუგებს სიციცხლეს გაუმწარებს,  
გაუბედურებს. (ცოლი) დაგიგებს ეკ-  
ლის ლოგინსა, დაგებურავს ეკლის საბან-  
სა, რომ არ გვეგონოს, ერთს წამში შექმ-  
ნის საზღაბარ ამბავსა („ცოლი ანუ...“,  
II). მიწა დაუგებს ლოგინს  
მოკვდება. თუ ამაღამაც არ მოხვედ, მიწამ  
დაგიგოს ლოგინი („ჩანაწერები“).

**ღაუღამ-ა**: ნიშანი (ლიშანი)  
დაუღამება ენიშნება, მოსალოდნელი  
ამბავი წინასწარ ცხადი ვახდება მისთ-  
ვის. იქნება სიზმარი ნახა, ლიშან დაუღ-  
გა ცუდია („იბედი რახიკაული“).

**ღაუღამ-ს**: საქონის დაუღამებს  
პირუტყვს, საქონელს საყვებს დაუღამის.  
„საქონისადაც არ დამიღავე ჭერა, იქ წის-  
ქვილს მინდა კიდეც ჩავლა...“ „აბა, წა-  
ვიდეთ, მაშ. ჭერ საქონს დაუღამეთ, საქ-  
მელს ჩამოგიყრი...“ („საშობაო მოთხრა“,  
— სტენერები).

**ღაუღამწელიობა** დაუღვერობა, გულ-  
გრილობა. „როგორ ვიფიქროთ: ჩვენ ვე-  
კუთვნით დაუღვერობას, თუ დაუღვე-  
წელიობა ჩვენ გვეკუთვნის?“ („სოფ. თი-  
ანეთი“—2; თბბ.თუეს).

**ღაუღამღამ-ს** ვისამე სახეწარზე ხა-  
ტის სადიღებელს, ლოცვას იტყვის. სოფ-  
ლისაგან მოკვეთილი ხატისაგანაც მო-  
კვეთილი იყო: ხევისბერი საკლავს  
არ დაუკლავდა, სახეწარს არ „და-  
უდიღებდა“, იმისათვის წყალობას აღარ  
გამოსთხოვდა ხატს („ფშავლების ძველი  
საშარათალი...“).

**ღაუაზამწელ-ი** წრფელი, მართალი.  
„სადაც უშიშრად არ ძალუძთ მტრობა,  
არც სიყვარული დაუაზამწელი“ (თარგმ.)  
(„ქაჩი“, 10).

**ღაუაზამწამ** იხ. დასთხევს.

**ღაუაპანამ-ს** (გადატ.) მოელაციცე-  
ბა, მოფერება, აამებს. აჩუქებ საქართვე-  
ლოსა, თუ ვინმემ დაგიკაცანა („თმა-  
გძელა...“).

**ღაუაპამიგელ-ი** დაურკვეველი, ნა-  
კაშიანი (საფქვავე). „ეისა აქე ი მოძუ-  
ლებული წისქვილი, რო საშენოდ ვახა-  
დოს? უნდა ან ნედლი საფქვავე დააყარო,

ან დაუკეთებელი" („ფშავლები“, — შენაძე...)

**დაუპაპისებ-ს** დაბეჭითებით და მახვილგონივრულად ეტყვის. რომ მოხდებოდა ეს ასე, რამდენჯერ დაგიკვესია („თმაგძელა...“). ცეცხლს დაუკვესებს ცეცხლს გაუჩენს; გამოუვალ, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს. სხვებს უთქვამთ, მტრისთვის ივანეს რაც ცეცხლი დაუკვესია („ფ. კოტორ. ამბავი“, III).

**დაუპარპ-ს** დაუკროდენ თავი დაუკრან ხოლმე თავი, მიესალმონ თავის დაკვრიოთ; დაემორჩილონ. სხვა მოძიონ პატრონად, სხვას დაუკროდენ თავიო („დანაბარები“). ბალს დაუკრავს დაეთანხმება, ნებას მისცემს. ყეინმა ბალი დაუკრა, გროვაც აღარა სტირისა („ახუნდი“, IV).

**დაუღმამ-ბა**: გული დაუღბება გული დაუღსტდება, დაეწურება, მოუღუნდება. გული დამიღბა, დავდექი, ძალდამდნარს ღონე მეღვივის („სიხმ. სისოწარკვეთილისა“).

**დაუღმამ-ბა**: გულს დაუღბობს გულს დაუღსტებს. დამკრა სიცივემ, გული დამიღბო და მიმიყინა ფრთებიცა ტანზე („ნიბლიას ანდერძი“).

**დაუღმამ-ს 1.** გაუფუჭებს. „ყურძენმარძენმა ყალივისს გემო ქვე დამილივა“ („ნაკვესები“, II). 2. დაუხოცავს, გაუწვევებ. ჯაბანას წინა წლებში საქონელი დაუღია პირმა („დარეჯანი“, II); ან პირი საქონს დამიღვებს, ან ხორეველი ცოლ-შვილსა („ფშაველი და...“, XI). კარში გამოსსავალს დაუღვეს ძალიან შეარცხვენს, სააუგო საქმეს დამართებს. „შე კაასო, შე უნამუსოვ, მომხადე ლეჩაქი? დამილივე კარში გამოსავალი“ — ამბობდა მარინე გაცხარებულნი („ხოლერამ მიშველა“, IV).

**დაუღოლიმ-ბ**ს დაუყვავებს, მოეფერება. (ბეშქს) დედა ხელით, აღერსით დაუღოლიებს, დაათირებს („საუბარი ბავშვზელ“).

**დაუშადღმ-ბ**: დმერთმ დაუშადლას ღმერთმა უშველოს, ღმერთი შეეწიოს. „ღმერთმ დაუშადლას ჩვენ ნა-

ხალიკ აფ-ს, კა კაცია“ („ხმა მთიდამ“ — სურათი).

**დაუშარწვილმდებოდა** იხ. § 46.  
**დაუშმდარად** აუცდენლად. თოფს ვესკია დაუშმდარად ცბიერსა თეთრსა მელასა („არმ ვტირი“).

**დაუშვმვმდებანი-ან** წვეტიანნი, წამახულნი, წაშვერილნი გაუხდებიან. „მაგიუდის კერძს, შუბივით რო დაშვმვტებიან თავ-ლაშნი, ერთი მაგისად (ხაფანგს) კარგა მალა დაუტაცებინებ ი უნამუსო გაზასა“ („სცენები“, — ფშ. ცხ., I).

**დაუშვშაღოზმმ-ს** ხატის სახელით დაულოცავს, ვინმეს ხატს წყალობას გამოუთხოვს. „(მუცალი) კარგადაც დამიშწყალობნე, (ქურატი) გამიშეტებავ მისთვინა“ („ალუდა“... V).

**დაუნაშაშარ-ი** უდანაშაულო. რადა ქვლერთ, უღმერთობო, დაუნაშავარ ხალსაო? („საშობაო ზდაპარი“).

**დაუნიაშაშ-ს** ნაცარს დაუნიავებს ააზრებს, აიკლებს, ბღღვირს ადენს. უნდა ავიკლოთ ევაი, დაუნიათ ნაცარი (\*\*\* „მთელი...“).

**დაუპირამ-ს**: ტალს დაუპირავს (თოფს) მოცვეთილ კუს, ტალს ნაპირებს ჩამოამტვრევს, რომ ბევრი ნაპერწკლები დასცივდეს დაცემინების დროს. (ბიძაჩემმა) ჩახმახს ტალი გამორიდა, საშლით დაუპირა („მოგონება“, — საშობაოდ); ეს რომ ალუდამ გაიგო, თოფს დაუპირა ტალიო („ალუდ...“, I).

**დაუშრამ-ს** დახაწვავად დადებს, შეუკეთებს. ბებერ ხეს დაქა ცული და მოსქერი, დაურთე ცეცხლს და დაწვი („ზოგი რამ ფიქრებიდან“).

**დაურჩმვპ** იხ. § 8.

**დაუსარამ-ს** სართად მისცემს, დაუმატებს. „შენი სულიც უსათუოდ ზედ უნდა დაგვისართო“, — სთქვეს დევებმა („მუტელო“, XI).

**დაუსასწორმ-ბ** გაუსწორდება, დაუპირდამირდება. „სახლს რომ დაუესასწორდით, მაშინ შედგა (ბერღისა)“ („ბერღისა“).

**დაუსაშადთ** იხ. § 12.

დაუსვამს-ს დაურკობს. მთაზე დაუს-  
კვეს დროში, აღდრიალებდა ქარია („გა-  
ლაშქრება...“).

დაუსხამს-ს: ცეცხლზე წყალს  
დაუსხამს ღიღ ზარალს მიაყენებს.  
დაღუბავს, კერას გაუცოვებს. უღანოდ  
ყელი გამომქრა, ცეცხლზე დამისხა  
წყალია („თ. გოგლო ყარალაშვილს“).

დაუძმავს-ს შეუტევეს, შიუვარდება; და-  
ემუქრება. რაღა ვერი? ვინ რას მომ-  
ცემს დარღშია? დამიტყვენ? — დავემალ-  
ვი ბარღშია („ჩიტის სიმღერა“).

დაუძმავებს-ს (ძვ.) დატოვებს; თავს გა-  
ანებებს. (ღვინო) ესიაშენა მამათ-შთა-  
ვარსა და დაუტევა იმიერ გლოვა („ნოე  
და ღვინო“); „შვილო ჩვენო, რასათვის  
დაგიტყვეს შენ?“ („გოდება დიაცნისა“).

დაუძმავებს-ს დაუტაცვებს. ეგრ-  
თი დაუტუტუნებ. ღმერთმანი, რომ თავ-  
ვის სორობებს ეძებდნენ ყველანი“ („სოფ-  
ლის სურათები“, VIII).

დაუშვამს-ს დაუცობს, ჩაუტენის. რ-  
ღესაც ბიძაჩემმა ჩამოსახა, რამდენიც  
ტყვია უნდოდა, არწყო წამალი მასრებში  
და თითოეულს ძონძში გამოხვეული  
ტყვია დაუფივა („მოგონება“).

დაუფიცავს-ს: ვერ დაუფიცავს  
ვისიმე ნაცვლად ვერ დაფიცავს, ვერ  
ენღობა. „სხვა მხეცებისა რა მოგახსენო,  
იმათ ვერ დაუფიცავ“ („როგორ გაჩნ-  
დენ ბუები...“, III).

დაუფიქვლობა უფქვილობა. დაუფქ-  
ველობა გვაწუხებს, ვერ ვიკალოვეთ, მი-  
ტრმა („მთაში“).

დაუყენებს-ს: წესს დაუყენებს  
როგორც წესია, ისე მოექცევა. „მანამ ჩე-  
მის მამა-პაპის წესს არ დაუყენებ ამ  
ძაღლს, მანამდე ვერ გაუშვებ“ („მოყ-  
ვეთ“, მოქმ. II, გამოცვ. IV). რიგს  
დაუყენებს რიგს, ხარკს გაღაუბლის  
მიცვალებულს. ქალი მინც და მინც  
სამი წელი „ქმრეულთას“, ქმრის ოჯახ-  
ში უნდა დარჩეს, რომ ქმარს წირვა გა-  
დაუხადოს, „რიგი დაუყენოს“ და შაუები  
გაიხადოს („ფშაველების ძველი სამარ-  
თალი...“). „სულის ცხენად“ და-  
უყენებს მიცვალებულისათვის („სუ-  
ლისათვის“) გამართულ დოღში ერთი

ცხენი მიცვალებულის სახელზე მონაწი-  
ლეობს, სულსაც „დაუყენებენ ცხენს“.  
სულის ცხენი სიკვდილამდე სასლში რჩე-  
ბა. სამის წლის კვიცი რომ ეზრდებოდათ,  
ქმარს წილ დაუყენა „სულის ცხენად“  
(„ფშაველი და...“, III).

დაუშურმავს-ს დახედავს. „უღეგ, ავი-  
ღე თავი, დავიდგი თეთრი კარავი, და-  
ვუყურე სოფელთა, სოფელ-კარნი აყო-  
დენ, როგორც იანი-ვარდნი“ („ფშაველ-  
ბის ამოღ-მორწმ.“).

დაუშრომელ-ი დაუშრობელი. გაიე-  
სო რძითა მთათ ძეძუ. დაუშრომელ-დ  
რძიანი („ბიბტირონი“, I).

დაუჩინის იხ. დიჩენს.

დაუჩინის იხ. § 31.

დაუჩნდებ-ა 1. გამოუჩნდება, დასა-  
ნახავი გახდება (ვინმესთვის). უკრი და-  
გინდა, სხივი ჰკრთის („უკრი დაგინ-  
და“). 2. დაინახავს. დაბლა ირმების ხრო  
განდა, სწრაფად გადავლეს გორია, და-  
უჩნდა მონადირესა მარტო ხარ-ფური  
ორია („დაქრილი ვეფხვი“).

დაუჩხლბაქნავს-ს დაუჩხაქუნებს, ჩხა-  
კუნით დააცემინებს (თოფის სახხლტებს).  
მეორემ მიუშვირა თოფი... დაუჩხლბაქუნა-  
და... იმასაც არ გაუვარდა („დათვი“—  
ყველა“).

დაუცდინს-ს: თავს დაუცდინს  
მდგომარეობას გაუღარებს, დაუძმი-  
მებს. ყანავ. ქერი ხარ ჩართი, მზე მუა,  
თავსა დაგიხრას, ქალავ თემამწონარაო,  
ქმარ-ყოფა თავსა დაგიცდინს („ფშაველი  
ღედაკაცის მდგომარეობა...“).

დაუცმავს-ს: ფეხს დაუცემს ფეხს  
დაქრავს მიწას დაუქრებით. ხანდახან  
დაიბუბუნებს, ქერი დაიწყებს ნძრევასა,  
თან ფეხს დაუცემს ვაკეკი. მიდამო იწ-  
ყებს ნთქრევასა („გოგოთერ და აფში-  
ნა“, I). ა მ ი ნ ს დაუცემს ცრურწმე-  
ნით არსებობს სახწაულთმოქმედი ძა-  
ლა „ამინა“. თუ ვისმე რისამე ნატვრის  
დარს „ამინა“, „ამინა“-ო უთხრა, „ამინ-  
დაუცა“, ნანატრი ახრულდება. როცა  
ვეფხვიამ და მზიამ ფრინველობა ინატ-  
რის „ამინა“ ამინი დაუცა და გადაიქცენ  
ბუებად („როგორ გაჩნდენ ბუები...“, II)-



დაუცხუნავს-ს მიუფიცებს. (გოგრა) დაუცხუნავს ცეცხლს კერცებს („გოგრა“. I.).

დაუძახებავს იხ. § 34.

დაუძვირდება-ს: სალაში დაუძვირდება პატივისცემული მოაკლდება. მძაც ვასდვოძიყო, შეილიცა, დასძვირებოც სალაში („მოტყუებული“).

დაუწერს წერას, ბედ-იღბალს იმთავითვე განუხაზღვრავს (ღმერთი). „ამან (ნადირმა) გმის მტერი არა იცის, ეს დაუწერია ამითვის ღმერთსა“ („მოკვეთი“, მოქ. I. გვ. 1.).

დაუწერს-ს: საყულოს დაუქერს ცულ ქცევაზე ხელს ააღებინებს, მოთოკავს. მოკვეთე თუმც ხარ თავისა, — მასთან თურთვე მტერია; მაგრამ ჭერ შენთვის საყულო არაღის დაუქერია („ქებათა-ქება“, — დროება.).

დაუხანძრავს სიცხე ან სიცივე გაუმიზღვიანებს (პრილობას). „ეს კარგია, წყლულს მალე ნორჩენს, აღარც დაგიხანძრავს“ (ვარ.) („ახლბო“, II).

დაუხანჯლავს-ს ხანჯლით დაუჩხვლავს. დეჟანი უნდა თავზედ დაეკეთოთ, ბოთლები დაუმტერიოთ, ტიკები დაეუხანჯლოთ („სოფლის სურათები“, V).

დაუხანჯლავს-ს უპოვნელნი. „(ირმებს) მანდ სადგომები აქეთ, ხვალ დაუხვლავნი არ მომჩრებიან“ („მოგონება“).

დაუხ დაფი. (ვოდლა) უკრავს დაფას და ზურნასა. ნისკარტიც ხეზე კრიალებს („წიფელი და კოდლა“).

და-ჰ-მამზალებს-ს დაჰფარფატებს. (ციხეს) დაჰფ. მთლებდა თავზედა გაუმადარი სველა („აღლდა...“, II).

დაფარბავს დაფარცხავს. „მოვხნავთ, დავთესავთ, დავფარავთ“ (ვარ.) („პაპასი და...“).

დაფაციცებულ-ს-ს აჩქარებულნი. ახლა სხვანი მოვიდნენ შეიარაღებულნი, დაფაციცებულნი („ჟოლი“).

დაფინილ-ს-ს განახლობად გაშლილი (საჟვავი). „რას ეღრბრულებთ, რას ეჩვევებთ? გინდათ ძილი მომგვაროთა, რომ დაფინულს პურის მარცვლებს ეცნეთ, ხელა მოჰყაროთა?“ („ჩიტთა ფაფობ.“).

დაფინილ-ს-ს დაქველებული, გამოფიტული (ზღრ. ფიტი). დახავსებულს ყორეებზედ დამტერული და დაფიტებული ირმის რქები მოჩანან („აფხუშოობა“).

დაფრან-ს დაფხრენს, დახვეს. დეიალქნები დაფრანოს ქარის უდიერად ქროლამა („ქებათა-ქება“, — უცნაურია).

დაფშულ-ს-ს ფქვილი. ლელას დაფქული არ ჰქონდა, წისკვილისათვის იარა („დამშეული“).

დაფხრილობა-ს დაფრთხილებს. „ნაინანიოთ ფრინველები დაფხრილებდნენ და გალობდნენ“ („ცრუბენტი. აღმზრდ.“, ნაწ. I. თოვი I).

დაქირალობა-ს ფიქს, თხელ თოვლს დადებს. პატარა ფიქვი მოსულა, ქედები დაუქირსლია („არწივი და ყვავი“).

დაქორჩავს-ს მაგრად უნისკარტებს, ბღვირს ადენს. ქორი დაქორჩა ქათამა, ომი შექნათ ცხარია („ქებათა-ქება“, — რედაქტორებით); (მაშალს) მთელი ტანი დაუწყულღეს, დაქორჩეს, ძალიან დაქორჩეს, გასწიდა და გამოსწიეს („ჩენი მაშალ“, II).

დაქსავს-ს: ქსელს დაქსავს ქსელს მოამზადებს მოსაქსოვად, ქსელს გამართავს. სანდო საკუთარ საქმეს შეუდგა, „ქსელი დაქსო“ საბძელში და პირველ გარიერაქიდაძვე მოისმოდა ბეჟის ხმა („ფშაველი და...“, V).

დაქსულ-ს-ს გადაქსოვილი, გადახლართული. „სსსუ! მოვისმინოთ... რას ამბობს ჩენი თანამოძვე“, — ამბობდნენ შეგუფულნი, ერთმანეთში არეღარულნი, დაქსულნი... წიფლები... მუხებია, რცხილები („უსურვანის დასჯა“).

დაღალულები იხ. § 6.  
დაღარულად („არწივი და ყვავი“) ბეჟდვის შეცდომაა, იხ. ღარადელა.

დაღმარბავს-ს დახარბავს. მალა მთას თურმე იწვიმა, დაღმარა მთელი ქვეყანა („სიზმარი ამირანისა“).

დაღმარილ-ს-ს: თასია დაღმარილი ხევისბერი „დაარისხება“, ხატის სახელით დაწყებულია ამა თუ იმ საქმეში დამნაშავეს, ლუღიან თასს დაქცევდა, დაღმარილა და იტყოდა: ასე დაიღვაროს, ვინც ესა და ეს ჩაიღინა (ან ჩაიღინოსო).

უველა ვერიდებოდა იმ საქმის ჩადენას, რაზედაც „თასი იყო დაღვრილი“. ხევის-ბერისაგან „თასია დაღვრილი“ ნიშნულ იქნის შეჩვენებისა და წყველისა, ვინც ან ხმალს ან ვალში, ან აღმანიში წაართმევს ბათურის გვარეულობას („ბათურის ხმალი“).

**დაღვრილს იხ. § 11.**

**დაღპარ იხ. § 46.**

**დაღრჩუ-ს** მოსწევს, მოქაჩავს. ოსმა-მამ ლაგმის ტარიითა ცხენი დაღრჩია ყელშია („გიგლია“, V); მყისვე ჩახმახი დაღ-ღრჩიე, გულზედ დავადეე ლიშანი („მონადირე“, III).

**დაძანთრებულ-ი** გამოფიტული, დაფუტუროებული (ხე და მისთ.). „შეკიები მიყვარს, კიები, რომლებსაც მხოლოდ გამხმარი, დაყანთრებული, დაფუტურებული ხე მბადებს“ („ყოღალა“); მლოცავთა წრეებს... ქალები და ბალები ამშვენებდენ, ხოლო ხევისბრისა და დასტურის წრეს — დახავსებული ლოჯები, დიდი ყორეები და ყორეებზე ირმის დაყანთრებული რქები („დროშა“, III).

**დაძანთრებულ-ი** „დამსკადარი (კლდი, შთა)“ (გლ.). (კლდეები) რაც ერთი იყო, იგივე მეორე; იგივე სალი მეორედ დაყაშებული და შიგა-შიგ დახავსებული, ალაგ-ალაგ გადმოკიდებული ძეასავით ბრძენი და ობლად მომჩინარე დეკა („ნაპარალი“).

**და-პ-პაშუაშუბ-ს** ყაშუაშით ეხშიანება, დაქვივის (არწივი, ორბი...). ორევეს თაეზე სეაეები დაქთანთალებდენ და დაქყაშუაშუბდენ („ნაპარალი“).

**დაძანებულ-ი**: ვისამე ფეხზე დაყენებული ვინმეს შემცვლელი, ვინმეს მაგიერი. მიცვალებულის ადვილას ჩაყენებული ანუ... „ფეხზე დაყენებული“ არის „მოსახელი“ („ფშაელების ამიოდნორწმ“).

**და-პ-პრინ-ს**: ღონეს ვინმეზე დაქყარის ვისიშე იმედი ექნება. „ღონე შენზედა დავყარე. თუ შაგიძლიან შეკლაო?“ („პაოს და ქართლოს“, I).

**და-პ-შუღებ-ს** დააყენებს, გააჩერებს, დააყუდებს. დაგვეუდეს შუა საყდარში

ხელშემკობილნი სანთლითა („ერთი სიყვარულის ამბავი“, VIII).

**დაშუღებულ-ი** 1. დამდგარი (ფეხზე). დებს ტირილში ან უქარდებოდა რაიბულნი... ცხედრის გვერდით დაყუდებული მოსიქვამდა მძინა დაკარგვას („ფშაელები და...“, II). 2. მიყუდებული, დაყენებული. ფიცრებზე იყო დაყუდებული ხოკრები („ფშაელები და...“, III).

**დაშუწითლებ-ი** იხ. დაყუნტლება. (ბროლია) წაშლიყო, ჩვენს შორიახლოს დაყუნთებელიყო ერთს გორზე („სამობაო მოთბრ... — ნადირობა“).

**დაშუწითებულ-ი** იხ. დაყუნტებული. (ძალი) მთელს კვირას დაყუნთებული ზეაეზე საბრლოდ ყმეოდა („ძალი“).

**დაშუწინებ-ი** დაცუტდება. (ურდელი) პატარა ხანს გზაში შედგა, დაყუნტდა. ყურები აცქვიტა („დათვი“, — ყველ. 17).

**დაშუწინებულ-ი** დასკუბებული, დაცუტებული. ასე სტიროდა სერზედა დაყუნტებული მელია („მეჭლისი ლომისა“, V).

**დაშუწინებ-ს** მოსპობს, გაანადგურებს „პაი, ღმერთმა დასწყევლოს და დაშამთოს, ნულარ მოიყვანოს შინ ჩემმა ღეთისმშობელმა“ („მუცელა“, VI).

**დაშუწინებ-ს** გამოწალავს (ბევრს). (თევზები) კიდევაც იცოცლებდენ. რო გეუელს არ წავეძლიე და არ დამეშეშა („თაან. ფელტ“, — უკარავად).

**დაშუწინებ-ს**: საქმეს დაშერება საქმეს გააკეთებს. თუ ავს დაშერება საქმესა, ხატის მსჯერის შეხვედა ბრახითა, არავინ არ შიწყალავს, არც ტაბლით, არცა თასითა („მანდილი“, IX).

**დაშინებულ-ი** წერილი თასმით დაწნული. (ჩაღბოს) მხარ-ილიე თასმებზე დაკიდებულა ქქონდა სქელი, დაშინებული ტარიელის მათრახი („უძმოს-ძმა“, I).

**დაშინაშურებულ-ი** ვინც შინაურივით იქცევა, შეჩვეული. არუთინა ყველას იცნობს და ყველანი მას იცნობენ, დაშინაურებული კაცია („დარეჩანი“, II).

**დაშლი-ს**: მხრებს დაშლის მხრებს გაშლის, მკლავს გამართავს.

(ფიგურა.) „არწივმა მხარნი დაშალნეს, დაპრაილედეს ფრანგული“ („გიგლია“, I).

დაშორდება-მ მოშორდება, მოსცილება. „დავეშორდით. თქვეთვის იყავით“ („ბაყაყთა აჯანყება“).

დაშორებით გაცილებით, უფრო მეტად. დაშორებით სასარგებლოა გლეხკაცობისათვის, რომ სადავო მამულები ხაზინას დარჩეს („ხმა მთილამ“ — პროვინც. ფულტ.).

დაშორბ-ხ „დააშრობს“ (ა. შან.). „ან იმ ცრემლის ტბას დიადსა, ერისგან დანადინარსა, ვინ დაშრეტს, ვინ ამოიყვანს იმ უსუსურსა, მტირალასა?“ („ილია ქაქუცავაძის სახსოვრად“).

დახჩ-ს უბიძგებს, შეაჩქარებს. ბერო „დაჩეჩა“ თოფმა; იმას ორი წყე ჩაეყარა ცოფში, რომ უფრო ძალა მიატემოდა („აფხუშობა“).

დაჩნდება-მ გამოჩნდება. სრულ აიკრბა თოვლები, ბილიკებ დაჩნდა მთებინსა („დალაშქრება...“).

დაძარბა (გადატ.) (საქმის) გაფუჭება, წახდენა, უკულმა წასვლა. აბა რა „მიზეზია“ ჩემის სნეულის ავადობისა და ჩემის საქმეების დაცარვისათა („სოფლის სურათები“, V).

დაძარბულ-ი (გადატ.) წამხდარი, გაფუჭებული, უკულმა წასული (საქმე). ამისგან მისი ცხოვრება ძალიან დაცარულია („გველის-შქამელი“, II).

და-ს-ცდნი-ს: კეთილად დასცდის და დავირებობისა და გამოცდილების შემდეგ დასცენის, რომ ესა თუ ის საქმე (ან მოვლენა) კეთილად დაბოლოვდება. კიდევაც მეკვლედ მოვდივარ, თუკი კეთილად დასცადეთ („მიცვლენა“). კარგად დასცდის კარგად დააკვირდება, დარწმუნდება. „აი, კარგა დაესცადეთ ჩვენა, რომ სყოლიდამ გამოსული შეილები ჩვენ აღარ გვადგებიან“ („ფშავის ხევილამ“, — თებერვლის).

და-ს-ცამ-ს: თოფს (ხანჯარს) დასცემს თოფს (ხანჯალს) დაარტყმას. მოქიშვე არ გაუშვია, რომ არ დაეცეს ხანჯარი („გაზაფხული“, — მიწა); ერთხელ ხარისათვის უნდა დაეცა თოფი, მთელის თავის ტანით ედგა წინ

ელიზბარს („ნადირთა პატრონი“). კვილს დასცემს დაპიჯვლებს. „მეცხვარემ დაგვეცა კვილი“ („შვლის ნუკარის ნაამბობი“). გულს ქვაზე დასცემს გულბოლომანი, გამწარებული ველარ მოიხეენებს, მკერდით ქვას დაეყრდნობა. (ხობობო), ბოროტის გამწარებულმა გული დასცოდი ქვაზედა („ფშავლები“, — ძველს).

დაცამულ-ი ვაკე, დაბალი (ადგილი). დიღს, დაცემულს ტყიანს ქალაში, კახეთში, რამდენიმე წელი ქობი იდგა („შობის წინა-ღამე ტყეში“).

დაცუცუნება-ს დაცუნცულებს. ერთხელ თავის სოროს შორიახლოს დაცუცუნებდა სერეფენია-ქალი („მელია-სერეფენია“, I).

დაცხაულ-ი დაცხაებული, მრავალგან დახვრეტილი. (ხეთისუნელს) ახალახის წინა კალთები, ჩოხა, შალვარი ცეცხლისაგან ქვონდა დაცხაული ჩიბუხის წევის დროს („გასამართლ. ჩიბუხი“, I).

დაძმბრულ-ი დავიშული. „ოთობის... ლავის პირს უქამს ულაჯი. დამკარულია მკლავშია“ („გველის-შქამელი“, X).

და-ძმობა(ბ) დაფიცვა: და-ძმობის მაღლმა, ჩვენს და-ძმობას ვფიცავ. „და-ძმობამ, ეგრე სჯობია“ („მოკვეთ...“ მოქმ. II, გამოსვ. IV).

და-ძმობას დაფიცება: თუ და-ძმობის მაღლი გწამს. „მოიცა, ქალო, და-ძმობას, ცოტას იარე წყნარადა“ („ბახტარიონი“, XI).

და-ს-ძრწი-ს დაქანკალებს, თავს ევლებს. მთელი 50 წელი განსვენებულმა (ი. ქაქუცავაძემ) საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი; როგორც დედა ერთადერთ ჩვილს შვილსა, ისე დასძრწოდა და დაქანკალებდა, ან არ შემოცივდეს, არ მომიშვიდისო („სიტყვა ილია ქაქუცავაძის ქედარზე“).

დაწარბულ-ი „დაღარული, საწარბავით ამოღებული (საწარბავი ღურგლის იარაღია, რომელიც ღარებს აკეთებს)“ (ა. შან.). „(წამრულს) ხმალი ხომ აქვის ისედა დარებულ დაწარბულია?“ („წამრული“).

დაწმარ-ს (ბედის-წერას) დანიშნავს

შომავალ ბედ-ილბაღს განუსაზღვრავს. ქალმა დაწერა, ბვალები, რაც ერგებოდა ვისა („ხის ბეჭი“, IV).

**ღაწმრამთილ-ი** დაკრელებული, სა-ბებოიანი (ნამცხვარი). „ღირსად აიტანეთ, ბატონო, ღირსად, კურთხეულად, დაკლული ზვარაკი, დაღმული ტაბლა, დაწერეთილი სეფე“ („სამობაო მოთხრ.“ — ხატობა).

**ღაწმრამთილ-ის** პირამდე აავსებს. ბუ-რით ბელლები აავსეს, ღვინით დაწინაშეს ქვევრები („პაოს და ქართლოს“, I).

**ღაწმრამთილ-ის** დატოვებს (ბევრს). მზემ აიწია ცაზედა. ნისლებმ დაწირეს ხევები („ალუღა...“, II).

**ღა-ს-წამა-ს** (თოფს) ესვრის (ვაჟა). (ბერო) ვიამბობდა, სად როგორ დაქრა ხარ-ირემს თოფი და „დაამუხლისკვერა-ვა“, სად ჯიხეს „ღასწიმა“ და „დააბჯინა“ რქებზე („ათხეულობა“).

**ღა-ს-წარნი-ს** იგივეა, რაც დასტრწის. მოიღო წყალი ჯოყოლამ, უსვამს გულზედ და პირზედა, ანუგვმებდა, თავს დასწრწის, როგორაც ღედა შვილზედა (ვარა) („სტ-მასა“).

**ღაწმრამთილ-ის** დაწინააღმდეგობა, დასტრწის. „დახვალ, დასწუი — წისქვილს არაინ მძღღეს, არაინ მათქვეინებოს“ („ფშავე-ლები“, — შენ:მც).

**ღაწმრამთილ-ის**: ენას უხამად დაწურავს გესლიანს რასმე იტყვის. ეს სთქვა მაღღერმა და გაქპრა, ენა დაწურა მხამაღა („კეთი“).

**ღაწმრამთილ-ის** მოწინააღმდეგობა, ნდომა აღეძვრის. „ღღესილო ხმალო, დაესილო! დასწუხდი განა მამაჩემისაკე, ბეჩაეო, განა?“ („ბათურის ხმალი“, II); ვაჰმე, რა ძნელად დაწურებდი, აღმე ახხედავ გზასო („ფშაველი და...“, XI).

**ღაწმრამთილ-ის** მოწინააღმდეგობა, ნდომადრული. დაწუხებულმა, არაგვო, რო განახე, გავიხარეო („არაგეს“); დაწუხებულმა შენსკენა კბლით კლდეები ვარღვიე („ნეტავი, რისთვის ვიციოცხლე“).

**ღაწმრამთილ-ის** გემოს გაუსინჯავს. ავხადე ცსრაკოიანს კახურს, დაეკამნიე და დაეხურე სარქველი („საახალწლო სიზმარი“).

**ღაწმრამთილ-ის** გატენის, ამოავსებს (ბევრს). საუკეთესო ერკემლებისათვის დღემბი დაუქრიათ, „სასაგძლები“ დაუქრიათ, მერე ცხვრისთვის თავი ქვე გაუნებებიათ („რამე-რუმე მთისა“).

**ღაწმრამთილ-ის** გამაღებულნი. ცოლ-ქმარნი დაკიბულები გასწვრივ ბილიჯედ გაღიან („ღაწმრამთილ“).

**ღაწმრამთილ-ის** გაკირვება. მამას ზაქარა უქვიან, ნეფეს-კი ჰქვიან სესია. დაკირვების, რომ იტყვიან, სწორედ ტალი და ევესია („ქართ. ქორწ“, I).

**ღაწმრამთილ-ის** წვეტიანი რამ დაწევა და ატყენს, უჩხვლელს. ამკილეს ნაკრის (ნეკრის) კონაი, დამქვიმის, დაეკვიმობდი („ღაწმრამთი“).

**ღაწმრამთილ-ის** დაკრებილი; დახუტუქებული (ბეწვი, ბალანი...). (კვირისა) დაკრებილს თავ-პირს დაათრევს და ზედ მიცობილს თიხასა („ღილა და კვირისა“, I); გულს უმაგრებენ ჩაღხიას გმირნი ტყავ-ჩოხიანები, დაკრებილ ფახახიანნი, ხმა მელკირიან-ბოხიანები („კვირისუფ:ლა“).

**ღა-ს-წარნი-ს**: ფიცის ბოძებს დასტრწის ფიცს გატებს, აღთქმას გადაუღვება. რაკი დახხედეს დროებას, ბოძები დასტრწეს „ფიცისა“. ვინც მელორეც-ც არ ვარგა, დღეს ის ხუცესად მიღისა („ქებათა-ქება“, — რედატორებით).

**ღაწმრამთილ-ის** იგივეა, რაც დაღაბ-ლაზეხს. (სვაე) დახანხალედა ცაშია გულ-ღინჯად, ნება-ნებასა („მთათა ერ-თობა“).

**ღაწმრამთილ-ის** ხანჯლით დაკრის, ხანჯალს გაუყრის. „რამ გულმა გაგიძლო, რო ორნივ არ დახანჯრენი?“ („სცენები“, ფშ. ცხ. სცენა I); იქნება კიდევ დაგვეხანჯლა ერთმანეთი, რომ მეწველი არ ჩამოგვდგომოდა შუაზე (იერემ-სერემ-სერემინი“).

**ღაწმრამთილ-ის** დახანჯლავს. **ღაწმრამთილ-ის**: დახარებულნი ვაეყაცი სიჭაბუკეს გადაცილებული, ხაშულაო ხნის კაცი. „მე პატარა ვიყავ, ის დახარებული ვაეყაცი იყო მაინ“ („მოკვეთ...“ მოქმ. II, გამოსვ. II); ქართული ენა გუშინ მოგონილი ხომ არ

არის! იგი ძალიან დიდი ხნისაა, უკვე დამთავრებული, დახარებული ვაჟაკია („ენა“).

**დახმენებ-ს დახედავს, ჩამოხედავს.** მღლით დახმენებ ქვეყნას, ფარს გადაივლებს მკლავზედა („ნეტავი შენა, შეენისლო“).

**დახმენებ დახედვა.** დაველულს მიწას უხდება, როს დასწვიმს, დასდის დეარია; ეგრევე ნავედრალს მდელოსა — მზის დახედნება, დარია („ხოროცო, დაქნელი“).

**დახმელულად მიხედვით.** ძალს პატრონ დახედულადა სცემენო („ფშაველი და...“, XI).

**დახმეთ-ს:** ო ფ ლ ი და ხ ე თ ქ ს ოფლს დასხამს, ბევრი ოფლი გამოუვა. ბევრკელ დახმეთქა გულ-მკერდზე ოფლმა („მთის“). ც რ ე მ ლ ი და ხ ე თ ქ ს ცრემლი წასვდება, ცრემლს დადვრის. ბაღმა დაიწყო ტირილი, ცრემლმა დახმეთქა თვალბში („ადამინა“).

**დახმელბ-ს იპოვის ბევრს.** ორნივე წისქვილში დაეხელენ ბატარქალაი-დ ნათელი („ფშაველი და...“, XI).

**დახმელთბ-ს გააფთებს (ვაჟა).** „ხატ გაწყრების, მეემიზეუების კაცს, ან დახმელთავს, ან ავად გახდის“ („სცენები“, — სცენა ხევს.); „ხატს... საშინაოდ მამავლისად (თოთიასთვის) დევ მიესივ, დაეხელთ“ („სცენები“, — სცენა ბარში).

**დახმელთილ-ი გადარეული, გაფთებული.** „ერთს წელს სუ გაბრუებული ვიყავ. — იტურდა დარეჯანი, — დახმელთილივით დავდიოდი“ („დარეჯანი“, I).

**დახმელისგამება-ბ მოშინაურდება, ხელზე მოეჩვევა.** (შეარდენი) თუმცა საკმარად დახელისავდა..., მაინც არ ვენდობოდი და წერილი თოკით ვაბამდი („ჩემი შეარდენი“).

**დახმენილ-დაბუზულ-ებ-ი დაკონკილები და მობუზულები.** დახმენილ-დაბუზულები უნუგეშობით შემკრთალან („პაოს და ქართლოს“, IV).

**დახმენილ-ს ხეივინებს, ხეივინით დადის.** ხალხში ამბობენ, მთაშია დარბის, დახეივის ცხენიო („გიგლია“, VIII).

**დახმელანჯულ-ი დაგრებილი, დაგრაგნილი.** ხარ-ირემი მაშინ ქალის მუენან ბალახს ძოვდა და გველიც იქვე, ბალახში იყო მოკეცილი, დახმელანჯული („გველი“). || აწეწილი, არეული. შეინახა „აზრი“ „ივერიის“ რედაქციამ, რათა მუეველეს... გაერკვია ეს დახმელანჯული საქმე („ივერია“ № 201 და მუეველე“).

**დახმვრამ-ს ხარბად შეჭამს, შეხარამუნებს.** ვირმა ნარი მოიტანა, დაქდა, თითონვე დახმვრამო („ფშაველი და...“, XI).

**დახმრინვბ-ს დაახრინწიანებს.** „დაგსიებთა ცხვირ-პირი, ხმაც მიტომ დაგინრინა“ („მეჭლისი ლომისა“, IV).

**დახმრუნვბ-ს „გაქჟურდავს“ (ვაჟა);** ყველაფერს გაიტანს, გაწმენდს. თუ ჩემი ცოლი დათესა ჰგავ, შენ ცოლ ძაღლსა ჰგავ კუდასა... გულიათ წისქვილს დახმრუნვავს, ჩვენს დაიბარავს ფუტკარსა („ძვ. და ახალი ფშავლ. პოეზია“, II).

**დახმულუნებულ-ი ფრთებშეკეცილი, შეკუმშული და სწრაფად დაშვებული.** ამ ღროს მოდიდა ქორის მსგავსად დახმულუნებული ჩხიკვი („დიდებ. საჩუქ“).

**დახმურბ-ს:** ეკლის საბანს დახურავს იგივეა, რაც ეკლის ლოგინს დაუგებს (იხ. დაუგებს). (ცოლი) დაგიგებს ეკლის ლოგინსა, ეკლის დაგხურავს საბანსა, რომ არ გვეგონოს, ერთს წაშში შექქმნის საზღაპრო ამბავსა („ცოლი ანუ...“, II). ჩიქილას დახურავს შეარცხვენს, თავს მოხვრის. „ღაიცა, დაიკო, დაიკა! შენი ჩიქილა დამხურე, თუ შენი ჭავრი შექქამო“ („სცენები“, — ფშავლ. ცხოვრ.).

**დაჯაბრბულ-ებ-ი ჭიბრში ჩამდგრები.** ხარი ირემი და ორაგული დაჯაბრბულები არიან („ორაგულის ცხოვრება“, II).

**დაჯანჯალებ-ს ნელა დარბის.** (ირემი) დაჯანჯალებდა ტყეშია, ამხანავს ვერა პოვობდა („კითხვა-პასუხი“).

**დაჯარბლება-ბ ჭარად დასხლება.** სადლიო გააკეთეს და მიწვეული ხალხი დაჯარდა სახლის ბანზე („ფშაველი და...“, VI); „დაჯარდით, ხევისურთ შეილებო,

ყველანი — დიდნი, მცირენი“ („ალუ-  
ლა...“, V).

**დაჭარბებულ-ი** ჭარად დამხსდარი,  
ბევრი დამხსდარი. ხალხია დაჭარბული,  
ბჭობენ უფროსნი მრავალსა („გველის-  
მკამელი“, IV).

**დაჭიბრულ-ი** შავად შეღებილი. თა-  
ზედ თამარს შავი თიკვი ეხურა ჩიქილის  
მაგივრად და ტანზედ დაჭიბრული კაბა  
ეცვა („შთაბეჭდ.“ III).

**და-ს-ჯარი-ს:** კარს დასჯარის  
კარს დახურავს. ხეზე შემოჭდა ჩიტი პა-  
ტარა, სხეულით ნახი, ტურფა, ნაცარა,  
მშვიდის თვლების კარი დაჭარა („ილო“,  
VI). (გადატ.) ოჯახს ამოწყვეტს, კერა-  
ზე ცეცხლს გააქრობს. ბევრისა კარი  
დაესჯარე. ბევრისაც ისევ მღე არი  
 („ფშეულები“—ძველს).

**დაჯღაბებულ** იხ. § 30.

**ღბა:** ზღუადა დგა უხვმოხა-  
ლიანია. ზღუადა დგა ჩემი ყანები. ყანები  
თათუხიანი („გლეხის სიმღერა“).

**ღბამ-ს.** ფეხს უკანა დგამს  
თავს იკავებს, მერყეობს. წამოღით, რა-  
ღბამს უკანა სდგამთ, თქვე კაი კაცებო?  
 („ალ. რაზიკაშვილისადმი“, 1909 წ.)

**ღგნალ-ი** (*Salix caprea*) „მღგნალი—  
ხე წნორის ჭიშისა“ (გლ.). ჩვენს ზევით  
იყო ღგნალები, ერთმანეთზე მიწყობით  
ამოსული („შელის ნუკრის ნაამბობი“).

**ს-ღმბ-ს I.** სთხლემს, ურტყამს. „ვა-  
ყო... ხო უყურებ ამ ჯოხსა, შიგ თავშია  
გდებ“ („ფშაეელი და...“, X). 2. დადებს.  
„მითხარ, გეთაყვა, შენს ფოთლებს შო-  
რის ბინა ხომ არ სდვა ჩემმა ტრფილ-  
მა?“ („პოეტი და მისი ნუგეში“). ს-  
ხელს სდებს იხ. შასდებს. „როდეს-  
საც „სახელს სდებს“ დედაკაცი, იმას  
უკერია ხელში რკინის საფხეკელი, რო-  
მელზედაც ნაღვერდალი დევს“ („ფშა-  
ლები“ — ძველს).

**ღმბური** იხ. § 28.

**ღმბებ ეგება.** „შახეყენე. ღმბებ ერ-  
თი ხალცინე კიდეე აგვივსოსო“ („ფშაეე-  
ლი და...“, IX).

**ღმღა-ნ-ი I.** დედები. „ჩვენ ვიტყვით,  
კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზდიან

დედანი“ („ალუდა...“, II). 2. დედაკაც-  
ბი, ქალები, მანდილოსნები. აღზრდილთა  
ობოლიეთა ვით ჰლალობდით დედანი  
 („სახსოვარი“); როშას ატირდეს დედა-  
ნი, ბლოს — სახნი ქვეტკირისანი („ე-  
ტობიოვრ. ცნობა“).

**ღმღა-ბუღრინან** დედა-წულიანად,  
ყველა. მზის ყუღროს მისჩერებიან დე-  
და-ბუღრინან კატები („პირველი გაზაფხუ-  
ლის სურათები ბარად“).

**ღმღა-მამკვდარი-ი** უბედური, სა-  
წყალი (ან იწყველის თავს დედა შვილი-  
სათვის მოფერებით ან სამღურავით მი-  
მართვისას). „აბა რაღა მეშველება. შე  
დედა-მამკვდარო, რაზე დამღუპე?“  
 („უძმოს-ძმა“, II).

**ღმღიღამ** დაფიცვა: ახე მიმართავს  
დედა შვილი, ან უფროსი ქალი უმცროსს  
 (ქალსაც და ვახსაც) — დედაშვილობამ,  
დედაშვილობას გაფიცები. „ინელადა ბნე-  
ლა, დედიღამ, ველარსად წახვალ ამ  
ღამე“ („ბახტრიონი“, III).

**ღმღიღამს დაფიცება:** ახე მიმართავს  
დედა შვილს ან უფროსი ქალი უმცროსს  
 (ქალსაც და ვახსაც) — დედაშვილობას  
 გაფიცები. „ეხლა ის მითხარ, დედიღამ,  
სადაური ხარ, ვისია?“ („ბახტრიო-  
ნი“, III).

**ღმღისუმილო** მოფერებით ეტყვის.  
დედა შვილს ან უფროსი ქალი უმცროსს.  
„არა გინდა, დედისუმილო, იმას გზა არ  
აერეა!“ („მოკვეთ.“, მოქმ. II, გამოცე.  
I).

**ღმღიფალს:** „დიუბა შენთვის. თა-  
ვისს დედოფალს“ („ფშაელები“, —  
ძველს) ბეჭდვის შეცდომაა, უნდა: თა-  
მარო დედოფალო.

**ღმვა იხ. § 20.**

**ღმვთად იხ. § 26.**

**ღმვთადღმად** დევების დედა. ყველა-  
ზე დიდი დევი. დევთადღის რძით ნა-  
ზელსა, მორწყულსა კაცთა სისხლითა  
 (ვარ.) („ეთერი“).

**ღმვთა დედის რძით** („ეთერი“) **იხ. დევთადღა.**

**ღმვა** [*Rhododendron caucasicum*]  
 მომცრო ტანის მარადმწვანე მცენარეა,  
 თეთრი, ლამაზი ყვავილი და გრძელი

ჩაის ფოთლის მსგავსი ფოთოლი აქვს. იზრდება მაღალი მთების ფერდობებზე. მოგესალმებით, ქედებო, მომამქვს სალაში გვიანი, ჩემსამც სამარეს ამკობენ თქვენი დეკა და ღვიანი („ზახტრიონი“, I).

**დელგმა დიდი წვიმა, თავსხმა.** ღამეა ბნელი, დელგმა, დგანდვარებს არემარეო („სტ.-მასპ.“, XIV); „ერთხელისა, შუღამისას დიდი ნაორღვენი მოიდა, დელგმა, ავღარი“ („ღარეჯანი“, I).

**დელგმა-ამღარ-ი** იგივეა, რაც დელგმა. კარგია თავშესაფარი დელგმა-ავღარში, წვიმაში („მამიდის დანაბარები“).

**ღვრინა** ღვრინვა, ღულუნო; (გადატ.) მღერა. შორს ჩემგან მაედურობაო, შორს ჩემგან, უქმად ღვრენაო („სახალწლო“).

**ღვრინა-ს** ღულუნებს. ბარში რო ატამი ჰყავის, ტყეში გვრიტები ღვრინავენ (\*\*\* „ბარში რო...“).

**ღიბ ჭროვნად, ღირსეულად,** —ღიახაც (ზღრ. ღიამც). „ჩვენც კლანჭები გვაქვს, კბილები, მტერს ღია შევეწონვითა“ („მძინარე კატა“).

**ღიბამონა?** იამაც მომცა სალაში, დამ კვლავ ძმა იცნო თავისი, გვერდს უღგადაკონანი, როგორ ამყად ჰყავისა!.. („გაზაფხული“).

**ღიამც ბევრი რომ ვთქვათ, ბევრი-ბევრი...** „სხეას ყველას ეპოვებთ, სახელს ვერ, თუ ერთხელ დაგვიკარგია, ღიამც სიცოცხლე დაკარგო, ის ჩემთვის მეტი ბარგია“ („სისხლის ძიება“, XIII).

**ღიად ძალიან, მეტად.** (მდიდარს) ელაკლუება მხოლოდა სულმდაბალი და მშისარი, გამორჩენის ან გაძღმის ღიად მსურველი ვინც არი („კაცი მართალი“, III).

**ღიადამც ვთქვათ, დავუშვათ.** „ღიადამც ჩვენ დავაშავეთ, შენის თვალების კირივე, ქად-საწირავმა რა დააშავე?“ („მოკვეთ“, მოქმ. IV, გამოსვ. V).

**ღიაც-ი 1.** ქალი, დედაკაცი. „ჩვენ არაყ შევავთ, ჩალხიავ, ღიაცთ საქმეა ქეთინი“ („პირისუფალი“). 2. ცოლი. „რა ამბავია, ღიაცო? ხმალი მინდა და ხანჭალი“ („სტ.-მასპ.“ V).

**ღიაც-ამაწვილ-ი** ქალები და ბავშვები. ღიაც-ყმაწვილი წარტყვენეს, ნამკალი დარჩა ტიალი („განგაში“).

**ღიბ-ფარჩა** ღიბა და ფარჩა, აბრეშუმის ჭრელი ქსოვილი. ტანით სულარას იხილდა, ღიბ-ფარჩით იმოსებოდა („გაზაფხული“).

**ღიღად(ა)** დიდგულად, ამაყად. ზოგნი უკრადენ ფანდურსა, ზედ დაკმდეროდენ ღიღადა („გველის-მკამელი“, I).

**ღიღება** „მსხვერპლის შეწირვის დროს ხევისბერის მიერ წარმოთქმული ლოცვა“ (ა. შან.). ხევესური ხევისბერი, როგორც ფშვეელი, თავის „ღიდებაში“ არ დაიცივენებს თამარს („თამარის ცხვარი ფშვეში“); (ხევისბერი) ხანჯარს აიძრობს, ღიდების სათქმელად დაეღირება („ალუღა...“ V).

**ღიღიბ** ღიდედა, ბებია. შორს დარჩენ, ფშვეში არიან ჩემი დედა და დიღია („პატარა მწყემსის სიმღერა“).

**ღიღინასა** ბებია შვილიშვილს ან მოხუცი ქალი ბავშვს მიმართავს ასე მოფერებით. „მჩვენე, აბა, დიღიასავ, როგორია?“ („ღარეჯანი“, V).

**ღიღკონირკონან-ი** დიდსაჩიხიანი, დიდწინფარიანი. (ღიამბეგს) დიდკონირკიანი და ვეებერთელა კაკარდიანი ქულიც უკან, კეფაზე ჰქონდა გადაწეული („ქულივანი“).

**ღიღმბ-ს** ამაყობს, ყოყოჩობს. პირში პაპიროზ მეჭირის, რატიშვილივით ვდილობდი („ლაშარობა“).

**ღიღმობ** დიდი თანამდებობა, დიდი კაცის ადგილი. (ელიოზს) გზა უსწავლებავ მტრისადა ერთს ბნელს, უეუნეთს დამეში... თითონ დიდობა მიუღვ იმავ თათრების მხარეში („ნანგრევთა შორის“).

**ღიღასა-ღიღიან** დილაადრიანადვე, დილითვე. „ხალხმა დილასავ-დიღიან თავ ერთად მოვიყარეთა“ („ძალიკა ხიმიკაური“, IV).

**ღიღაურ-ი:** დიღაურის საქონელი-ი გაზაფხულზე და ზაფხულში საბალახოდ გარეკიდ საქონელს დაახლოებით 12 საათისათვის შინ მორეკვენ მოსაწველად. ამას „დიღაურის საქონელი“ ეწოდება. დარეჯანი „დიღაურ-

რის“ საქონელსა სწველდა („დარეჯანი“, II); „ერთხელ დილაურის საქონელი მოვლალე“—განაგრძო ცხელმა („ცრუ-პენტ. აღმზრდ.“ ნაწ. I, თ. III).

**დილაურის** („დარეჯანი“, II) ბექდვის შეცდომაა, იხ. დილაურის საქონელი.

**დინგლის** („პატარა მწყემსის ფიქრები“) ბექდვის შეცდომაა, იხ. დინგლი.

**დინდგელ-ი** „სკის შავი ცვილი“ (გლ.). თუმცა პაპუამ მიიხრა ცისა, დინდგლისა არისა, მაგრამ ვასომ, ეს რომ ეუთხარი, სიცილო დიწყით: აქამდისინ მამ რატომ არ ღაღნაო („პატარა მწყემსის ფიქრები“).

**დირამ** „გათლილი ძელი (ხე), დადებული სახლის ნაწილის (კედლის, კარის, სვეტების...) საძირკვლად ან სარტყლად; გრძელი შორი“ (გლ.). ჩამოჭდა, თავი დაკიდა, მიეყრდნო სახლის დირესა („უიღბლო ილბლიანი“, VI).

**დიმ-ი** [Heracleum] მცენარეა, ნესტიან აღვილებში იზრდება, აქვს ღრუ ღერო, დიდი ფოთლები და ქოლგასავით შეკრული თეთრი ყვავილები. ქობის გარშემო ტყელ იღვა დიყი და შუაყა მყვანია („ეთერი“, V); წყლის პირას ვიჭექ და დიყის სტირის ვაკეთებდი („პატარა მწყემსის ფიქრები“). დ ი ყ ი ა ნ - ი: (კაც) ხან თავს დააჩენს კლდის პირზედ, ხან დიყიანში ხტებოდა („გოგლია“, VI).

**ს-ღნმბ-ბა:** ა რ ა რ ა ს ღ ნ ე ბ ა ვ ე რ ა ფერს გამორჩები, მისგან ხეირის ნახვა არ შეიძლება. უფროსიან ჩემს ბაღს სხვა ცხოველებიც, როს საქეიფო არარა სღნება („გაოხრ. ბაღი“).

ლენ ჯოხებსა და აფარებლენ თვალებზე  
ზოგი ქულს, ზოგი ჩოხებსა („ივ. კოტორ.  
ამბავი“, VI).

ჩხვლუპაბ-ჩუჩხუნ-ი ჩხვლუტა და ჩუჩ-  
ხუნი. ბროლიას დაუწყეს ჩხვლუკა-ჩუჩ-  
ხუნი და ისე ძლივს ააყენეს ჩემმა ამბა-  
ნაგებმა მწავის კვალში დაყუნთებული  
(„საშობაო მოთხრ.“ — ნადირობა).

ჩხიპპინებ-ს „ჩხიო, ჩხიო-ს იძა-  
ხის (ჩხიკვი)“ (გლ.). ჩხიკვი კი მალა,  
ხის ტოტზე დაფარფატებდა და უგემუ-  
რად ჩხიკვინებდა („მგელი“).

ჩხირ-წინდა ჩხირები და წინდა, სკ-  
სოვი. ხელში ჩხირ-წინდა გეკირა, ზედ  
ოქროს შიბი აძეო („ფშაველი დედაკა-  
ცის მდგომარეობა...“). ჩ ხ ი რ წ ი ნ დ ი -  
ა ნ ი: ბევრის ქალისა გაეწირე კალთა  
ჩხირწინდიანი („ფშაველები“ — ძველს).



ჩალაპა-ჩხლუპ-ი ფხაკა-ფხუკი.  
(მგლებს) შეეშინდათ და გაფთხნენ. ერთი

მა: ცის ტატანი ცის ტატნობი.  
„პორიზონტს ეძახის ხალხი“ (ვაჟა). და-  
ვინახე, რომ ცოტა ხნის შემდეგ ცის  
ტატანზე იმისი ყურშია, წითელნაგად-  
მოგლებული, ედგა პატრონს გვერდით  
(„შელის ნუჯის ნაამბობი“, III).


ცაბაურთობა მთავარანგელოზის ხა-  
ტობა სოფ. ცაბაურთაში (უკანაფშავში).  
(ჩალხომ) ერთხელ, ცაბაურთობას, ფე-  
ხიც კი მოიტეხა („უძმოს-ძმა“, II).

ცალ-ი: ცალი გვერდი ნახევა-  
რი, ერთი მხარე. სიბერე სიკვდილის ცა-  
ლი გვერდია („დღეს ვიცინი“). (ვინ-  
მეს) ცალი და ანათალი იხ.  
ანათალი.

მეორეს გაურბოდა, ჭაგინებში ჩხლაკა-  
ჩხლუკი ისმოდა და თან თოვლის კრია-  
ლი („ამოდის, ნათლება!“).

ჩხრამილ-ი (ხევის) წყალში ასვრე-  
მილი ხალი (ქუმელი), — ქუმელის ფაფა.  
„პურ მაილიდიან, ვლეკიდი, ვლეკიდი, ვერ  
გავლეკიდი... ჩვენის ჩხრეკილისთანა არა  
იქნების, თავისთავად გაილეკებისო“ („ნა-  
კევისები“, II).

ჩხუტ-ი მომცრო კასრი (იყენებენ  
ლუღის ჩასახმელად, რძის შესადღვე-  
ბად...). ლუღი ცივი იყო, გახურებულს



ქვებსა ჰყრიდენ ლუდიან ჩხუტში, ტაგან-  
ში და იმით ათბობდენ („საშობაო  
მოთხრ.“, — ხატობა).

## 8

ცალარქა ცალარქიანი, რქამოტეხილი.  
მოუვლელი და ნავდები ზმუის ცალარქა  
ხარია („მამას ელიან ბალღები“, I).

ცალარქ ერთი მხრით. გულს ცალ-  
კერძა ჰკლავს მტრის ჭაჭრი. მეორით —  
სატრფოს ტრფიალი (\*\*\* „გულში...“).

ცარგვალ-ი ცა. უნდა დაიქცეს სამ-  
ყარო, გაწყდეს ცარგელისა ძალია („გიგ-  
ლია“, V).

ცაშიითი იხ. § 20.

ცა-ხმელ-ი ცა და ხმელეთი, სამყა-  
რო. ვლოცულობ ნამდვილ ქართველ  
ქალს ცა-ხმელთ მფლობელთან ერთად  
(„დარო ზურაბიშვილს“); ცა-ხმელთა და-  
ქცევას ჰგვანდა, ისეთი ისმის გრიალი  
(„გველის-მკამელი“, X).

ცდა ოში, ბრძოლა. თქვენთან ძალ-  
ღურად სიციცხლეს სიკვდილი მიჯობს  
ცდაშია („ქეიფი“); ბებერი ქეთხავს  
უშიშა აღუღას ამბავს ცდისასა („აღუ-  
და...“, II).

სმრად აღმაცერად, გვერდზე. ხელი  
მიეპყრო შუბლზედა, თავი გადგდო ცე-  
რადა („ეთერი“, III). საქმე ცე-  
რად წავა იხ. წავა.

ცეცხლ-ი: ცეცხლის ანგელო-  
ზი იგივეა, რაც ბაცალიგოს ჭვარი. ვე-  
ნაცეცხლ... ბაცალიგოს ჭვარს, ცეცხ-  
ლის ანგელოზს, პირქუშს („რამე-რუმე  
მთისა“).

ცეცხლ-სმბუბ ელვა-ქუხილი და  
ხეტყვა. მუნით ჩამოწვეს ღრუბელი, გა-  
ჩნდეს ცეცხლ-სეტყვა ხშირია („ამი-  
რანი“).

ცინბ-ი უჭეი, სხივები, ციმციმი. ცია-  
გი გადმოსწოლია დაბლა ხეობას მთლად-  
მა („ხის ბეჭი“, VII).

ცივ-ი: ცივი გროში ძალიან  
მცივრე საზღაური. ესა მშურს შენთვის,  
სხვას ყველას ვეისოფენი ცივის გროშითა  
„მთავრო, ბევრმა გიმღერა“).

ცივოფლად უქნარს, ზარბაცი. „არა  
სცხვენინან ხახას, ი ცივოფლას, რას აე-  
თებს და არ უშოვნის პურს, საითაც იქ-  
ნება?“ („სურათი ფშავლის ცხოვრები-  
დამ“).

ცივ-ცივად ჰაერში აყვანით, ხელით.  
მომხევივინ და-ძმები და ცივ-ცივად გა-  
მიტაცეს სახლში („მოგონება“).

ციოთ იხ. § 27.

ცილ-მპაღბ ხე, რომელსაც ცილა და  
ქერქი შემომალი აქვს, — მერქნის გუ-  
ლი. უტურმა სახლი ააგო ცილა-მპა-  
ღის მუხისა („ძვ. და ახალი ფშავლ.  
პოეზია“).

ცინაღ-ი ცალ ფიხზე ხტუნვა. წინ  
მიუძღვება წიწილა ცინკალით, გადაფრე-  
ნითა (ვარ.) („ნახევარ-წიწილა“).

ცინბაღბ „ცხვირის ცემინება“ (ვა-  
ჟა). „(მამა-შენი) წაიყვანე და მოშორე-  
ბით, რო ცინბაღბა არავის გაეგონა, ბოს-  
ტანში რო პანტა გიდგათ, იმაზე დაუბი“  
„ცრუბენტ. აღმზრდ.“, ნაწ. I, თ. IV).

ცირცაღ-ი (Sorbus caucasigena)  
აღბიური ზოლის ხე-მცენარეა, აქვს წი-  
თელი, მჟავრე ნაყოფი, რომელსაც დამზ-  
რანს, ყინვანაკრავს ჰამენ. ჩემ წინ ერთი  
ცირცელი იდგა („პატარა მწყემსის ფიქ-  
რები“).

ციხბა იხ. § 28.

ციხბხა იხ. § 28.

ციხბნის-ი ციური, ცაში მყოფი. აქ:  
მზე. მერმე ილიდოს ზვიადი ციხბნისი  
ქვეყანაზედა! („მზე და ვარსკვლავე-  
ბი“, I).

ციცა კატა. „(ზოგი) ჩაახედავს ღინ-  
ჯად არაყინის ყანწს და ციციასკით ენით  
ტუჩებს ილოკს“ („უძმოს-ძმა“, II); (თა-  
გვები) ციციის დაქერას ფიქრობენ, მძიმე  
შაყარეს ჭარო; ციციას მიუსხდენ კარზე-  
და: „ციცავ, გაგვიღე კარიო“ ციციამ კარი  
არ გაუღო: „შაბათ-კვირის ძალიო“ („ჩა-  
ნაწერები“). ციციის ტერფალი იანი  
მაჟარი მჟარი (იხ.) რომელსაც კატის  
ტერფი ახატია(?) „კაი ფასიც მიეც, ცი-  
ცის ტერფალიანი მჟარი კარგია“ („მო-  
კვეთ.“, მოქმ. I, გამოსვ. II).

ციხბგროზბა ხატობა; იმართებოდა  
ციხბგორს, უკანაფშავში. „გამძლარი, გა-  
ლოთებული ციხბგროზობით მოსიქეს ჩემ-  
თან მოიდა ისი და კიდეც სხვა რაიმე ეტა-  
ნა“ („დარეჩანი“, IV).

ციხბითა იხ. § 27.

ცილინბურ-ი: ცლინგურს უგ-  
დებს იხ. უგდებს.

ცინბა: ცინებას მოიყვანს იხ.  
მოიყვანს.

ცინობა 1. გრძნობა, გაგების უნარი,  
ცნობიერება. „(ქორი) პირუტყვია, რამ-  
დენჯერ შესციოდება ან მოჰმეოდება, მაგ-  
რამ ვერას იტყვის, — უენპირია და იმით,  
კაცს უნდა ჰქონდეს იმდენი ცნობა, შე-  
ატყოს“ („პაპას მსოფლიო ფიქრები“).

2. შენმა და ჩემმა ცნობაა  
დაფიცვა: ჩენი ცნობის მაღლმა. „ემ  
ჩემს ჰალარას დაენდე, შენმა და ჩემმა  
ცნობაა!“ („სისხლის ძიება“, XII).

ცინობა-ნლობა იგივეა, რაც ცნობა-  
ძმობა. „თუ გწამ ცნობა-ნლობის გამჩე-  
ნი... აგრემც თავს შამოგეულები“ („ფშავ-  
ლები“, — შენამც).

**ცნობა-ძმობა** ნაცნობობა და ძმობა, შეგობრობა. „შაიწყალოს ისინიც, ვისაც ჩვენთან ერთად პური უჭამია, ჩვენთან ცნობა-ძმობა ჰქონია, ყოფილან და დღეს აღარ არიან“ („ფშაველები“, — შენამც).

**ცნობილ-ი** ცნობიერების მქონე, გონიერი. „მითხარით, ნუ დამიმალავთ, ვინც კი კაცი ხართ ცნობილი“ („ბახტრიონი“, XII).

**ცნობულმას** ნაცნობია მისთვის, იცნობს. ბევრსა ვსცნობულობ ჯარშია წარსულის დროის გმირებსა („სიზმარი სასოწარკვეთილისა“).

**ცოდვა:** ცოდვა კეთილის აღლია ცოდვა კეთილის საზოგადოებად. მადლსა მსურს ცოდვა დაჩაგროს, ცოდვა კეთილის აღლია („ქებათა-ქება“, — იუდასავეთ).

**ცოდვა-პირით** გაპირვებით, წვალებით. ეუამბე ცოდვა-პირითა ნახული, განაგონარი („ნანგრეეთა შორის“, II); (საღირი) ცოდვა-პირით მოვიდოდა, მოჩოყავდა ქალაზედა („ჩანაწერები“).

**ცოდვინან** ცოდვის ჩამდენი, კაცის მკვლელი. ცოდვიანა, ქრისტიანის მკვლელი, პატრუარული იყო („ფშაველების ძველი სამართალი...“).

**ცოდვილ-ი** საწყალი, საცოდვო, უერგოლო. „განა ჩხუბით კი-შოემატება მაქულსა, ცოდვილნი?“ („დარეჯანი“, I).

**ცოკლი-ცოკლი** ნელ-ნელა იარე. „როცა გითხრა: „ახტი-დახტი, ბერო ბიძაო“, მაშინ ჩქარა მომყე, გამოიქეცი, და როცა გითხრა: „ცოკლი-ცოკლი, ბერო ბიძაე“, —ნელ-ნელა გამოაბიჯეო“ („ცრუ-პენტ. აღმზრდ.“, ნაწ. II, თ. II).

**ცოკვა** მოკლ-მოკლე ნაბიჯებით სიარული. „ზოგან ვაკეა, შაიძლება ჩქარა გავლა და ზოგან გვერდალი, კლდინი, თუ არა ცოკვით, არ გაივლებო“ („ცრუ-პენტ. აღმზრდ.“, ნაწ. II, თ. II).

**ცოლპარბ-ი** კარგი ცოლის ქმარი. ნეტამც ცოლყარგის დედასა, ქმრის სწორი ლამაზად დახვდება („ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა...“).

**ცოლ-შვილიც**: „თუ ვის ვინ დასკრიბდა, ცოლ-შვილიც დაკრიბის ყმად

ხლებოლა“ („ხვესურის თავი“) ბეჭდვის შეცდომაა, უნდა: ცოლ-შვილით.

**ცობა** უმი, შოუხარშავი. „მგელი სუცობას არა სკამსა, მაგრამ ბიჭობით კი ვერავინ სკობია“ („სცენები“ — ფშაველ. ცხოვრ., I).

**ცობას** იხ. § 24.

**ცოფი:** ცოფის ბალახი შხაშოანი ბალახი, ლენცოფა. „რა კირი გეცა, რა არი? ბალახ თუ სკამე ცოფისა“ („მონადირე“, II).

**ცოცხალთა** იხ. § 28.

**ცრემლად** იხ. § 26.


**ცრემლ-ი:** ბალღა დაიწყო ტირილი, ცრემლი დახეთქა თვალებში („ადამიანი“) ბეჭდვის შეცდომაა, უნდა: ცრემლმა.

**ცრინბა** „სურღო“ (ვუა). „ცრინბა შეეკარ, შეებაკიქე, შეესა ძალსა გადაეკიღე, შევი ძალე ხიდს გაეარდა, ცრინბა წყალში ჩამიეარდა“ („ფშაველების ამოღ-მორჩმ.“).

**ცულე** უეარგისი, ბეჩავი, ლაჩარო. კარგის ქმრის ცოლი ტირიდა: „აღარ მაშეა შინაო“ ...იცინის ცუდაის ცოლი: „გამაქეცეა წინაო“ („გმირის იღუპილი...“).

**ცულე** იხ. § 1.

**ცულ-პარჩ-ი** წერაყინი, წერაქვი. აჩქამდა ახლა იწეინის ცულ-ქარჩი, რკინიგზის ადგილს ზომა დაუწყევს („ხვესურეთი“).



**ცუნერპინან-ი** ფუქსავატური. სად ია-ვარდის ოცნება, სად „ჩოთქ-არშინის“ წკრიალი? ... ათასგან ჩაძრომ-გაძრომა, ცხოვრება ტუნერუციანი (\*\*\* „ჩემ...“).

**ცუნერპინან-ს** ცუნდრუკობს, უწონოდ დახტის, ფუქსავატურად იქცევა. „სკუნ-ტრუკო, მხარაყულაობ ავარდნილს საქონეთო“ („ორი გმირი“, II).

**ცუნან** ციციქით ქვაბ, სუნან. (ეფემიამ) ფეხზე შემოყენებული დადგა გან-

ქინაში (ხაფანგი), როცა ბავშვებს აუხსნა... თუ როგორ შეძერებოდა თავი, როგორ დაუწყებდა ცუცნას ლებანს („სა-თავური“, II).

**სუცუნ-ი ცუნცული.** ჩვენი ტრედი ბატონის ეზოში მიფრინდა და დაიწყო ცუცუნი, მარცვლების კრეფა („ტრედები“).

**საქლემ-ს თქლემს,** ხელეპს (კატა ძალი). „ცქლიფეთ ეს ძალის სალაფაი, რადგან თქვენ ამის ღირსები ხართო!“ („კრიტიკა... ვართაგავასი“).

**სამუნვა უშნო ღიმილი,** ღრეკა. (დათვი) მივიდა, ისევ კერაზე დაუჭდა ქალს პირდაპირ და არშეიობის მსგავს ღიმილით, სახის „სქმუნეთ“ შესკეროდა („სახალწლო სიზმარი“).

**სპრანბ-ი წვრილი,** გამხდარი, სუსტი აგებულებისა. ტიროდენ ყუვილინი, ცქრანტნი, მილეულ-მიზნედილინი („ბერი-ძე გაუტეხელი“); მოკლა ცქრანტმა კაცმა ერთი დიდის ტანისა და სქელფაშვიანი კაცი („ტრედები“).

**სხან-სხრილ-მანი ცხაეები და ცხრი-ლები.** ცხაე-ცხრილებსა ქსოვის მართალი, სთლის ნიჩბებს, სჩორკნის კეხებსა („უიღბლო იღბლიანი“, III).

**ს-სხან-ს:** გულს მურს სცხებს დანადგლიანებს. მაგრამ შეენიშნე ერთი რამ, იმან გულსა მცხო მურია („ქებათა-ქება“, — იუდასავით).

**სხამლა** საქსოვი დაზგის იარაღია (ცხემლათი ზედა ექსოვება ქსელში). ავი-ლოთ მავალითად ქსლის იარაღი: გარა, სხემლა, საყვანელა ანუ კაჩაუნა, სახე-ჩაეი და სხვა („მცირე შენიშვნა“).



**ს-ძაბბ-ს** ჰიშავს, სწევს. ჩხიკვი კი-სერს სძაბადა, მაღლიდან დაბლა აკვირ-ლებოდა (ვარ.) („ოჰ, რა კარგი ხარ...“).

**ძაბბა ჰიშავა,** წევა. მოქუჩიდა წერო-

**სხან-ი:** ცხენის მარლი ქვა-მარლი. ლიტრა ცხენის მარლს ექვს შურზედ ნაკლებ ვერ იშოვნი („რამე-რუმე მთისა“).

**სხანწიმი** იხ. § 28.

**სხანპარბ-ი** კარგი ცხენის პატრონი (ზღრ. ცოლკარგი). ნეტამც ცხენკარგის დედასა, ჭარში წინდაწინ წადგება („ფშა-ველი დედაკაცის მდგომარეობა...“).

**სხანს ზიმი:** („აფხუშობა“) ბეჭდ-ვის შეცდომაა, იხ. ცხენწით.

**სხანწიმი** სწრაფი ჰენებით, ჭირი-თით. ერთმა პირქუშმა ვაჟაკმა ცხენ-ხეთქით ჩამაიარა („ჩანაწერები“); „საით მოსდინხართ, ფშაველებო, ცხენხეთქით, რიალითაო?“ („ბახტრიონი“, XVI).

**სხპირბაზარილ-ი** ცხვირგაშვერილი. (ვირმა) გაწყვიტა საბელი და გვერდზე ცხვირგაჭერილი გაიქცა დათეთან სახე-ლის მოსალოცად („დათვი“, — გამარჯ-ვებული, II).

**სხპირბაზარილი** („დათვი“ — გამარჯ-ვებული) ბეჭდვის შეცდომაა, იხ. ცხვირ-გაჭერილი.

**სხპირწინანი** ზედ ცხვირწინიდან, ახლოდან. „მამაჩემმა იცოდა, იმ მამიჩე-მის ცხონებამ, ქორი რო ქათამს გაიტა-ტებდა თუნდ იმის ცხვირწინაით, ხელს არ აუქნელა“ („მოკვეთ.“, მოქმ. I, გამოსვ. II).

**სხპრეზულა** იხ. § 28.

**სხორეზა ზიმი** („ხეც. ქორწ.“) ბეჭდვის შეცდომაა, იხ. ცხვირეზაზეით. **სხორეზაზიმი** იხ. § 28.

**სხრაპარლვა** (*Plantago major*) მრავალძარღვა. (მტრედმა) ნისკარტით ცხრა-ქარღვა ბალახი მოიტანა და დაადო მწყერს თავზე („ტრედები“).

**სხრომალე** იხ. § 40.

d

საოთი მინდვრის პირთ გუნდად, ძაბვითა („მწვემისის სიმღერა“).

**ძაბა-ძაბ-ი** ზაგა-ზუგი. რამდენჯერ ცხოველურს ეინს აუვთროთოლებივარ,

ხელ-ფეხს თახთახი დაუწყია, გულს — ძაგა-ძუგი („ეკურღლეო“, — ის).

ძალ-ი ლარი (მშვილდისა), სიმი (ჩონგურისა). იძაბვის ძალი მშვილდისა, ავერ მოგორვენ დევები („კობალა“, III); შენს სადიდებლად მომართა ბევრმა ჩონგურის ძალები („მთვარეო, ბევრმა გიმღერა“).

ძალბამ-ს ხმლევს, ერევა. (კაი ყმა) იქ იდგეს ხმალ-ამოწვილი, საც ძალა აღმართს ჰვეალადეს, გაბეჩავებულს სი-მართლეს უსამართლობა სძალადეს („კაი ყმა“).

ძალღამდნარ-ი ძალაგამოლეული. გული დამილბა, დავდექი, ძალღამდნარს ღონე მელევის („სიზმარი სასოწარკვე-თილისა“).

ძალწინანს იხ. § 24.

ძალს... ძალს ამბობენ, როცა ორი ერთმანეთს შეეხებრებულის დახასიათება უნდათ. ძალს ქორი და ძალს ტრედი, იბრძოლეს, ერთი იქერდა, მეორე გახეყ-წყება სცილობდა („ტრედები“).

ძალუანისამ ასე მიმართავს ძალუა უმცროსს მოფერებით. „შენ არა გინდა, ძალუაისავე, იმ ძალის ჯაერს მე ამოვიყ-რი“, — ანუგეშა დარეჯანმა („დარე-ჯანი“, II).

ძალბ „რკინის გოგირდშევა მარბილი; რკინის აქასპი“ (გლ.); ხმარობენ ხალხბა-ვად. ქეცით გამოხრულის ვიერებით მოი-ტანეს საქონელი და იცით შერე რა სა-ქონელი? ძალა, კევი, ახალფერი, ლილა, ღილი, მძივი და სხვადასხვა („თან. ფელტ.“ — ვინც).

ძალთ იხ. § 8.

ძალთი იხ. § 8.

ძალთოდნენ-ი (—ძალთოდნი) (უპა-ტივც.) ძალიან ბევრი. „ძალთოდნი ბი-ძა-ბიძაშვილები ჰყენან და ერთმა.. ვერ გაიგო, სად არის ის კაცი“ („დარეჯა-ნი“, IV).

ძალლობა არასაკადრისი საქციე-ლი. ღვინო მასმე ბევრჯელა, როცა მწყუ-როდა წყალია, თუ ბოლოს ეამსა ძალლო-ბა შენაც არ მოიხმარია („თ. გიგლო ყა-რალაშვილს“); „ეს სულ შენის ძალლო-ბისა ხლება, შენ მიკლავ შეილს, შე ეშმა-

კის წილევრძო“ („მოკვეთ.“, მოქმ. IV, გამოსვ. VI).

ძახს-ს ძახავს, გრებს ჯარაზე. „ქა-ლი“ შენს საჩონხეს სძახს, სილაღე, და ცხარის ცრემლით იღვრება“ („გიგ-ლია“, I).

ძახნილ-ძახნილ-ი ერთმანეთისთვის გა-ძახება; ხშირი ძახილი. სოფელში ხმაუ-რობაა, ძახილ-ძახილი დიდია („გვე-ლის-შეამელი“, VII); ხეესურთ ვაეუბი აჩქროლდენ, დგას ლიქოკს ძახილ-ძახი-ლი („ძალიკა ხიმიკური“, II).

ძებრბ-ძებრ-ი ხშირი და ძლიერი ძე-რა. ჩემმა გულმა ფეთქა დაიწყო, მისი ძეგარა-ძეგური, ხმაურობა თითონ მევე კარგად მესმოდა („სივამ“, II).

ძეგვლამ: თვალები ს ძეგვლე-მა ქვეშევეშად ყურება, თვალების ცე-ცება. (ჩხიკვი) გაიძევრულად თვალების ძეგვლემით წარმოიდგენდა თავის თავს კრუხად და მოჰყვებოდა კრუშ-კრუშს („საწყალო ჩხიკვი“).

ძებრილ-ი გრიალი (ფიგურ.) გულს გაკვინდლებს შთაობრის დილის ნიავის ძებრიალი („მწყემსის სიმღერა“).

ძეგვლიზ-ი „თოფია“ (ვაჟა), ძველებუ-რი, კეთიანი თოფია. (ალუდამ მუცალს) თავით დაუდვა ხანჯარი, ზედ ეკრა სპი-ლის ძვალით, გულზედ ძეგვლივი დაადვა მკლავზედ ფრანგული ხმალი („ალუ-და...“, I).

ძეგვლიზ იხ. § 41.

ძელ-ი, ძელა ღიდი, სქელი შეშა, რო-მელსაც წვრილებს უმატებენ ხოლმე ცეცხლზე. გარეთ, ეზოში ღიდი ცეცხლი ენთო, გრძლად ძელა იყო გადებული, ზედ ცხრა თუ ათი კეცი მიეყუდებინათ („ფშაველი და...“, II); ცეცხლი ბუტბა-და. ჰქრებოდა, ალი კვდებოდა ძელზედა („ქართ. ქორწ.“, IV).

ძელვანში („სცენა მთაში“) ბეჭდვის შეცდომაა, უნდა: ქელვანში.

ძენრი იხ. § 20.

ძეშლოზს იხ. § 41.

ძირ-ი მოღვაძე, ჩამომავლობა. „მე კვირია ვარ, მიტირე, თუშეთით მოსულ მზირია, თუმცა-ვი თქვენის წყლისა ვარ, ფშაური მიღვა ძირია“ („ბაბტრიონი“,

IX). ძირად ჩამომაჯობით. „მა-  
თურელი ვარ ძირადა, სახელად მქვიან  
კვირი“ („ბახტრიონი“, III).

ძირ-ბორჯინანად იგივეა, რაც ძირ-  
ფოჩ(ვ)იანად. ახ, ნეტავი... თემურ-ლენ-  
გის შეძლება მინც მოვეცა, რომ „თბი-  
ლი ქალაქი“ კი არა, თვით „პეტრებუ-  
ლიც“ ძირ-ბორჯიანად გადმოგვეტრიალე-  
ბინა („რამე-რუმე მთისა“).

ძირით-ი ქვემოთა, ქვემოთ მყოფი.  
ცხენების ნოქრევა-ბიბინით მტვერი ცას  
მისწულა ძირითი („მწყეშის სიმღერა“).

ძირითა I. მამომოდან. იქნე, რამდე-  
ნიც ვნებავს, მუშტი და წიხლი ძირითა  
(ვარ.) („ქებათა-ქება“). 2. ქვედა „მო-  
ბრძანდით, თქვენაც იხილეთ სახლის ძი-  
რითა სართული“ („ახუნდი“, IV).

ძირმწარ-ი აქ: ცული, უსიამოვნო რამ.  
ნელარ მაჩენოს უფალმა გულის საკლა-  
ვი ძირმწარი („სიზმარი“).

ძირ-ფოჩ(ვ)ინანად ძირ-ფესვიანად.  
„ამოვეარდი ძირ-ფოჩვიანად. აღარავინ  
მრჩება, რომ ჩემი შესანდობარი და-  
ლიოს“ („ცრუებერ. აღმზრდ.“, ნაწ. I,  
თ. IV); (უფალი) ამომთხრის ძირ-ფოჩი-  
ანად, საქმე წამივა ცულადა („ხის ბე-  
ქი“, VII).

ძირშითს) იხ. § 29.

ძირხვეან (Arctium) ბალახოვანი მცე-  
ნარეა, აღმოცენებამდე მკერივი და  
გრძელი ტუბერი აქვს, რომელსაც ჰამენ-  
ახლგაზრდა ღეროც იკმევა. აქვს წითე-  
ლი უვაილები, რომლებიც გახშობის შემ-  
დეგ ბიკეპივით ეკვრება ტანსაცმელს  
და მისთ., — ოროვანდი. ბუნება... ხელ  
გვაქცევს მიწად, მტერად და ნაცრად, სა-  
დაც ღორი დინგით ძირხვენისა და ლუ-  
სუნის ძირს დაუწყებს ჩიჩქნას სიმშვილის  
დასაკმაყოფილებლად („ენა“).

ძის: ჩვენც ძის საქმეთა და ფიქრთა  
განხილვა-დაკვირებას შეუდგეთ (ვარ.)  
(„ჩალხო“) ბექღვის შეცდომაა, უნდა:  
მის.

ძლივ: ძლივ სადამე (სადამე)  
ჯვიან, ძლივს სადამე, როდისღაც. ძლივ  
სადამე აღსდგე მკერდითთა, საბარალოს  
თა მქვიანო („ბარაგელი გაზაფხული“);  
„(თოთთა) ვინახე... ძლივ სადამ ვიცანთ

მიხერა-მოხერაზედ, ტანშია“ („გველის-  
მკამელი“, X).

ძმა: ძმათ მზემა ქალის მიერ  
ძმების დაფიცვაა. „განდამც კაცი, ძმათ  
მზემა, მე შამრცხებოდა ქვიშისა“ (ვარ.)  
(„ორი გმირი“).

ძმა-ბიძაშვილ-მზ-ი ძმები და ბიძა-  
შვილები. „არ გეყოფა განა, რაც ჩემი ძმა-  
ბიძაშვილები გაქელიტე?“ („ეურდლე-  
ლი“, — ის, II).

ძმბილამა დაფიცვაა: ძმობას გეფიცე-  
ბი. გზას იკითხავ... გასწავლის, არა და  
„და-ძმობამა ან ძმაილამა... არ ვიციო“,  
თავიდან მოგიშორებს (ფშაველი ქალი)  
(„ფშაველები“, — გზად); მე სუ მარტო  
ვარ, ძმაილამა (ვარ.) („პატარა მწყემსი“).

ძმამამადარ-ი: ვინ ძმამეკედა-  
რი ძმის დაფიცვაა: ძმა მომიკედეს,  
თუ... „ვი-ვი-ვი, რა ყინჩი (ლამახი,  
კარგი) რამ იყო, ლამაზად გაზდილი,  
დამწყაზრულ თვალ-წარბნი, ფერად იღვ-  
რებოდა, ვინ ძმამეკედარი ტყუოდეს“  
(„ფშაველები“, — შენამც).

ძმა-მმარა (დაცინ) იგივეა, რაც წა-  
წალი. „ნეტავ რად არ გამათხუებ, მამა-  
ჩემო, ღვთისაგარო? განა ბატარაიდა ვარ,  
ქალი ოცი წლისა ვარო, — თორო ძმა-  
ქმარას შვირთავ, ქალ ისითა ჰკვისა ვა-  
რო“ („ფშაველი და...“, V).

ძმა, ძმისწულაბი: („ალუდა...“, II)  
ბექღვის შეცდომაა, უნდა: ძმა-ძმისწუ-  
ლები.

ძმა-ძმისწულ-მზ-ი ძმა და ძმის შვი-  
ლები. გაშეგებნენ ალუდას ძმა-ძმისწუ-  
ლები სამნია (=ძმა და მისი ორი ვაჟი).  
(„ალუდა...“, II).

ძმეულად ძმობილად, მშურად. „მისი  
(ლუხუმისა) ველარა ვავიგეთ, იქნებ  
თუშთ გაჰყვა წვეულად; ზეზვის დაქრა  
ეწყინა, ძმობილს თან ჰყავდეს ძმეულად“  
(„ბახტრიონი“, XVI).

ძმისადა იხ. § 26.

ძმისაჰ, ძმისაღ მოფერებითი მი-  
მართვა ძმისადმი ან ძმად მისაჩნევი ვა-  
ფისაღმი, — ძმაო. ბეჩაობით გაზრდილი  
ვარ, ძმისავ („პატარა მწყემსის ფიქრე-  
ბი“); ისეთი ვიყავ, ძმისაო, როგორც შა-

ვი კლდე, სალია („ფშაველის სიყვარული“).

**ძმობა:** ძმობის მადმა იგივეა, რაც ძმობაჲ. „იქითას პირში დაუგე (ხაფანგი), პირველს ვადმოსაჩენში, და ლამაზადაც დაუგე, ძმობის მადმა“ („სცენები“, — ფშ. ცხოვრ., I).

**ძმობაჲ დაფიცვა:** ძმობას გეფიცებო. „ძმობაჲ, ჭერ წარბი იმისთვის არავის შეურხევიას“ („იმედი რაზიკაული“).

**ძმობასუ** თუ ძმა ხარ, ძმობას გაფიცებ. სხვა მოსთქვამს: „ხმალი გამიტყდა, მათხოვეთ ვინმე, ძმობასა“ („ნანგრევათა შორის“, I).

**ძმობილ-ი აქ:** იგივეა, რაც ნაძმობი, წაწლი. იმათაც (ქალებსაც) აქვსთ საკუთარი ქირი და ლხინი, საკუთარი ღობილები და ძმობილები — წაწლები („ძე. და ახალი ფშაველების პოეზია“).

**ძმობილბ** (ცნინ.) აქ: ძმობილო. ივანეშაც სცა ნუგეში: „ნუ გეშინიან, ძმობილა...“ („იფ. კოტორ. ამბავი“, VI).

**ძნა ძნის ძირი** (ვუა), ძნის ზეინი. გა-მხარებ, ბარში რაც ძნა და თივა ქქონდა, ყაპირის, ნახსატების წოწლოცინა სარები და მათივე მსგავსი „ძნები“ აავო („ფშაველი და...“, III).

**ძნელა** (ცნინ.) ძნელი; მწარე. „პური მოგეშვიდა, მამაო“, — სიტყვას მეტყვიან ძნელასა („ლარიბის სიმღერა“).

**ძნელად** ძალიან, ძლიერ. ვაჰმე, რა ძნელად დაეწუხდი, აღმე ავხედავ გზასო („ფშაველი და...“, XI); აქ-ლა გავიგე, სამშობლო ტკბილი ყოფილა ძნელა-და („მთიელი ბავშვი ქალაქში“).

**ძნელად** ძალიან, ძლიერ. „ბაღ-ლები ავეგობიერდა, ხელ-ფეხ დავეიზრა ძნელად“ („ალუდა...“, VI); „ბევრს ნუ შეუბნებ, თუ ძმა ხარ, ნუ დამაღონე ძნელად“ („ეთერი“, III).

**ძოლან, ძოლანის(ა)** ამ ერთი ხნის წინათ. რად გვიწერებოდი ძოლანა, რად გვაწილებდი დათაო („ფშაველი და...“, XI); „ძოლანისაც მანდ ეგლო ი ქალბნელი, მატყლის კეკანი ქქონდეს“ („ფშაველები“, — შენამეც); „ძოლან... ცხვარშით მოსეეს, ხახაის სახთანისას ჩამოვიარე“, („სურათი ფშაველის ცხოვრებიდან“).

**ძრბსუ** განზრახვა. კვლავ გააბრთხი-ლონ მნახელი: იყოს კეთილის ძრახვი-თა („კაცი მართალი“, V).

**ძრილდი** იხ. § 4.

**ძრინან** იხ. § 4.

**ძრიანდი** იხ. § 4.

**ძრიანდი** იხ. § 4.

**ძრიანდის** იხ. § 4.

**ძრიანდას** იხ. § 4.

**ძროხა** ძროხის ღირებულების საზღა-ური. უჩივლა თინას ნათელმა სულიებთა-ნა პირადა და ორი ძროხა დაადვა ნა-ცემის გასაპირადა („ორი გმირი“).

**ძროხაგშიანდი** იხ. § 28.

**ძუაგაყვევი-ბული.** გზირი იოთამიცი შემოაქროლებს ხოლმე ეზოში თაყის ძუაგაყველი და გაცეული ცხენს (ვარ.) („სოფლის სურათები“).

**ძღვრობა-ღღე** ძღვენის, მოსაკითხის მიტანის ღღე. ახალწლის დილა გათენ-და, — ძღვრობა-ღღედ არის ცნობილი („მოგონება“, — დარბაზში).

## 6

**წაბარახუნებ-ს** (საუბრ.) უაზროდ იტყვის, წამოროშავს. „ლარათერი აბა-ღიათ, ბატონო, და რაღა გამოუართვით, რა გაუუყიდოთ!“ — წაბარახუნა ამ თავხედმა აღამიანმა („სოფლის სურათები“).

**წაბივიდი:** „რაკი ჩანგალი ქქონდა ხაფანგს, (მგელი) ვეღაროთ სად წაგი-ვიდი“ („სცენები“, ფშ. ცხოვრ., II)

**ბექდვის შედრომა,** უნდა: წაგივიდოდა. **წაღილზე,** წაღინზე მოწადინებისთა-ნავე, მონღომებისთაანვე. „აი, ემ ქედებ-ში, წაღინზე მოკლავდი ირემს“ („შო-ბის წინა-ღამე ტყეში“); „კაცი ამბობს, წაღინზე ვხოცი ნაღირსო“ (იქვე).

**წანსმინ-ს:** გულზე მური (ნახ-შირი) წაესმის (ფიგურ.) დადარ-



დიანდება, დანაღვლიანდება. შეჩერდა თუმის ლაშქარი, გულზე წავსო სიურია („ახტრიონი“, XIV); სიურმიდან საიჭიოსთან დამკვებებია კავშირი, მიტომ შდის ცრემლი უშრობი, გულზე წამესო ნახშირი („სიურმიდან საიჭიოსთან“).

**წამხირება-ს წაზეტება, წათრევა.** „ბუთლიას ბრალიც კია, — რა უნდოდა, წავხირებულეყავ შინა“ („გასამართლ. ჩიბუხი“, II).

**წამ-ს: საქმე წორზე წავა საქმე ხასურველად წარიმართება, ხასურველ შედეგს მოიტანს.** საქმე მიანიც წორზე არ წავიდა, არ აღმოიფხვრა ბოროტ-მოქმედება („სოფლის სურათები“). (ვ. ს. ი. მ.) საქმე ცერად წავა საქმე ცუდად წაუვა, წაუხდება. „არ იცი, რომ შენი საქმეც დღეიდან წავა ცერად?!“ („სტ.-მასპ.“, V). საქმე კოკლად წავა საქმე ცუდად წავა, გაქირდება. კოკლად წავა საქმე, თუ ცხოვრების წყაროები არ გამოვძებნე („ზ. კიკინაძისადმი“).

**წამიძინოდი იხ. § 84.**

**წამიხურნოდი იხ. § 84.**

**წამწოდი იხ. § 34.**

**წამწამებამიხამი** (აწმუ: წაწყდება) წაწყდომოდით, გადაყაროდით. იქნება ნაღირობა კიდევ გაგვეგროძო, რომ სახათბლოდ ერტს მწავეს არ წაწყვეტბიყავით („სამობაო მოთხრ.“, — ნაღირობა).

**წამხირებულეყავ იხ. წაზეტება.**

**წამინან-ს წაიღებს.** „ხეს რო გამოსცხვირვენ. შივ წნელს ჩაუღებენ. მაუბმენ ჭორებს და, სადაც უნდ, იქ წაიტანენ“ („თიან. ფელეტ.“, — უკაცრავად).

**წამიბჰვი-ს I. წამილაპარაკებს, თავისთვის იტყვის.** დედაჩემს ძილი არ მოუვიდოდა. უციღლა კერის პირას გარანდებული და წაიტყოდა მალ-მალე: „ნეტა რად დაიგვიანა, წყალში კი არ დაიჩხოს საცოდავი კაცი?!“ („ხოლერამ მიშველა“, I). // დაუფიქრებლად იტყვის. (დელაკაი) წაიტყვის უგავანს სიტყვასა მოუფიქრელი, ცეტიან („გოგოთურ და აფშინა“, II).

**წამიბჰნებ-ს წაილაპარაკებს.** „ბოლო ვნახთო, რა იქნება...“ — წაიბჰნა თავისთვის მოხუცმა სოსიკამ („სოფლის სურათები“).

**წამიბჰვიბჰვებ-ს კაფიას (იხ.) იტყვის, წაიბღერებს.** მერცხალამ გაიგონა მამასახლისის ჩივილი და ლექსით უბასუხა, „წაიკაფიავა“, როგორც ფშავლები იტყვიან სოლმე („ფშავლების ცხოვრებ. დამ“).

**წამიბჰვებ-ს წაიღებს (ბევრს).** „აჰა, წაიბვენ აბჯარნი, ცხენს ნუ დაუყრი თივისა“ („გოგოთურ და აფშინა“, IV).

**წამბ „ქილაში ჩაღებული ყველის წვენი“ (ვაჟა), — წათხი.** აქაურს მოხრაკულებსა წაქა მირჩვენავ, შრატია („მთიელი ბავშვი ქალაქში“).

**წამ-ჰპარბ-ს: ხმას წაჰკრავს ხმას გაქმენდს.** „ბაღლებო, ხმა წაჰკარი-თო, თორო მე ვიცი თქვენიო!“ („ბერლიხა“).

**წალამ-ს წელავს, შიგანს უღებს.** ხარს დაეკარ ქორბუდიანსა... და იმდროს, როცა ეწალავდი, სხვებმა წამართვეს... წაიღეს, ცრემლებს ველარა ვმალავდი („გოდება თანამედროვე წინასწარმეტყველისა“).

**წალამ-ს: გზას წალდავს წალდით კაფავს, წალდით გზას მიიკვლევს; დაბრკოლებების გადალახვით წინ მიიწევს.** გზას ეწალდავ ნარ-ეკლიანსა საშრომლად აბირებული („მარტო გამზარდა დედამა“).

**წალიბ-ი: წალიკს გააბმენ იხ. გააბმენ.**

**წამიბინან-ს წამიიღებს.** „ხუთის თუმნისავ ქამარ-ხანჯაროვ, უსულ თოფივ, უსულ წულანივ ჩემ ამხანივთ წამიბიტანესავ“ („წერილი ზევსურელიდამ“).

**წამიბიტან მსაზ „წერილი ზევსურეთილდამ“ ბებღვის შეცდომაა, იხ. წამიბიტან.**

**წამამიღირა იხ. § 11.**

**წამბსბბანდ წამოსაღებად.** „ათენგენობის სწორზე კი ჩამულთ სვის წამასატანად, გიგო!“ („სცენები“, — სცენა ზევსურეთში).

წამიერ „ერთ წამს“ (ა. შან.). დღე მიიწურა, მზე ჩაღის, დავიღამდება წამიერ („ცოლი ანუ...“ 1V).

წამოაპანბებულობა-ს იგივეა, რაც წა-არახუნებს. რომელმა გენერალმა რომელ კორესპონდენტს რა უთხრა, რომელმა უნტეროფიცერმა როდის რა წამოაპყანტურა („პოლიტიკური მსჯელობა“).

წამოთვი წამოთვი ძაღლის მოსახ-მობი შეძახილი. (დარეჯანმა) შეუტია ძაღ-ლებს: „წამოთე, წამოთეო, თქვე სამგლე-ებო!“ („დარეჯანი“, II); „წამოთეო! სად მეეხიარები, შე მუდრეგო!“ („სცენები“, სცენა I).

წამოიბაჰნი-ს წამოიბაჰებს, მოუფიქ-რებლად იტყვის; წამოილაპარაკებს. ხან-დახან გაკავრებული წამოიტიყვი რაღა-ცას და ბოლოს კი ენანობ („კლდე სალი“).

წამოლალაჰ-ს (ხევს.) გამოგზავნის. „მე ჩემებ სოფელებმ წამამლალეს შენ-თან“ („თიან. ფელტ.“ — უკაცრავად).

წამოიღოლი იხ. § 34.

წამო-ჰ-რემ-ს გამოურევს (საუბარ-ში). ისეთს რასმე წამოჰრევს, რომ, ქვის გულიც რო გედვას, უნდა იტირო, მეტი ღონე არ არის! („ფშაველი და...“, II).

წამოუნსომ-ს შემოსტყორცნის, ესვ-რის. ტრედი ენანში შეფრინდა. გლახმა კიგო წამოუსო, მაგრამ ააციღინა („ტრე-ლები“).

წამოფრინდება-ს წამოხტება, სწრა-ფად ადგება. „ერთიან წამოფრინდა ეს ძაღლი. დაუწყო რასმე ლაქუცი“ („ერთ-გული მეგობარი“, II).

წამოუბანბანდება-ს აყაყანდება. ამ კი-თხეაზე... წამოყატყატდა რამდენიმე ფშა-ველი: „ეგ სუყველა მართალია, შენი კირიმე. ბატონო“ („ფშავის ხეიღამ“).

წამოუბანბან-ს ასწევს, წამოსწევს, წა-მოყოფს (თავს). ბაღლებმა წამოყაყვეს თავები ლოგინიდან (\*\*\* „ოლატ...“).

წამოუბნებრამ-ს (საუბარ.) ყინებარეს (ყელს) გამოსჭრის, დაკლავს. „კუბლირა

უნდა წამოყენებროთ, ვერაფერი მამა-ლაო“ („მოგონება“).

წამოუბნებულობა-ს იგივეა, რაც წა-მოყუნებულობა. (ფიგურა.) ქვეა სულ ერთს ადგილს არის წამოყუნებულობა კალმიკების დემონთივთ („ფიქრები, მო-გონება და ოცნება“).

წამოუბნებულობა-ს წამოსკუპდება, წა-მოჭდება. დედაკაცებს მოეტანათ ტაბლე-ბი და წამოყუნებულობა-ს სასაფლაო-ზედ („ხმა მთიღამ“).

წამოუბნებულობა-ს წამოსკუპებული, დაცუცქებული. მელი ამ დროს ერთს სერზე იყო წამოყუნებულობა („ტრე-ლები“).

წამოშოლტაჰ-ს შოლტივით გადაიქ-ნევს, გადაწევს, დაწვენს (ხევს ქარს). ამოჯარდა საშინელი ქარი, წამოშოლტა ხეები და მიწას გააკრა („ოცნება“).

წამოშაჰ-ს წამოჰიშვა, წამოწევა. ზოგიერთი ყვავი კაკლის კენწეროდან თავის ქნევით და ქისრის წამოშაჰ-ით ისეთ „ყვავი-ყვავის“ დააყრიდა, მტერსა და მეზანათს მიწასთან გაასწორებდა („კა-კალი“).

წამოშაჰ-ს აქ: წამოჰიშვას. კაცებს კი თავის ლაბირინტიანი სახლ-კარები წამოშაჰ-ით! („ხევსურეთი“).

წამშა იხ. § 10, 13.

წამშელ იხ. § 10, 13.

წამ-უწე-ს წამლაუწე, ხშირად. სქედა, ეღაღდა წამ-უწე, წყალი თავს დამღის ღარითა („მონადირე“, II).

წამ-უწე-ს მომხმობი, ამომგდები. თავის წამწემელის წამწემდა მისი წესი და რქულია („ხის ბეჭი“, VI).

წამ-უწე-ს გახდილი, გაძრობილი. გველის წამწეარი ტყავი („ჩხიკეთა ქორწ.“).

წამ-უწე-ს რაც წახლა ან წახლდი-ნეს, წახლენილი, გაფუჭებული. წამ-უწე-ს ზღვევა თანა სღვეს და სესსს გაღახლა ვალისა („ერთი სიყვარულის ამბავი“).

წამ-უწე-ს „წარა-მარად“ (ვა-უა); უაზროდ. მოუფიქრებლად. იმის ხმა-მალა ქვითინმა კლდეც აატირა სალია, აბიჭებს წარა-უგონთა, მკედრისაკე ჰრე-

ბა თელავი („გიგოლა“, X); „წამოდი, გამეგრე, შე ბეჩაო, რად იცი წარა-უგონთ საუბარი?“ („შობაქელ“, I).

წარაშ-ი ზვეული კლდე. თავქვე მო-  
რბინალთ ხევსურთა წინ კლდე დაუხე-  
დათ წარაფი („სტ.-მასპ.“, XII); დასძი-  
ნებოდა დეკებსაც, კლდის წარაფებში  
ყურბოდენ („მთათა ერთობა“).

წარბაღალურბლვილ-ი ზავწარბებიანი  
და მოღუშული. „არ ვიგოლებდი იმიერ  
ჩემს ჭულურას და საბასა; ჩემს წარბ-  
დალურბლვილს ივანეს, კარგა ხმარობდა  
დანასა“ („ბაბტრიონი“, III).

წარბუღა „დინჯად“ (ვუა); წუნარად,  
წესიერად. შამახედა თხისტაყიანი...; ამ-  
ბავი ჰქითხა წარხედა („გმირის იდეა-  
ლი...“).

წარტაშ-ი იგივეა, რაც ღართული.  
მოსტეხა ცეცხლზე წართულს ფიჩხს ტო-  
ტი და დააკეთა თვითონ წილები ხისა  
 („საშობაო მოთხრ.“, — სტუმრები).

წარნიანნა იხ. § 40.

წარნიმამვ-ს: წინ წარნიმამვს  
(ძვ.) გააქცევს და გამოევიდება. მტერს  
წინ წარნიმამვს დიაცებრ, უკან იხედ-  
დენ ველარა („ჩანაწერები“).

წარნიმამვანე: (სილამაზეს) ქალის  
სახით წარმოადგენენ („ნიკიერი მწერა-  
ლი“) ბეჭდვის შეცდომაა, უნდა: წარ-  
მოადგენენ.

წარნიმამვანი-ს (ძვ.) დაატყვევებს.  
დიო-ყმაწვილი წარნიმამვენეს, ნამკალი  
დარჩა ტიალი („განგაში“).

წარნიმამვანად წასადებად. „(გიგომ) სვე  
რამ შავგაბირ, იმის წასატანად წამავე-  
ლი“ („სიენები“, — სიენა ბარში).

წარნიმამვანე ხელით წაუკა დეიკარ-  
გება, წარნიმამვენე. „თუ მტერსაც პასუხს  
არ გავსეგმთ, ასე თვით მეფეს ებარა,  
სუყველას ხელით წაგვივა წყალ-მიწა  
ჩვენი მკვებარა“ („პაოს და ქართლოს“).

წარნიმამვანე-მამამვანე-ი უწამაწური (სი-  
ტყვა); ახდა-უბდა (საუბარი). „ქსომს და  
ამბობს, ამბობს და ქსომს, ვინ იცის, რას  
ამბობს: სუ წაუველ-მაუველთა“ („ფშავე-  
ლები“ — შენამც).

წარნიმამვანი: თქერანი წაუკლენ  
წულის ხეთქების ხმას გამოსცემს (კლდე).

წარა ლამაზია. წყულო, შენთ ზვირთთა  
ლალნი ჩქერანი, გააფრთხელსა ტალ-  
ლასა კლდეს რო წაუკლენ თქერანი“  
 („არაგვს“).

წარნიმამვანე ხარბად ჰამას (ძოვას) და-  
იწყებს. „მეც არ დავიწყებ ამ მწვანე  
ხავსს, უთუოდ გემრიელი იქნება“, —  
სთქვა ვირმა და წაუსო იმასაც („უძლე-  
რი ვირი“, II).

წარნიმამვანი იხ. § 40.

წარნიმამვანი-ი „ქორწილი“ (ვუა). ვი-  
რო, აღმართი, დაღმართი შანთვის არ  
არი წარნიმამვანი („ფშაველი და...“, XI).

წარნიმამვანი მოყვითალო. დაღმარ-  
ბულხარ, დღაო, რას-რარა ჰტიქრობ  
შვილზედა, ერემლ რო ჩამოგდის მჩქე-  
ფარე მაგ ხმელს, წაყვითლო პირზედა?  
 („ამცენე“).

წარნიმამვანი: პირისა ცეცხლს წა-  
ყრის ძალიან გაბრაზდება, ძალიან გა-  
უწყდება ვინმეს. ხარი მამიკედა კვირი-  
სა, — ცეცხლი წაყვარე პირისა („ფშავე-  
ლების ცხოვრებიდა“).

წარნიმამვანი-ს „წაუჩუფნავს“, წა-  
უჩუჩულებს. „ეხლა დრო არ არის. ხვალ,  
გზაში“ — წარნიმამვანი ბოქაულს მამა თეო-  
ლოგემ („ღროშა“, III).

წარნიმამვანი-ს ურქენს, რქას წაყვარეს,  
ურჩველეს. ხარმა ხარი წარნიმამვანი, თივაზე  
მიავლო („ფშაველი და...“, XI).

წარნიმამვანი-ს საყვარელი; სულიერი მე-  
გობარი. (სანდოს) ყველა ამებს უმზა-  
დება ნამამოზი ელიზბარი, ანუ წაწალი  
 („ფშაველი და...“, V); (ფიგურ.) ტყუი-  
ლად ამფოთლებიან ჩემნი წაწალინი იანი  
 („ერთხელე იქნება, მოკვლები“).

წარნიმამვანი-ს „ქალ-ვთის ტრფიალი, რო-  
მელიც ქორწინებით ვერ დასრულდება“  
(გლ.). ფშაველს, ვიდრე კარგად არ მოხ-  
ნიანდება ქალი ოჯახში, იმის გათხოვება,  
„გასტუმრება“ ძალიან ეძნელება და ქა-  
ლის წაწლობასაც, ვგონებ, ადვილად ამის  
გამო ურიგდება“ („ფშაველი და...“, VI).

წარნიმამვანი-ს დაიღუპება, მოისპობა.  
ხომ წაწმელა მთელი სამეფო, ქორ-  
შავარდნების ბრბოები („არწივი და  
კაპაბი“); სულით წაწმელდება „სა-  
იქიო ცხოვრებას“ წაიხდენს, სიკვდილის

შემდეგ სალანძღავი იქნება. ისიმე წაწყდება სულითა, გვართ წყუღიმე არია („ქებათა-ქება“,—ჯანღმა).

წაწმედა დაღუპვა, მოხობა. თავის წამწყემდის წაწყმედა მისი წესი და რკულია („ხის ბეკი“, VI).

წახინანებულ-ი იგოვია, რაც მოხინანებული. როცა დღეობაა და ახალგაზრდა ბიჭები ფერხულს დააბმენ, ზურაბიე შიგ ჩაერევა, თუმცა თითონ წახინანებული კაცია („სოფლის სურათებები“).

წბილ (Festuca gigantea) ერთგვარი წვრილი და უფოთლო, მაღალი ბალახი. იმ წბილასავე წვრილამა გულში დამინთო ალიო („ფშავლის სიყვარული“).

წამოსი: „ახლა ნახოს გემო წვგოსი“ („სცენები“) ბეჭდვის შეცდომაა, უნდა: წიკოსი (შღრ. წიკვა).

წამაწმედა: მუხლებს წეკეკეთება მუხლებში ჩაიკეცება, ჩაიჩოქება. გააელებს გუთანს (გუთნისდედაც თვითონ არის და მეხრეც), წეკეკეთება მუხლებს და დაეცემა („ფშავის ხევიდამ“).

ს-წამს: ყურს სწევს ყურს მოჰკრავს. „ხელ ლაშარს თემნი იყრებიან და აქა-იქ ყურსა ვწევი, შენ უნდა მოგიკეთონ“ („მოკვეთ.“, მოქმ. III, გამოსვ. I).

წამა: ყელის წევა ყელზე თითების მოკიდებით ხეწნა, მუღარა. ჩვენ მიანც ყელის წევით მუხლმოდრეკილი გამოესახოვდით ხოლმე საზარდოს ჩვენის საყვარელის შეილისათვის („ფესვები“).

წამაში იხ. § 21.

წამა თამბაქოს (წყოს) ფოთლების შეკრა (იწონის 300—500 გრამს). მერე სათამბაქოდან ამოიღო წეკის ნაგლეჯი და დაუწყო ხელისგულზე სრესა („გასამართლ. ჩიბუხი“, I).



წალადა იხ. § 20.

წალ-გულ-ი წილი და გული; სხეუ-

ლი. „...თუ თავზე მცოვია, წელ-გულით ბედნიერი ვარ ბეერადა“ („მთათა ვართობა“).

წალაში იხ. § 20.

წალთაობა მიცვალებულის წლისთავი. მიცვალებული „დამარხულად“ ჯერ კიდევ ჩასათელელი არ იყო, რადგან აკლდა ჯერ კიდევ ბეერი „რიგები“: „შვილის რიგი“, „ორმოცისა“, „წელთობა“, „სულთა კრეფა“ („ფშაველი და...“, II).

წალთით კარის შუაწელზე კეტის გაყრით. (ივანური) შუარდა სალუღეშია... წელთით დაკეცტავს კარსაო („ფშაველი და...“, XI).

წარა<sup>1</sup> ბელი, ხველრი. შენთან წოლითამ გამაძლო, შენთანამც მამეა წერაო („ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა...“). წერა ს მოხდის იხ. მოხდის. წერა აიგდებს იხ. აიგდებს.

წარა<sup>2</sup> „8-8 მნა ერთმანეთზე მიყულებული“ (ვაჟა) (შღრ. ააწერავენს). („ფშაველი და...“, III).

წარა-მწარალ-ი ცრურწმენით: აღამიანის ბელ-იღბლის იმთავითვე განმსაზღვრელი. მაგრამ გაჩნდება ჯანლი რამე კურუმალ, შვეის ფერითა, დაეფარება სანახავს წერა-მწერელის წერითა („სტ. მასა“, XV).

წარა-სამოთი წერო და საოთი (იხ. საოთი).

წალანის ამ ცოტა ხნის წინ, წელან. „წელანის ხალი შავსქამე, გულაშიე მიქე მრავალი“ („ბახტრიონი“, XII).

წამ-ღებვა გაქირება, სიღუბნით დარეჯანმა ცხოვრებაში დიდი წადაგვა გამოიარა და წადაგვითა დაასრულა თავისი სიცოცხლე („დარეჯანი“, I).

ს-წამაბა: ყურში სწედება ყურს მოჰკრავს, გაიგონებს. რაც იმათ ენება მოელის, წინ-წინ მე მწედება ყურშია („ნადირთა პატრონი“).

წველ(აბ)-ს: თვლები თვალებს წველავდეს თვლები მრის-

ხანელ უუურებდეს ერთმანეთს, (მეომარებს) ერთმანეთისთვის თვალი თვალში ჰქონდეს გაყრილი. ფარების დაღვეს ჭრდებები, თვალები თვალებს სწველავდეს („კაი ყმა“). ფურტკარს წველავს ფურტკარს სკიდან თაფლს აცლის. ვინც გეჭვებით ინახავს ფშაეში ფურტკარს, ისინი „წველენ“, ე. ი. ამოართმევენ რამდენსამე შოთს („ფშაეელი და...“, III).

**წვერ-ი** უღვაში. თვალები დასწითლებოდა. ეცინებოდა წვერშია („ქართ. ქორწ.“, I).

**წვერამაზ-ი** წვერს ახვედრებს(?). მოციქულობდენ ტყვიანი, შუბები შუბებს სწვერავდეს („კაი ყმა“).

**წვერდაწამებულ-ი** ვისაც ახლად ამოუვიდა წვერ-უღვაში. ახლაგაზრდა კაცია, ახლად „წვერდაწამებული“, ხათრიანობს („სოფლის სურათები“).

**წვერამაზამარცხილ-ი** წვერებშეკეცილი, წვერებწაყრილი. მისი თავი ეღვაშებისგან დაჩაგრულს ტიტველს კლდეს ჰგავს, რომელსაც მხოლოდ თმის რაგიერად ბრძამი ყვითელი, წვერებშეკეცილი კვავი ჭავთვ-ჭავთვად აქა-იქ მიჰკოსებია („მთიელის უბედურება“).

**წვერამაზ-ი** წვერწამაზული, წვერთიანი. ხელთ ეყურა შუბი წვერამაზვი, შამისთვის მონაპარია („მახტარიანი“, VIII).

**წვერმოტეხილი**: წვერმოტეხილის ენით გაურკვეველად. „რა ექნა“— ამოთქვა აფშინამ წვერმოტეხილის ენითა („გოგოთურ და აფშინა“, III).

**წვერ-პირ-ი** წვერ-უღვაში, პირისახე. მოდი, მოხშირდი, ჰალარავ, წვერ-პირი მორთე თეთრად („მოდი, მოხშირდი, ჰალარავ“).

**წვერშამამაზალ-ი** იგივეა, რაც წვერდაწამებული. „შვილმა რაღა სთქვა მახარებ, ეაქაცემ წვერშამამაველმა?“ („გიგი“).

**წვერშამომდინარ-ი** იგივეა, რაც წვერდაწამებული. მე ვიქნებოდი ოცი წლის, ახლად წვერშემომდინარი („ერთი სიყვარულის ამბავი“, II).

**წვერწალმა** წვერით, წვერის მხრიდან.

„მაშინვე წვერწალმა დაუცა, რკინას ევლარ დაუქერავ და მათკლავ“ („აფხუ-შოთა“).

**წვერწმინდა** წვერწამაზული, წვერთიანი. ...და გულზე დაურიდლად წვერწმინდას შუბებს უშვერენ (ვარ.) („სტ. მასპ.“).

**წვერწმინდა** ვისაც ტაგანახავით, კახრივით მსხვილი წვერები აქვს, მსხვილწვერებიანი. „აბა, დამკვიცი. ძმობილო, რარიგ წვერტაგანაი ვარო“ („უძმოს-ძმა“, I).

**წვერწმინდა** თავსხმა, კოკისპირული წვერია. „ნეტავ, ტირილით შამქლოს შეცულა ამ შავის ბედისა,— დღე-ღამე ფეხზე ყუდილი, გადაყრა წვიმ-შხებისა“ („ეთერი“, II).

**წვერწმინდა** იწრთობა. არიქათ, ხევსურთ შვილებო, ხმალი სისხლშია წვერწმინდაო („ხევსურები“).

**წვერწმინდა** ვინც იწვნია, იგემა, ვინც (გასაჭირი) გამოცადა. უმადლო კაცმა რა იცის, ჰკითხეთ, ვინც არის წვერწმინდა („ათასნაირი ნაღველი“).

**წვერწმინდა** ჭავვის ეპითეტია. აღზღავ, ვაქაცო, ზე აღზღავ, შთაიცი წვერწმინდა რკინისა („ჩანაწერები“).

**წვერწმინდა** წვერწმინდა, ხშირი, ახალნერგი ხეების ტყე. სხვა იმახის: „მე ავაგდე წვერწმინდაში ნაწოლიო“. მესამემ თქვა: „მე გასწავლეთ, კაცნო, დათვის საწოლიო“ („სადღესო სიმღერა“).

**წვერწმინდა** წვერწმინდა წვერწმინდა საქონელი და ქათმები. „მეხი კი დაეყარა შავ ხორეშანასა! შეუბობლებში თურმე დადის და იმახის: ჯალო, ქეთევანზე მეტი წვერწმინდა მყავსო. ისე იმან იხაროს!“ („სურათები“).

**წვერწმინდა** (ძვ.) დედათწმინდის მქონე, თვიურია. უნდა ვერიდნეთ, როგორც წვერწმინდას ფშაელის და ხევსურის დედაცაცები ერიდებიან წმინდა ადგილებს („თიან. ფელეტ.“ — მართალია). წვერწმინდა: წვერწმინდის დროს დედაცაცი გაჰყავთ სახლს გარეთ, ცალკე აგებულს სახლში (ქიხში), ან გომურში („ფშაელები“, — ძველს).

წითელ-ი აქ: სისხლი. ვერას მოკვი-  
და. წითელი ვერ გავდინე ერთსაც  
(„ისი ბეჭი“, V).

წითელწვერად წითლად წვერებდები-  
ლი (თათრის ეპითეტია). ერთს წითელ-  
წვერას დატუტლოშე, დავაგლეჩინენ ყბა-  
ნია („მწყემსის სიმღერა“).

წიპინა გამწვიანი ხმა. (ფშაველ  
ქალს) ხმაჲ კი მამაკაცისა აქეს: ბოხი.  
ძლიერი და ვერაერთარ მსგავსებას ვერ  
იპოვნით, ბარელი, ქალაქელის ნახ, წი-  
კვინა, მიყნავებულ ხმასთან რომ შეაღ-  
როთ მისი ხმა („ფშაველები“, — გზად).

წიპო წიოკი, წივილ-კივილი. ატირ-  
დებიან ერთადა, გამააღუნენ წიოკისა  
(„პაოს და ქართლოსა“, IV).

წილ: მთაბარშიაც წილ ჩავიდებო,  
სოფელ გვიხამთ ვედარასა („ძვ. და ახა-  
ლი ფშაველ. პოეზია“) ბეჭდვის შეცდომაა,  
უნდა: წილს.

წილ-ი 1. ნაწილი, ხვედრი. გაიყუეს,  
თუ რამ ებადათ. სამად გაიყუეს ფეტურა:  
წილების უსწორობაზე არეის რა ღე-  
ყბედია („უიღბლო იღბლიანი“, II). 2. მ-  
ტარა წიირი, წიირის გადანაპერი, რომელ-  
საც კენჭის ყრის თითოეული მონაწილე  
თავის ნიშანს ადებს (წილებს, ჩვეულებ-  
რივ, ქულში ჩაყრიან და იქიდან ამო-  
აქვთ). „წილი დაყარეთ, შვილო წი-  
ლი.“ — სთქვა ბერიძემ და მისტება  
ცეცხლზე წართულს ფიჩხს ტრტი და  
დააკეთა თვითონ წილები ხისა („სამო-  
ბაო მოთხრ.“, — სტუმრები). წილის  
ყრა წილით რისამე განაწილება, —  
კენჭის ყრა. წილის ყრა არი, ცილობა  
ათას ცხვარს, ორას ხარშია („წილის  
ყრა“). წილის მყრელები კენ-  
ჭის მყრელები. წილის მყრელები შა-  
ვარდნენ ბაბურაულთან ხატშია („წილის  
ყრა“). წილს ჩაუდებს იხ. ჩაუ-  
დებს.

წილგედლაწილი ვისაც შთამომავ-  
ლობა არა მყავს; უძეო; უპატრონო.  
„რა ლანძღვა მინდა, რა კრულვა და-  
ლახვრულს შაეის დღისაგან, წილგედლა-  
წილს სოფელში, თავდანებებულს  
ღეთისაგან“ („ეთერი“, II).

წილ-ბოლო შთამომავლობა. „ღმერთ-  
მა ეგებე კარგი არა აჩვენოს, ეგებ დაუ-  
ლიოს წილბოლო იმ ჩვენმა მთავარ-  
ანგელოზმა... ბახსა, ის მაუძღვა წინ  
ქისტებს“ („მოკვეთ.“, მოქმ. I, გამოსვ.  
III).

წილნაპარი: ღმერთთან წილ-  
ნაყარი დიდებით ღმერთთან მღვამი,  
ღმერთის ტოლი. აღიდეს დიდი თამარი—  
ის ღმერთთან წილნაყარია („ბახტრიო-  
ნი“, VI).

წილმბ 1. სახატო ნამცხვრებისა  
(ხშიად, ქადა...) ან ხორცის ნაჭერი,  
რომელიც ყველა მლოცავს ეძლეოდა ხა-  
ტობაში. ხალხს „მრიგეები“ (მოთავდა-  
რივე) ურიგებდნენ ლაუშებს, ხშიანდისა  
და ქადის ნაჭრებს, ხორცის „წილობებს“  
(„ფშაველი და...“, II). 2. იგივეა, რაც  
წილ-ბოლო. „შენდაც მშვიდობა, გაოცბ-  
ლის თავის ქმრითა და წილობით!“  
(„სტ.-მასპ.“, III).

წილ-ხვედრი შვილი; შთამომავლო-  
ბა. ეინაც იქმს წილ-ხვედრს უმტერა... მე  
გაეცემ იმას პასუხსა („ხმა სულეთიდან“);  
გვერდით აღარ ჰყავ წილ-ხვედრი, დედამ  
რომ თავი აიღო („სული ობლისა“, VI).

წიმარო სუფთა, ანკარა, შუერეველი  
(წყალი, თოვლი, ნისლი...). დაბანილს  
პირსა იწმენდა თეთრის წიმარო ნის-  
ლითა („მთათა ერთობა“).

წინაჲვ იხ. § 1.

წინაჲვ პირველად, აღრე. „წინაზე  
ტკბილი შქაირი ეხლა გემწარე რისადა?“  
(„გველის-მკამელი“, VII).

წინათ სხვაზე უწინ. „მზე, მთვარე  
ვერ მოიქირეებს, შუქი არ დაგვკრან  
ფხაზედა. წინათ ჩვენ გვეამბორებენ —  
მთებს არ გასცელიან სხვაზედა“ („მთათ  
მითხრეს“).

წინათ იხ. § 27.

წინაპაპ-ნ-წი წინაპრები. (თორღვა)  
მიამბობს და მამამბობს, თუ იმის „წინა-  
კაცთ“ მითხოვამ ცხვარს ფარები როგორ  
გამოურეკათ („რამერუმე მთისა“).

წინამღვამი იხ. § 44.

წინანაუკომხელ: („სცენა მთა-  
ში“) ბეჭდვის შეცდომაა, იხ. წიწანაუ-  
პოხელი.

**წინასწარმობით** იმთავითვე, აღრევე-  
ნადრევედ, უდროოდ. ბალებზე თავი-  
დამვე, წინასწარობით თამაშებიან („ხე-  
სურები“); „ტყვია ოხერი ბევრს კაი ყმას  
აფუქებს წინასწარობით“ („მოკვეთ.“,  
მოქმ. I, გამოსვლა II).

**წინდაწინ** სხვებზე წინ, სულ წინ.  
ნეტამე ცხენკარგის დედასა, ჯარში წინ-  
დაწინ წადგება („ფშაველი დედაკაცის  
მდგომარეობა...“).

**წინწინაპარ-ი** არაყის ხლისას პირვე-  
ლად გამოხული, მაგარი არაყი. „სამი წი-  
წინი არაყი გადაეკარ წინწინაქარი“  
 („ტრუპენტ. აღმზრდ.“, ნაწ. I, თ. I).

**წინწელი**-ი „ნაპერწალი“ (ვაჟა). წი-  
წით ესმა ქვის ჩხერა, ნახა წინწელი  
სრული („გიგლია“, V); უნდა დავადნო  
შენს ბედსა თვალი და გული ფხიზელი,  
რადგან სხვა საშუალება გამიქრა, რო-  
გორც წინწელი („შენდამი“).

**წინ-წინ** ყველაზე წინ. წინ-წინ ის  
გადაუფრინდა ჩვენის გაწყვეტის მოლა-  
მეთ („მაცნე“); „აბა, ესროლე, ძმობილო,  
შენი ჭერია წინ-წინა“ („ხის ბეკი“, VII).

**წინწალბას:** (ვარ.) „ნაპასის და ნე-  
როზას...“ ბექდვის შეცდომაა, უნდა წინ-  
წელს (იხ. წინწელი).

**წინბრანა** (*Carduelis spinus*) პატარა  
ჩიტია, კიკეავი. მოფრინდა „წინბრანა“ და  
„წრიბ, წრიბ“ შესძახა („შელის ნუკრის  
ნაამბობი“).

**წინბრია** იგივეა, რაც წინბრანა. წინბრია  
იკლებს სტეენით იმათ არემარეს და მოუ-  
სეერად გადახტ-გადმოხტის („ხმელი წი-  
ფელი“).

**ს-წინბრ-ს** 1. ტოვებს. ნუ მწირავთ  
შუატრონოდა, მიშველეთ, თქვენი კირი-  
მე! („დედის ტირილი“); პირველად ომის  
დამწყები ბრძოლის ველს ბოლოს სწი-  
რავდეს („კაი ყმა“). 2. შესაწირის შეს-  
წირავს (ხატს); მიუძღვნის, აჩუქებს. „მი-  
თხარ სახელთ, ვის სწირავ, იმასამე შე-  
წირება“ („ალუდა...“, V); „მიძღვნილსა  
საუფროსოსა ამხანაგებსვე სწირავდეს“  
 („კაი ყმა“).

**წინპვილინა** იხ. § 28.

**წიფლისჩინბა** პატარა ყელწითელი

მგალობელი ჩიტი. დილას ერთმა  
„წიფლისჩინბამ“ ჩემს ახლოს იგალობა,  
ლამაზი რამ იყო. — ყელწითელი, ღა-  
ბუა („იია“).

**წინადას** ტბაში („კოპალა და იახსა-  
რი...“) ბექდვის შეცდომაა, იხ. წაწადის  
ტბა.

**წინაბ-ი** „ფრინველის ავადმყოფობა—  
ხრტილოვანი წანაზარდი ენის წერხე“  
(გლ). „ჩენიმე ცოდეა გაქვე, მამა-  
ლო, წიწაკიმე აგაჩნდებო“ („ფშაველი  
და...“, XI).

**წინან-ი** პატარა ჯამი. „სამი წიწა-  
ნი არაყი გადაეკარ წინწინაქარი“ („ტრუ-  
პენტ. აღმზრდ.“, ნაწ. I, თ. I).



**წინანბაშუმხელ-ი** ხასყვედურო სი-  
ტყვია: პურადჭერის, ხარბს ან ღარიბ-  
ლატაკს ეძახიან [წინანში (იხ.) ერბოსაც  
დებენ ხოლმე]. „შე ტილიანო. აბიკას  
შენ უნდა ეუბნებოდია მაგას, მეკანტე-  
ლეო, წიწანგაუბოხელი“ („სცენა მთა-  
ში“).

**წინანა** გამწივანი, წვრილი ხმით მო-  
ლაპარაკე. ღამაში ცოლი შეერთო, კეკ-  
ლუცი, რაღაც წიწინა („გოდება თანა-  
მედროვე წინასწარმეტყველისა“).

**წინაბარ-ი** ხმელი, წვრილი ტოტი ხი-  
სა. (მინდია) თუ სად ხმელს წიწკრებს  
იპოვნის, არც დაიწუნებს იმასა („გვე-  
ლის-მკამელი“, II); (გოგოთური) ვეება  
ქანდარს აიღებს, წიწკრად გაიღებს მხარ-  
ზედა („გოგოთური და აშშინა“, I).

**წაბაბ-ნ-ი** წვრილი ხმა, ფოლადის ფო-  
ლადზე მოხვედრის ხმა. ჯარს ხმას აძლევ-  
და მრისხანდ ზრიალი კლდეთა კარისა,  
ხმალთა წკაპანი, ფართ ჩხერა, ზედაც  
წვრილი რვალისა („სიზმარი სასოწარ-  
კვეთილისა“).

**წაბა-წაბა-ი** წკაპა-წყუბი, წვეთების  
დაცემის ხმა. გიკქერ, მატყლსა სიწერ და

ცრემლის მესმის წყაპ-წყაბი, ჩქრიალი (ვარ.) („ფშაველი ქარისკაცის წერილი“).

წაპწაპაპა-ს წყაპა-წყუბი გააქვს. კრამიტებიდან ჩამონადენი წვიმის ცე-რი ფანქრების წინ წყაპწყაბებდა („ოც-ნება“).

წაპაპა-ნ-ი იგივეა, რაც წყაპანი. „ორ-წყალში ფშაველები დაგზედენ, წყებან ამოდის ხმლისანი!“ („სოფ. ხახმატი“).

წაინტოლ-ი წვეთი (ფაფისა, ტლა-ხისა...). ნაქამი ფაფის წკინტოლი ყველას აკრია ჩოხებზე („ჩიტთა ფაფობა“).

წანება გაწყვეტისა ან გატეხის წვრილი ხმა. ჩაპქმაქ ვაილო გამგმირი წყნება („ღაჩაგარ. მესტიერე“).

წარბიალ-ი „წრიალი, წიოკობა“ (გლ). (ვია-ბუქუებმა) წკრტიალით ტყესა მიპმართეს, საღაც ხარობენ იანი („კო-პალა“, V); (შერეს) უნდოდა ქარში გა-რევა, გული უშლიდა ტიალი, იმ გაყი-დულის სულისა გამოთხოვების წკრტია-ლი („ეთერი“, XI).

წლიკვა-ნ-ი, წლიკვა-ნ-ი (ენი. დამცრ.) „კანკები“ (ვაჟა); ღაციწვიო იტყვიან წვრილ კანკებზე. „რა საეღლო რამ არი მაგის თაე-ცხვირი, მაგის კბილ-ნი, მაგის წლიკენი“ („ფშაველები“, —შე-ნამცი); „ვაპქე, ჩემო ძმაო, რა სუ გარ-მიანელსა ჰგევხარ, გარმიანელსაეით წლიკენან დაგქონ“ („ფშაველები“, — ძველს).

წლოკან-ი ხნიერი. კარგი გეყავ მო-ხელები, შიგ ამორჩეულ კაცები: წლო-კანი მამასახლისი, მოღროენებულე ნაცე-ლები („ძე. და ახალი ფშაველების პოე-ზია“).

წლოკ-ი აწოწილი, წოწლოკინა. (შურთხს) არ ჰყოფნის სასაცილოდა სთველ-ზაფხულ გაღმომავალი გუნდები წეროებისა შიშზარიანი, მყივანი, მომთა-ბაროე ბუნება, ტანი წლოკი და მცივანი („მთათა ერთობა“).

წმინდა, წმინდა-ნ-ი ხორბალი, იფქ-ლი. ღმერთმა მაშოროს სხვაგან ხენა: წმინდას სთეს — მოდის ღვარძლაა („გუთნისღელის სიმღერა“); „წუხელის ე წისქვილათ ვედგე, წმინდან რანიმა მქონ-

დენ გამოსაფქვენი“ („საშობაო მოთხრ.“, — ნადირობა).

წოლა-ღმრთა „წაწლის ყოლა“ (ვა-ჟა). წაწლის ყოლა, „წოლა-ღმრთა“ მის-სიყვეთ არაფერს უშლიდა ხალხის წარ-მოღვენით („ფშაველი და...“, VI).

წორ-ი: წორზე წავე ახ. წავე. წოლან („სურ. ფშაველ. ცხოვრ.“) ბეკღვის შეცდომა, იხ. ძოლან.

წრემა მღვდმარეობაში, ვითარებაში. „არც მოქცედებო, ისიც დაატანა, ვიდ-რე საქართველოს იმ წრეზე არა კნახავ, როგორც ოღესმე გინახავთ“ („ცრუ-პენტ. აღმზრდ.“, ნაწ. II, თ. III).

წრემა-ბ აწრობა. „ბევრ ყმას ამოე-წვი გულ-ღვიძლსა. ნისკარტი სისხლში-წრთებო“ („გიგლია“, VII).

წრიბა-ი იხ. წრიოკი.

წრიბა-ი „რკინისა, ფეხის გულზე ამოსაღები, რომ ფეხი დაიმაროს გვერ-დობზე კაცმა“ (ვაჟა). (მონადირეს) წრია-პიე გვერდზე მოქცა, სტანჯადა წვიე-ზე ხეხითა („ღაქვილი ეფხვი“).

წრინტა-ს აწიტებს, აწრტუებს. ე-რის პირას დამქლარი მძიმე-მძიმედ ჩი-ბუხს აბოლებს, წრინტავს და ცოლსა სტუქსავს („ხევესურეთი“).

წრიოკ-ი მწირი, ხრიოკი. უდაბნოს მხოლოდ აბრაზებს, მნათობთ სხივი რომ-ვერ აღამაზებს წრიოკს ბუნებას ოხერ-ტიალსა და სიცოცხლისს ვერ ტოვებს. ევლსა („რა ეუთხრა ამ მთებს“). წრ ი ა-კი (წრიოკი) სული ცარიელი, უშინაარსო, გამოფიტული ხული. დილის მადლმა და პირველმა მზის სხივებმა სი-მოვნებით გამსქეალეს მუცელას წრიოკი სული („მუცელა“, XII); მის (ქაქის) ეანგანმა, წრიოკმა სულმა იგრძნო საამო რამ ნეტარება (თარგმ.) („ქაქი“).

წრო („როგორ გაჩნდენ ბუები“, III) ბეკღვის შეცდომა, იხ. ზრო.

„წრო“-ხ: (ვარ.) („როგორ გაჩნდენ ბუები“) ბეკღვის შეცდომა, უნდა: „ზრო“-ხ (იხ. ზრო).

წული ვაფშვილი. „წული ვინმე გთხოვოსთა, წული ღმერთსაც გამაუთხო-ვეთ, კვირასაცა, და თქვენი წყალობა(ე მიეკით“ („საშობაო მოთხრ.“, — ატობა).



**წუნკალი წუწი.** ღორბლი. იყო ჩემი წამალი ირმის ხეთო, ირმის წუნკლიო. პარის სარბობიო. ფსიტის კუდიო (-ფშველებერ ამოდ-მორქა.-).

**წუნკო** („მეჭლისი ღომისა“, V) ბეჭდვის შეცდომაა, უნდა: წუნკო.

**წუნკა:** არაყის წურვა არყის ზღა. წაამე „აქციზნი“ არის, გვიშლის არყის წურვასა („ქებათა-ქება“, — დაუ-კარ).

**წუნკვილი** „ერბო“ (ვაჟა). გამოვლეს დათვისის ქალა, გამოვლეს ორწყლის ბი-ლია, „წურვილს“ ორფხას მთარმენ, იმისი ვალი ჰკილია („პროვინციელის ქე-ბათა-ქება“). წურვილია: უნდა მშვიერი გაძღოს წურვილიანმა ქაღამა („მამილის დანაბარები“).

**წურთნა** იხ. § 5.

**წურწუტი** წოწლოყინა, აწვეტილი. (ბერიძეს) თავზე წურწუტი, სკუფისა-ვით, სველი ნაბდის ქუდი ეხურა („საშო-ბაო მოთბრ.“ — სტუმრები).

**წუბი** წუნკალი, ბინძური. „ღიაცი ნითხარ შენ, წუტი ღიაცი, იმისი გული-სად აუგი ათქმევიწის თავის თავზე ვაყ-კაცმა“ („მოკვეთ“, მოქმ. I, გამოცე. I); ათასი ვაქონ, ის დაქრნი, ისეც ის წუ-ტი მელარ („მეჭლისი ღომისა“, V).

**წულა:** წულის ძირი ვინც ყველას ფეხებზე ეგება, — მონა-მორჩი-ლი. მლიქნელი. „მე ვინ რა სამარ-თაღს მომცემს, ყველა მის წულის ძი-რია“ („ნახევარ-წიწლა“, IV).

**წუნა-მლაშე** ძალიან მლაშე. მწარე ფიჭვი იყო ეს ფიჭვი მისთვის, მწარე და წუნა-მლაშე („მამაცი“).

**წუნხ** საღამოზე. წუნხ დასციინან ერთმანეთს, თუნდ დაიხოცნენ დილითა („მთას ვუტკერ...“).

**წუნავეზა:** წყავეზზე ფეხი უსხლტე-ბოდა (\*\*\* „ოლაცი...“) ბეჭდვის შეც-დომაა, უნდა: ზღავეზზე.

**წუნალი** იგივეა, რაც წუნალ-ქალა (მნიშვნ. 2). „ყმა ვარ მეც გულანის ჭერი-სა. ხეუსური თქვენის წუნლისაო (აღუ-

და...“, V). ჩამდი ნარე წყალს ჩაქსდეც იხ. ჩაქსდეც.

**წუნალი** იხ. § 20.

**წუნალდაუწრომელ-ნი** ცრემლშეუშ-რობელნი (?). გთხოვთ შემავედროთ მე-უფეს წუნალდაუწრომელთ ქალია („უიღბ-ლო იღბლიანი“).

**წუნალ-მალა** 1. წყალი და ქალა (მდი-ნარე და ხეობა). მარადის საქებარნი ვართ წუნალ-ქალა, მინდორ-მთებითა („პროვინციის ქებათა-ქება“). 2. ქვეყანა, ადგილი. „ვის რა წუნალ-ქალა გვისტუმ-რებს, სად რა-რა დავიღვეით?“ („აღუ-და...“, VI).

**წუნანწუნარ** ბოლოქანქარა (გლ). დე-და ტრედმა მოიშველია წყანწყარა ჩი-ტებიც („ტრედები“).

**ს-წუნღება:** მუხლები სწყდე-ბა მუხლი ეკვეთება, ღონეს კარგავს. როს გხვდავ, მწყდება მუხლები, ღამობს დაღნობს გულიო („ნეტავი გამაგებინა“).

**წუნა** „წილი, ნაწილი (წუვაში)“ (გლ). ორი წყე ორი საწყაო, ორი გასრო-ლისთვის საყმარისი (წამალი). იმას „ორი წყე“ ჩაეყრა თოფში, რომ უფრო ძა-ლა მისცემოდა ტყვისი („აფხუშრობა“).

**წუნაბით** „რიგ-რიგად“ (ა. შან.). „ხმალს ვისზე ჰლესავ, ბიძია, მაგრე გულ-მოდგინებითა? შენ უნდა ცელსა ჰლესავ-დე, ან ცულსა!“ — ჰკითხეს წყებითა („ბერიკაული“).

**წუნაბითა** იხ. § 11.

**წუნაგუარ** იხ. § 28.

**წუნაეთი** წუნლები, ზღვები, მდინა-რები, ტბები (საპირისა. ხმელეთი). თქვენს მერე არვინ გვიამბობს ხმელე-თის, წყლეთის ამბავსა („მთათ ძილი“).

**წუნაულ-ნი** სითხე. რაკი ერთხელ გა-მოსცადა თეთრი წყლულელი, იფიჭრებს: ბევრის სმა არ ევარგებაო („საუბარი ბავშვებზედ“).

**წუნლიანი** წყლიანი სიტყვა კარგი, სასიამოვნო სიტყვა. მსმენლის გულსა ჰკარ მაღამოდ სიტყვა მართალი, წუნლიანი („მგოსანს“).

შაპურა ჭაკი ცხენი. მეორე დღეს შეკახმა თავის „ჭაკურა“ (ცხენი)... და წავიდა ძაუგს (კავკას) („ფშაველების ცხოვრებიდამ“).

შალა მდინარის ნაპირები (ხეობაში). ცხვარი და ძროხა აასხმია ქალას და ქალის პირებსა („შემოდგომა შთაში“).

შალაბ-ი კოროში (ქალაში). დიდი ქალაქი გაკეთდა ქანდრის ნაღვამზე ფიჩხისა („ქანდარი“).

შალა-შალაბ-ი-ი ქალა და ქალა-ეები (იხ.). ეუცხოვა ტყე, ეუცხოვა მთები, ეუცხოვა ქალა-ქალაეები, პატარა სერები („ზაფხულის სიზმრები“).

შამბლა იხ. § 20.

